სანდრო შანშიაშვილი

ზოთას ბეჭედი

წ ი გ ნ ი
ბალადების და ლეგენდების.

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი..

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხან. პრ. № 91.

13/XI—27. შეკ. № 182. მთავარ. № 1989. დაიბ. 3000.

ᲬᲘᲫᲚᲬᲜᲐ

მოსწყინდა გრძნობას სიტყვის რახუნი,
განგებ შექმნილი, განგებ ზრახული.
უსახო კერპის გუნდრუკის კმევა
და უიმედო ცრემლების ფრქვევა.
ხალხის წინაშე მომღერლის თნევა,
სხვისგან ნაქურდალ ზინათის ბნევა.
თან აბდა-უბდა მკვდრულად მდებარი,
ბოდვა გიეისა გაუგებარი.
არც თავი სჩანდეს, არც მისი ბოლო,
იძახდეს მაინც: არის სიმბოლო!

უფრო არ მიყვარს მგოსნის ტრაბახი,
თუკი დასწერა ერთი თაბახი!
ოინბაზური პრანჭვა და გრეხა,
ძალით მუზების კარების ტეხა.
ლექსის აკინძვა ყალბი გიშრებით!
„მცირე ნადირთა ხოცვა ისრებით“.
ᲮᲐᲒᲚᲐᲒᲡ ათრევდეს, ეგონოს რაში.
დე. ასეთ პოეტს დაუკრან ტაში!

რამდენი ᲐᲠᲘᲡ ხურდა მგოსანი,
ვით ხეკაკუნა, ანუ კოსალი.
ოფლის დენაში განგებ აქებენ.
ყალბ ზმანებაში ყალბად აგებენ,
თან ყურადღებას იმით იქცევენ:

ასტეხენ ზაურს, გამვლელს იქ სცემენ.
სძინავთ — ჰბოდავენ, ღვიძავთ — ბოდავენ.
ერთმანეთს სოტბით გულში ჰკოდავენ.
და ვერ ამჩნევენ აქ ნუთუ ზიანს,
რომ ბრმები სვამენ მეფედ კუ'ნიანს!
ბუნება პოეტს თუ პირს არიდებს,
სილამაზესთან ვეღარ არიგებს;
და გარეგნობით მახინჯს ნეტა კი
სული მაინცა ჰქონდეს სპეტაკი!
ახ, ჩემო ჩანგო, აიხსენ რიდე!
ცრუ პოეტების მარცხს ამარიდე!

მსურს რაც მიგრძვნია ლექსში სულ იყოს
რა არის ქვეყნად რომ არ თქმულიყოს?
მაგრამ არ დავდევ. ვინც რა სთქვა სადა,
ოღონდ სიმღერა მექმნეს მე სადა!
შევქმნა მარტივი, გრძნობით მაღალი.
ლექსი მსუბუქი, ჰანგით ახალი.
მე რომ ძეგლს ვაგებ, ყველას თვალს სჭრიდეს,
მნახველი მარად მის წინ თავს ხრიდეს.
იყოს ნათელი და საარაკო,
საშვილიშვილოდ სალაპარაკო!
რომ უიმედომ გზა გადალახოს.
აღთქმის კუნძული მას დაანახოს;
ჰპოვოს სიცოცხლე, მიწის სურნელი,
ფესვი გაიდგას. იყოს მსურველი!
ცეცხლს უნდა მივცე უნიადაგო!
ოხ. რომ მჭირდება ეს ვიქადაგო!

ოდნავ ვარსკვლავის ბეუტვა და კრთომა,
ან საშუალო დონეზე დგომა,
რაც გაიტაცებს დაბალ პროფილებს, —

ჩემს სულს

მას შემდეგ ბევრი ასრულდა,
ბევრჯერ იცვალა ტაროსი;
თამარს დრო შემოებურა
არა ბედ-სანეტაროსი.
მის დროშას ფერი ეცვალა
და ეს ვერ უტეხს ხასიათს;
რა საიდუმლო აწუხებს?
ან რისთვის ჰმალავს ხვაშიადს?
— შოთას იგონებს დაკარგულს,
დარდი გულს აბამს არშიას.
არ მოდის. ელის ყოველდღე
ამბავი გაიგება რა?
შიშობს, თალხები ჩაიცვას,
თან მისთვის გული სწყდება-რა.
ნუთუ ვერ ნახოს ცოცხალი?
ნუთუ ის მიწას ებარა?

II

შავი ზღვის ბალმა, მთის ძირში,
ჩანს მონასტერი ღრუბელში;
ბერად შემდგარი შოთა წევს
ნესტიან ღვიმის ზღუდეში.
მოხუცს თვალი-ღა უნთია,
ბეჭედს ინახავს უბეში.
ხან ამოიღებს, და ჰკოცნის
შეკრულსა აბრეშუმებში,
ხან გაიკეთებს ცივ თითზე,
არ ჰსურს თან ჩაჰყვეს კუბოში.

მოყმეს გადასცა მხლებელსა
ტრფიალის ამანათია;
უთხრა: „ეს არის თილისმა,
ჩანგი მით მომიმართია.
კვლავ დაუბრუნე თამარქალს,
მისდამი დავრჩე მოსავი;
თან ვერ ჩავიტან ხალხის განძს,
სხვაც უნდა მღერდეს მგოსანი.
ბეჭედს დავტოვებ სახსოვრად,
რაც მე აქამდე მებარა;
და ვის ხელშიაც აღმოჩნდეს,
მოიხსენიონ ნეტარად".

III

ჭაბუკი, შოთას მხლებელი,
საქართველოსკენ ეტარა;
(აღარ დასცალდა რუსთაველს,
ბინდი თვალებზე ეფარა).
მგზავრობა იყო ადვილი
ულრან ტყეებში იოლი.
იქ დაიღამის კორტოხზე,
სადაც ბარბაცებს რიონი.
ლიხის მთისაკენ მიილტვის,
მწვერვალი გარდუვალია;
ღვით აღარ ახსოვს, დაღლილმა
სად რა ციება დალია;
გლეხს შეეფარა ავდარში,
ჰბოდავს, ჰგონიათ მთვრალია.
მოუხმეს ცნობილ მკურნალებს,
იქ მკითხავებიც არიან.

ბეჭედს ვერ ამხელს. ვის მისცეს?
მიმღები დედოფალია!
ნუთუ აქ მოკვდეს. ვერ ნახოს
მნათობი თამარქალია?
ბევრი იბორგა სიცხეში.
ანთებით სული დალია;
ასე უდროოდ განწირვა
ჯადოქარს დააბრალიან!
ვის დარჩა შოთას ბეჭედი?
ანუ ვის დაუმალია?
რომელმა ჰპოვოს რჩეულმა
საუნჯე იდუმალია?!
თქვენ. ძეგობრებო. ეძიეთ!
მემკვიდრეობის ვალია!

წარმართი დავრჩი

მე შანშე მყავდა წინაპრად
წარმართი, შოთას გვარისა;
მაშაპაპანი განთქმულნი
და წინამძღოლნი ჯარისა.
ბევრი ვიმღერე განცდანი
იმათის სიტკბო — მწარისა!
წარმართი დავრჩი მზისადმი,
მაღმერთებელი მთვარისა.
ისეთს ეპოქას შევესწარ.
არ მყავდა თანამგრძნობელი,
ხმა ჩემი ჩაკვდა უკვალოდ
რაიდნდებისა მხმობელი;
ჩანგმა თუმც შეაგრძნობინა
მტერი ხალხისა ბგმობელი!

სხვასაც შეიტკბობ, თუ კი ხარ
შურისძიების მგრძნობელი.
ოცნებით ხალხი ვადიდე,
გავუფართოვე საზღვარი.
ვუყიელე: აღსდექ! იფხიზლე!
მოდის შენშიგან სხვა ღვარი!
მსურს ბრძანებლობდე ღმერთივით,
დარდის არ გვქონდეს ნაღარი.
მშრომელ ლაშქრისა ისმოდეს
ყიჟინა, დაფი, ნაღარი!
მეც რომ მენახა თამარი,
სხვაგვარად დავიმღერებდი;
დევნაც დაეწყო გარეშეს,
მე ერთი მოვიგერებდი!
შოთას ტოლობას ვიზამდი.
ძოწეულს შევიფერებდი,
და სიდიადით მოსილი
შორეულს გავაშტერებდი.
დღეს დავრჩი ქართველ პოეტად,
დავრჩი მე ვიწრო თაღებში;
ცხოვრების გზაზე ნაგრძნობი
და განცდა ენების ტალღებში.
ყრმის აღტაცება, ტრფიალი
და ცრემლი სევდის ბაღებში —
თეთრ მარმარილოდ ავმართე,
იგი ამშვენებს ამ არეს:
ხელთაუქმნელი საუნჯე
ძეგლად დავიდგი სამარეს.

1915 წ.

მეც ასე ვარ

თავმომწონე პეპელა
არავისგან შინდება;
შიშველ ყვავილს მიპარვით
ჰკოცნის, ისევ ფრინდება!
ამბობს: ერთს რომ შევიტკბობ,
სხვა ლამაზი მინდება!
  თხელს ჰაერში ფარფატებს,
მის სხივებში ბანაობს;
დაუდგრომელ სიცოცხლეს
მოუკიდებს განა ობს?
მრავალს უყვარს... მრავალს სძულს,
სიამეში ქანაობს.
  საით მიჰქრის პეპელა?
ან სად მიეჩქარება?
დღეს თუ ხარობს, ხვალ არა,
ეშხით მოიმკვდარება!
  ვილას ახსოვს ზღაპარი?
იყო, არა იყო-რა;
ის თუ მოკვდა, ვინ დარდობს?
თან ვინ გადაიყოლა?
მეც ასე ვარ ამ ქვეყნად
წამიერი სტუმარი;
წავალ, ვილას ვახსოვარ
სამუდამოდ მდუმარი?

1910 წ.

ცაგო მღერის შაირებს

ცაგოს ამკობს მარმაში.
ჩონგურს უკრავს კალთაში.
ჰხიბლავს ჰანგის თამაშით.

შაირს მღერის ქალებში.
ცრემლი უკრთის თვალებში.
ჭაბუკს გრძნობამორეულს
შეეტრფოდა შორეულს —

ქავთარ იყო რაინდი.
მტრობდა ქისტი, ნაიბი.
ცაგო ჰსურდა თავისად.
წაიყვანდა გაისად.

მთებში შეხვდნენ იალაღს.
სისხლი ღებავს იარაღს.
მღერის ცაგო ქალებში.
ცრემლი უკრთის თვალებში.

დარდით ქავთარს იგონებს...
ჩონგურს გულში იკონებს.
შურს ხომ ვერვინ იძიებს,
სისხლსაც ვერვინ აიღებს!
მის სახსოვრად ჩონგურზე
ცაგო მღერის შაირებს.

1910 წ.

Homo homini Lupus

ძმებო, გულში დარდი მაქვს,
რაც კი მწადა. აღარ მწამს.
ჩემს ძველ კერპებს ცეცხლი სწვავს.
მსურს ვუკივლო უმცროს ძმას.
და სად არის? აღარ ჩანს.
ომში მოკლეს სადღაც, შორს.
ყვავი ჰკოცნის და თან თოვს!
დედა გლოვობს, აფრქვევს ცრემლს.
სიზმრად ვხედავ გაჭრილ ყელს!
მგელკაცია, თუ ვინ ჰყეფს?
გულში ბოღმა: ბრაზი მრევს!
ვიღაც მღერის, ყვირის ერთს:
Homo homini Lupus est.

დედას მივწერ სულ ერთ ბწკარს:
ნუ ჩაიცვამს შვილზე თალხს!
გულს გაუტეხს ამით ხალხს.
ამ ცხოვრების დავლევთ შხამს.
ანდერძს ვტოვებ, გწამდეთ ეს:
სანდრო შანშე სისხლით წერს:
ცოცხალს შეგჭამს, ვინც კი გძლევს!
ცრუობს ყველა, მახეს სდებს.
ნადირი ხრავს სადღაც ძვლებს.
მოკლა გული, აღარ ძგერს.
Homo homini Lupus est.

1914 წ.

მგზავრი

ნოემბერს ეშვი დაეღო
და ქარის ჩარხზე ლესავდა.
სიცივის ხმელი ისარი
გამოფრენილი გესლავდა.
სუსხით დამზრალი ყორანი
ყიოდა, ელდას სთესავდა.
— მგზავრო! შეჩერდი! სად მიხვალ?
არ შიშობ დაიგვიანო?
-- ეხ, გუშინ კარი შეეალე,
ბავშმა იტირა მშიანო!

ყინვა დაცრეხილ ქუჩებში
ელავდა ელექტრონებად.
მავთულგაბმული ბოძები
ზმუოდენ კამერტონებად.
მათხოვრის ხელი არ ჩანდა
აწვდილი გამხმარ რტოებად.
-- მგზავრო! სად მიხვალ ავდარში?
ვეეჭვობ, წამსვლელი თუ მოვა!
-- მივდივარ, ჩავფლა მიწაში...
ეს ჩემი ბავშის კუბოა.

მგზავრთან იცეკვა სიკვდილმა
მტკვარზე ტივების სუფრაზე.
ცხოვრების იმედს ჭლექიანს

აყირავებდა ბუქნაზე.
ის უმაგრესი ეგონათ
წყალში ჩავარდნილ მუსაზე.
— მგზავრო, განა თუ შეგფერის
ეგ ჯიუტობა ფშაურად?
— ვაჰ თუ ჩასთვალონ ცრემლები
ვაჟკაცის დანაშაულად!

აპრილმა სუსხი გამოხრა
ნადავლად გამონატაცი.
მგზავრი მტკვარს გამოერიყა,
მოასვენებდენ საკაცით.
არვინ ტიროდა... მარხავდნენ
საღლაც მივარდნილ ალაგას.
მეკურტნეები ამბობდენენ:
— წვალებად გახდა — ჯანდაბას!
ცხოვრების გერი მოშორდა
ცხოვრების დავიდარაბას!
— მგზავრო, ობლები ჩივიან:
მამა არ მოდის 'შინაო.
რომ აღარ გესმის ძახილი,
აღარ ტირიან გვშიანო?

1926 წ.

ბატონი ცილინდროსანი

ვერის ხიდზე შუაღამით
შლეგი ქარი წივის...
იქ დამხრჩვალი თამარ ქალი
ზანგის ამბორს ჩივის.
მაჩაბელი დამნაშავეს

სუდარაში ელის.
გაბერილი ვილაც უცხო
ხრინწიანად მღერის:
„— ამაღამ მთვარე არ ამოვა...
ბნელა... ცივა ხევში!
რად არ მოხვალ? სხვერპლი მინდა.
მტკვარს — უსულო ლეში!“
მავი ფრაკი გადაუცვამს,
ყინვის თვალებს ინთებს.
გამხმარ კეფას აკანტურებს,
ცილინდრს მუხლზე იდებს.
და, არ ვიცი, რას მანიშნებს,
მახეს ხომ არ მიგებს?!
ხომ არ არის ოქროს მეფე,
ან მექარხნე ფლიდი?
ყველაფერს რომ ფულით ზომავს
და ფულზედვე ჰყიდის?
ჩემგან იგი რას შეიძენს?
ან რას მევაჭრება?
რა თავს იგდებს ბებრუხანა?
როგორ ილმანჭება?
და თუ იგი ყასაბია,
რად მონახა ხიდი?
რად უჭირავს ხელში დანა
გალესილი, დიდი?
ვამჩნევ, თითქოს სწევს სიგარას.
ფიცარს აგლეჯს კიბეს,
ოომ დაუცდეს გამვლელს ფეხი,
ოავის სხვერპლად სთვლიდეს.
— ჰეი, რატომ არ შაიპყრობთ?

მუხანათობს კიდეც!
ავაბაკი შემოგვეჭრა,
ჰხედავთ, ანგრევს კიბეს.
ის მორიელს ძვლის ფეხს ადგამს,
ძვლის ხელს კუდში ჰკიდებს.
ნესტარს იღებს და შხამს აცლის,
უკლებს, ხან კი ჰმატებს.
და გადმოჰყრის თვალებიდან
თეთრად მსუქანს მატლებს.
ახ! ვინ არის იმ შავ ფრაკში?
ვერ ვცნობ ცილინდროსანს.
ხელში ოქროს აჩხრიალებს,
გრძნეულ სიტყვებს როშავს.
ვერის ხიდზე, განცდის ღამეს,
ფრთებს იმტვრევდა ქარი.
აქ უდროო პაემანზე
მოველ გულით მკვდარი.
ამ დროს მძულდა თავი ჩემი,
მძულდა მეგობარი.
შინ ტირილი... გაჭირვება...
ღალატი და შარი!
მოაჯირზე დავეყუდე,
ყურს ვუგდებდი ხმაურს;
გიჟი მტკვარი მიმართავდა
გლოვის დღესასწაულს.
საზარელი რა მეწადა?
გული რისთვის კრთოდა?
გაბერილი ჩემს ზურგს უკან,
ვგრძნობდი, დავლურს ხტოდა.
ცივი ოფლი გადამესხა,

მახსოვს, ხელიც ვკარი.
შევუკივლე, გამოვბრუნდი,
უკან დამრჩა მტკვარი.
ვერის ხიდზე, ელექტრონზე
ფრთებს იმტვრევდა ქარი.

მე ის უცხო ამედევნა, მძიმედ მოაბიჯებს.
და რომ ერთხელ კიდევ ვნახო,
შემშლის, გამაგიჟებს.
ჰეი ვინ ხართ! დამიფარეთ!
ჩემს გულს შიში ჰმოსავს!
მეგობრებო! ნუ მოუშვებთ
ბატონს ცილინდროსანს!

მსურს გავიქცე, ვერ ვახერხებ...
შველად ვუხმობ ძმობილს,
ვერის ხიდზე მოაქროლებს
ვიღაც ავტომობილს.
და შოფერი კარებს აღებს, კიდეც ამიტაცა.
„— მოდი ჩემთან, მე ვარ მხსნელი!“
გულში ხელი მტაცა.
მიჰქრის, მაგრამ საით? საით?
იქ ხმა აღარ ისმის!
მან ყრუ ადგილს შეაჩერა,
უცბად ნიღაბს იხსნის.
და შოფერის ნაცვლად, ვხედავ.
ჯვერდით უცხო მიზის.
ყელში ვეცი. შემებრძოლა.
ვერ მძლევს ხალხის მგოსანს.
ჩემს მისამართს მეკითხება,

ელიმება ქოსას!
მეგობრებო! ნუ მოუშვებთ
უცნობს ცილინდროსანს.

სილარიბემ ჩემს ოჯახში
მკვიდრად ისადგურა;
ბავშვის დედა წევს ლოგინში,
ფარატინა ჰხურავს.
პაწია კი ძუძუს ითხოვს:
მკერდი არის მშრალი.
რა ვქნა? ლუკმა ვინ წამართვა?
ვის მიუძღვის ბრალი?
ბავშვი ბოდავს... სიცხეშია,
თუ ანთება უვლის?
„— მამავ! გესმის? ჭიხვინია
რაშის, ბედაურის!“
გავხსენ კარი, გავიხედე, სდგას კარეტა გარედ.
ეს მდიდარი ვინ მეწვია?
გამეღიმა მწარედ.
ნუთუ ვისმეს მოვაგონდი?
პატივს მცემენ მზოსანს?
ავკანკალდი... ჩემწინ ვხედავ
ბატონს ცილინდროსანს.
და გადმომცა თეთრი კუბო...
ვსთქვი თუ: როგორ ჰბედავს?
ცივად მითხრა: „შენ ბავშვს ძღვენი,
წინ დაუდგი დედას!“
თავზე კუბო დავამტვრიე, მოვიგერე ბრძოლით;
გამეღვიძა, კარგად ვიყავ შვილით, ჩემი ცოლით.

1924 წ.

ოქრი სიზმარი

I

სიზმრად გიხილე: ხეივანთ შორის
დანავარდობდი, დასცქრიალებდი;
ჩაგრულს მალხენდი, სხივებს მაფრქვევდი,
ციურ მშვენებით დაციალებდი.
და გადმომიგდე იქ ხელსახოცი,
რა შეისმინე ჩემი მუდარა;
გამომეღვიძა და დავინახე
ჩემთვის მოგეძღვნა თეთრი სუდარა.

II

ბაღში ვისხედით განთიადისას,
მღერდი: მე უნდა ფატმანი მერქვას;
წახველ და ვარდი მოჰგლიჯე ძირში,
სცდილობდი სხვაგან მის გადანერგას.
ყურს არ მიგდებდი განმარტოებულს,
თლილი ხელებით ორმო გასთხარე;
გამომეღვიძა და დავინახე
გამზადებული ჩემთვის სამარე.

1908 წ

პოემა უცნობ ხელებზე

გერონტი ქიქოძეს

ღამე გვიან შინ დავბრუნდი
და შევაღე კარი.
მკაცრი ყინვა სხეულს სუსხავს,
ყინვა შესაზარი.
ჩემს ძველს ბუხარს მივაშურე —
დავრჩი შენამკრთალი:
ჩემს გულს ცეცხლი ვეღარ ათბობს,
თუმც პრიალებს ალი.
ჩემს ძველ წიგნებს ხელი ფურცლავს,
არსად კი სჩანს ქალი!
მე იმ ხელებს, სასტიკ ხელებს,
რთველში მოვკარ თვალი.
ლალის ჰტევანს მომაწვდიდა,
ეშხით იყო მთვრალი.

რა დუმილი შემომერტყა?
ქარიც არ ჰქრის კარში!
თითქოს ვიჯდე აკლდამაში, ატირებულ დარში!
მსურს სიმშვიდე, დავიწყება,
ან ვინ გამახელებს?
წყნარი ფიქრი ამიჭრელდა —

ბნელში ვხედავ ხელებს!
ნესტანია რუსთაველის,
ან თუ ლეონორა!
მოდის ჩემთან, პასუხს ელის...
თვალი გამისწორა!

როდის იყო, აღარ მახსოვს...
დღეს, გუშინ თუ ადრე?
იმ უცნობთან მარტო ვიყავ,
ჩუმად სიტყვა ვკადრე:
— ჩვენ მარტო ვართ, მეგობარო,
ველარ ვამჩნევ სოფელს!
ჩემს დიდ სურვილს შენ იტაცებ,
ჩემთან განუყოფელს.
მაგრამ ცივა... იქნებ სხვაგან
სხივი სიცილს ანთებს?
და ჭაბუკი პატარძალთან
ყვავილებში ათევს?
იქ განთიადს მიუძღვნიან
უცხო საგალობელს.
ჩვენც ვიმღეროთ, მეგობარო,
შევხვდეთ ახალ სოფელს!

ის უცნობი ჩუმად იჯდა,
როგორც მუნჯი, მკრთალი;
საპასუხოს არ მეტყოდა, დაეხარა თვალი
შემდეგ ხელი ამოძრავდა, ნახა როიალი.
სანთლის თითებს ვერ გავუძელ,
აღარ სჩანდა ქალი.
კლავიშებზე ხელი კრთოდა,

სრიალებდა გველი;
ხანჯალივით ხმა ჰკვეთავდა,
ჰკვნესდა ვიღაც მკვლელი.
და ხელები აღარ შედგნენ,
ვკივი განამწარი;
აიშალა მოგონება,
აცეკვავდა მკვდარი
— ჰეი — შესდექ! მეგობარო,
არ მსურს გლოვის ზარი!
მკაცრი ყინვა სხეულს სუსხავს —
ხელი შესაზარი!

1912 წ.

რძალი ზენარი

რძალი ზენარი შეიმოსა მშვენიერებით....
სულის სამყარო თვით სპეტაკმა განაბრწყინვალა,
და გზად მოჰფინა ვარდზამბახნი ფერად-ფერადნი.
გარემო მისსა გამსჭვირვალე დაჰქრის სიწმინდე!..
ძრავალ ვეძიე და აწ ვპოვე სულის საუნჯე —
ვპოვე და აღარ განვეშორო უკუნისამდე!
ოცნება არის ხორცშესხმული ჩემი ერისა!
იგია ღმერთი, სამლოცველო, სარწმუნო ჩემი!..
ამიერიდან კურთხეულ არს ასულთა შორის.
ამიერიდან კურთხეულ არს რძალი ზენარი!
ძას სხვა ვერ ჰხედავს — ჰაეროვანს ყველა კი ეტრფის.
ზოგი ცრემლს აფრქვევს ოქრომკედის ალისფერ კალთებს,
ზოგმა აისხა იარაღი, დადგა სარანგად.
და ვინც გაურბის — უნებურად მის აჩრდილს ჰხვდება,
შენანებული იდუმალსა ლოცვას ღაღადებს.

მე ვნახე იგი, განცდის მთაზე როს მოვდიოდი.
დღეს ვარ მწვერვალზე და ჩემს სულთან განუყრელია!
შავთვალთა მზერა მკვეთრობს, ვითა ბასრი. მახვილი;
შავთვალთა მზერა ნაზობს, ვითა ვარსკვლავთ ციალი!
თეთრ კბილთა ჩენა კრთის, ვით ელვა ღრუბელთა შორის,
მკერდის ორ ძუძუს აკოკრებულს მზის სხივი ეტრფის;
მკერდის ორ ძუძუს ოდნავ ჰფარავს ლეჩაქ-საბური!
შიშველ ფეხებსა არ აკარებს ნამიან ბალახს;
შიშველ ფეხებსა მთის ყვავილნი ამბორსა ჰყოფენ!
მტრედის სიმშვიდე მიუწვდომელ სულს დასთამაშებს
და გულის სილრმეს ჰზომავს მხოლოდ სამყაროს სივრცე.
ასეთი იყო, ასეთია და კვლავ იქნება.
აუარებდეთ შინ და გარედ ერის დიდებას!..
ვითარცა ნაძვი ლიბანისა, ეგრე სდგას მარტო.
ვითა ფინიკი, ტკბილი არის მისი ნაყოფი!
ვითარცა მთვარე ოქროვანი, ეგრე ახლდების.
ვითარცა შუქი მთიებისა, ეგრეა ნაზი.
ვითარცა მდელო სიზმარეთისა, ეგრეა შლილი.
ვით გაზაფხულის ნორჩი ვარდი ტრფობით ჰკლავს ბულ-
ბულს. —
ეგრედ ველევი ცნობის ძალას მისი მჭვრეტელი.
და მივეახლე მის ვარდბაგეს, ერთ კონად შეკრულს,
რამეთუ ვიყავ გულით წრფელი და უცოდველი.
წყალობა მისი შემწევდა მე და აღმადგენდა.
ბუნდოვან თვალსა ამიხელდა მსუბუქის ხელით.
და სულსა შავად დაბნელებულს, გულსა დაკოდილს
მოჰბერდა სიოს სანეტაროს შორის ედემით.
და მეც ერთგული ღაღად ვყოფდი ქებათა-ქებას:
აუარებდეთ! სარკე არის ჩვენი დიდების.

ეგრედ ახარებს სულსა ჩემსა ნუგეშის ცემით.
ეგრედ საფარველს განმასვენებს მე, მისგან რჩეულს.
ეგრედ მიმილო მშვენიერმა ნათელის პირით!
მომცა მე ძალი და მასმინა ხმა იდუმალი:
„რჩეულო ჩემო! დღეის შემდეგ ხარ სასო ჩემად!
შეიბ მახვილი წელთა შენთა და მექმენ მცველად!
ნუსადა წარსცე ქვასა ფერხნი ავთა შელოცვით:
ხვიდოდე ზედან ასპიტსა და ვასილისკოსა,
აწ ნულარ ესავ მთავართა და ქვეყნის მპყრობელთა,
რომელთა თანა სამუდამო არ არს ცხოვრება.
ჩემთან არს კვერთხი განგებისა და სუფევისა!“
აღვაპყარ ხელნი და ღაღად ვყავ კიდით-კიდემდე:
დიდება ჩვენი ჩვენთან არის — რძალი ზენარი!
ჩემი ოცნება მან დაჰბადა და მისცა მდელო.
რომ ფრთების რხევით ინავარდოს, არ უჩნდეს ზღვარი.
ჩემი ნუგეში იგი არის — რძალი ზენარი.
ᲫᲘᲡ სადიდებლად ბნელ ღამეში ხელნი აღვახვე. —
მას თუ გარეშე ვერ ხედავდა, მე დავანახვე.
ოცნების თვალით დავანახვე თვით ის ოცნება.
ჩემი არსება, ჩემი ლტოლვა მას ემგოსნება.

მიყვარს იგი, ვინც ძილს მიფრთხობს
და შვენება ისრად მასვა;
მიყვარს იგი, ვინც სევდის ჟამს
უკვდავების წყარო მასვა.
მიყვარს მისი წმინდა სუნთქვა.
და ღიმილი გამჭვირვალი;
მიყვარს მისი ნაკვთის რხევა
ხან ნათელი და ხან მკრთალი.
ვეტრფი მარად მას — ოცნებას —

ოცნებითვე გარემოცულს;
ვეტრფი მარად შორეულსა,
ვეტრფი სულთან ახლო მოსულს.

მზეო, მზეო! ქვეყნის სულო!
შენ მოგმართავ მიუწდომელს!
შენს სიცოცხლეს ყველას აძლევ,
არსსა ვხედავ სოფლად რომელს.
უხილავსა ერთი შეიქმ
და ხილულსა ასულდგმულებ;
შენა ჰბადებ, შენვე ამხობ, ხან ახარებ, ხან აწყლულებ!
სამყაროში გაბნეულა
შენი ცეცხლი ჩაუმქრალი,
მე სხვას თაყვანს არა ვცემდი
უკუ ვაგდე ძველთა კვალი,
ვინც აღმითქვი შენ, ძლიერმა,
და სიზმარში ვნახე რძალი,
იგი შენი ასულია,
შენი სიბრძნით განამჭვალი;
შემახვედრე მას, ჩემს თვისტომს,
ჭქმენ დღე შავი ჩემთვის ლალი!

ვეძებ დაღლილი, ვეძებ დღე-ღამეს,
თითქოს მივაგენ უკვდავ სიამეს —
მაგრამ ვტყუვდები, ის სხვაგან არის!
უსაზღვროების ვცილდები საზღვარს,
ვერც იქა ვპოვებ სულის თანაბარს
სწუხს ფიქრი ჩემი, ფიქრი შემკრთალი!
სულმა შემოვლო მთლად კიდით-კიდე.
ბევრ საიდუმლოს ახადა რიდე,
მაგრამ თვით იგი ვერ დავიმშვიდე.

კიდევ მივდივარ — და სად მივდივარ?
არ ვიცი! მასთან უნდა წავიდე!

სუსამბარო, გაზაფხულის სტუმარო!
კდემით სავსევ, მარად ნაზო, მდუმარო!
სევდა დაჰქრის შენსა გარეშემოსა.
ეგ სხეული მორცხვობით ვინ შემოსა?
შენა ჰგავდე, ჩემს მიჯნურსა მგონია,
რა დაგხედე, მსწრაფლ წარმტაცე გონია!
ეგ ფურცელნი სატრფოს მკლავებს უდარე,
სინარნარით, ტურფად შემოსუდარე.
ის გინახავს, იქმენ რძალის სადარი.
მეც მასწავლე, მისი ბინა სად არი!

არ მოსულა? როდის მოვა?
დღეს მე უნდა იგი ვნახო;
ეხ ლოდინი გარდამიტანს,
ეხ, როდემდის ვივაგლახო?
გესმის? ჭიშკარს ვილაც აღებს, თან შრიალიც გავიგონე;
რად ვკანკალებ სიხარულით, რად მელევა ასე ღონე?
ნუთუ სხვაა? სხვა ნაცნობი?
ვინ გასტეხდა ადრე ღამეს?
ვგრძნობ და მესმის ახლოვდება,
ძოაქროლებს თან სიამეს!
თვალი ჩემი მისკენ არის,
შორს განქვრიტა დრო და ჟამი;
თვალი ჩემი მას დაეძებს,
ძირს დასტოვა სოფლის შხამი.
მასთან! მასთან! ან ის ჩემთან!
დღეს მე იგი უნდა ვნახო;

ეხ, როდემდის ცდა დამჭირდეს?
ეხ, როდემდის ვივაგლახო?

თუ სიკვდილმა მიმასუსტოს
და მებრძოდეს ცივი ხელით,
თუ სარეცელს ძაძა უძღვნას,
სევდაც აღსდგეს შავის ხვრელით,
ჩემნი ტოლნი ცრემლს მალავდნენ,
გავიგონო ირგვლივ გლოვა —
შემდეგ მოდგმას ვუანდერძებ:
მე თუ გტოვებთ, ის აქ მოვა!..

1912 წ. ბერნი.

თანამედროვე ცხოვრების

თანამედროვე ცხოვრების
ეკლის მთა გადავიარე:
ბედკრულმა ბევრი ვარამი, წუხილი გამოვიარე.
ვსცან სოფლის ცვალებადობა
და სიბრძნე გავიზიარე:
ხმა იდუმალი მესმოდა:
„სულ წინ ისწრაფე, იარე!“
    რაც კაცობრივი მებადა, —
იყო წამწყმედი სულისა
წამერთვა, გამინიავდა
ღაღადი სინანულისა.
ზღვის ტალღებს ამოეფარა
მნათობი სიყვარულისა.
მაგრამ მით მაინც არ გავხდი
საგანი სიბრალულისა.

საზღვარს გავსცილდი სოფლისას,
ვიქმენ მაღლიდან რჩეული:
დღეს ნეკტარს მუზა მაპკურებს;
თვითვე სიამეს ჩვეული.
უკვდავსა ნანას მიგალობს,
სინარნარითა რხეული,
ტანსა ჩამაცვა პორფირი,
ედემში ამოხვეული.
ძველ გმირთა აჩრდილს შევეტკბე,
ვისწავლე გრძნეულებანი;
დავჯექ და ჩანგი მოვმართე,
შევუხმატკბილე ნებანი.
ზღაპრის კუნძულზე ჩემ დარათ
ვერვინ აჟღეროს ებანი;
შევთხზე უკვდავი ლოცვანი
და ახალ-აღთქმის მცნებანი.
ადამი წამით მოსულა,
კვლავ მიწას მიებარება;
სიზმარი არის სიცოცხლე,
მიჰქრის და მიეჩქარება.
შავ ლანდსა დავიწყებისას
თვით ხსოვნა მიეფარება;
სიკვდილი ცივი, უნდობი
ჯალათად დაიარება!
აღსდგება ძველი დიდება,
ფენიქსებრ შეიფრთხიალებს;
კვლავ დაეცემა ანაზდათ,
რისხვა თავს დაიგრიალებს;
ხალხი წავა და წამოვა,
სიტკბო-სიმწარით იამებს;

იქ შიში დაემკვიდრება,
სად ძლევის დროშა ფრიალებს.
მხოლოდ არ კვდება სახელი,
მაღლა ზეცამდე ასული;
მასშია მარადისობა:
აწმყო და დიდი წარსული.
ზეარსად დაგვირგვინებულს
სულ ვერ უმუხთლებს ავსული.
შეღალადებენ ტკბილი ხმით,
მას უგალობებს ასული.

1912 წ. ბერნი.

ELEKTROს არმაზი

„...სანდრო შანშიაშვილს ველით
თქვენგან ზაჰესის შეურყეველ ძლიერების ამღერებას.

ვ. ავაქოვი“.

ძმებო! წარსული საუკუნის რღვევის ეპოქებს
ვეტყვით: მშვიდობით! და ახალთან მივალ ალავერდს!
აღორძინების მომავალი ჩვენს გულს აოხებს!
სალამს მოგიძღვნი! შრომა სუფევს! შრომა განაგებს!
ძველი დავტოვეთ.... და ახალთან მივალ ალავერდს!
უკვე ილიამ დაიტირა დრო დამარხული!
ჰგმობდა თვის აწმყოს, სამიკიტნოთ გლახ გარდაქცეულს!
ქართლის გულს ჰქონდა დაბჯენილი მაშინ მახვილი
ფეხქვეშ ქელავდენ სისხლით შესვრილს მცხეთას დაქ-
ცეულს.
დღეს დრო იცვალა... და სულ სხვა გვაქვს გულში ზრა-
ხული!

მე რო ვნატრობდი და ხან სიზმრად მომლანდებია,
— სატრფო ზენარი საქართველო მოსილი თალხით —
დღეს ის ატარებს წითელ მანდილს... თვალნი გზნებია!
ციხით დახსნილა. ბედნიერი მშრომელი ხალხით...
ერი განახლდა! დრო დიდების გასთენებია!
უკვე დაემხო ივერიის მეფე ირონდე!
ძველად რიონი. ალაზანი მტკვართან სტიროდნენ.
დღეს მანქანებით აზრიალდნენ მთვარის ღილებათ,
დასხდნენ თბილისზე ფერიებათ და ელიმებათ!
ზემო-ავჭალა! ძველი მცხეთა — ქართლის ცხოვრება!
კვლავ ნათელს იღებს და ირთვება სხივით გავაზი!
და გამარჯვება საქართველოს ეამბორება!
ყველას ახარებს დღეს ელექტროს ღმერთი-არმაზი —
დიდი ზაჰესი — საბჭოს ფესვი — ქართლის ცხოვრება!

1927 წ.

ლენინი ჯავშანოზე

შემხვედრია მე ჯავშანო საზარი..
ომში რისხვა!.. მთებს გაჰქონდა ზანზარი!
თავს სწირავდნენ შვილნი სოფლის, ქალაქის.
არვინ ჰყავდათ ფასდამდები ამაგის.
ინთქებოდა შრომა, ოფლი მრავალი,
მაგრამ ჯილდოთ რა წამება, რა ვალი!..
მე მინახავს ქუჩებზედაც ომები,
როს უფლებას მოითხოვდენ მონები.
იქ ჯავშანო მშრომელს ანადგურებდა,
მყუდროებას ბატონს უსადგურებდა.
მბრძანებლობდა ოქროს მეფე — მამონი,
მისთვის იყო მაშინ დღენი ამონი!
მაგრამ. ნახეთ, ვინ გამოჩნდა დეენილი?

ჯავშანოზე მტკიცედ შედგა ლენინი!
ოქტომბერში საჭე მარცხნით მიმართა,
ლაბვარსიტყვით ხალხს ქუჩაზე მიჰმართა:
— უფლება და ძალა მხოლოდ საბჭოებს!
სხვას ნუ ატანთ თქვენი შრომის სარჩოებს!
აფრიალდა დროშა სისხლის ფერადი.
ჯავშანოდან არ ჩამოდის ბელადი.
აქ შეერთდა: აზრი, ძალა და ნება.
მართველობა ოქროს აღარ ანება!
    დღესაც დაჰქრის. ასპარეზი დიდია —
სადამდინაც ზღვა, ხმელეთი, კიდეა!
ჯავშანოზე ძეგლად მდგომი ლენინი!
ოქტომბერი — აღარც მონა დევნილი.
სულ ერთია: ისრაელი, ელინი!

1927 წ.

შოთამ მამხილა

ხარ ბრძანებელი, ყვავილებით გვირგვინოსანი:
სინაზის ნიშნად ხელთ გიპყრია ნორჩი სოსანი.
იგია შენი ძლევის სკიპტრა ფერადოსანი.
შოთამ მამხილა, ვყოფილიყავ შენი მგოსანი!...
და, აჰა, გიმღერ ქართლის ქალო, სულო მზიერო!
ჩემის დროების საუნჯეო, სოფლად ძლიერო!
ზაფხულის პირო, წმინდა ნებით მარად ციერო,
თამარ ლამაზო და ნარნარო ივერიელო!
    როს ახლოვდება შენი დიდი ღღესასწაული,
შემოევლება მდელოს მწვანედ გარს სამკაული!
ზეიმით ხვდება შენს დიდებას მოხუც-ყმოსანი,
ამ დროს ვერ იტყვი, თუ რად მღერის შენი მგოსანი!

თანამედროვეს სიაძეს ჰგვრის ჩემი ხსენება,
რადგან შეგიტკბე და ვიმღერე შენი მშვენება;
ჩემში ერს უყვარს შენი სახე, თამარ, დიელო!
თამარ სპეტაკო და ნარნარო ივერიელო!

1914 წ.

ოქტომბრის ჰიმნი *)

ქაოსი. კვნესა დამონებულთა. ისმის ქარხნის გუგუნი. ჩაქუჩის ცემა გრდემლზე. ვაკხანალურს სიმღერაში იკრება ხან „მარსელიოზა", ხან „მსხვერპლად დაეცით" და ხან „ინტერნაციონალი". ბრძოლა წყვდიადში. პანიკა. ბორკილის ჩხრიალია. პოლიტიკურ პატიმართა ეტაპი. დემონსტრაცია და მისი გაფანტვა.

— მშრომელო ხალხო,
შემოკრბით ერთად
ვიბრძოლოთ მედგრად!
აღზდექ, შენც გლეხო,
მტარვალთ ხელშია ჩვენი უფლება
თავისუფლება.
— აღზდექით მუშებო.
აღზდექით გლეხებო,
წითელი დროშა ჩვენ წინ ფრიალებს
და ზარბაზანიც დაიგრიალებს.
— აღზდექით მუშებო.
აღზდექით გლეხებო.
გესმით მაშვრალის კვნესით ძახილი.
მტრის გულს გააპობს ჩვენი მახვილი.
— აღზდექით მუშებო.
აღზდექით გლეხებო.

*) ამ ტექსტზე დაწერილია მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილის მიერ და დავამუშავეთ მე და შალვა დადიანმა.

ბარიკადებზე ვიბრძოლოთ მედგრად.
მტრის იერიშზე მივიდეთ ერთად.
— კმარა მონობა. ცარცვა უხეში.
მარჯვენა ჩვენთვის არის ნუგეში.
ბრძოლაში ვპოვებთ დღეს ჩვენ უფლებას
თავისუფლებას.
— ციხეს დავანგრევთ რკინის კარიანს.
გზას გავუკაფავთ პროლეტარიატს.
— ვერ შეგვაკრთობს ბნელი ძალა.
ჩვენ მებრძოლნი ვერ დაგვძალა.
წინ, წინ იარეთ, და ბრძოლაში იამეთ.
— შრომის ხალხი დავრდომილი
უნდა ვნახოთ აღდგომილი.
წინ. წინ იარეთ
და ბრძოლაში იამეთ.
— შვილებს მივსცეთ მომავალი,
მოვიხადოთ ჩვენი ვალი.
წინ. წინ იარეთ
და ბრძოლაში იამეთ.

ბრძოლა ბარიკადებზე. ტყვიის ზუზუნი. ფრქვეველთა კაკანი. წყვდიადს გარიჟრაჟი სცვლის. ამოიმართება რკინის კაცი ლენინის სახით. მოდის მუშა ჩაქუჩით. მოდის გლეხი ნამგალით. ხელიხელს გადააჭდობენ და კეთდება „ღერბი" საბჭოთა ხელისუფლებისა. სხვადასხვა ეროვნების და სახელმწიფოების მუშები, გლეხები:

— ახალი აღთქმა და გზა ახალი,
არის ოქტომბრის რევოლიუცია;
მთელი ქვეყნისთვის — მშრომელ ხალხისთვის
თავისუფლება გადმოუცია.
— ვაშა ოქტომბერს
და მას დიდება

ეს არის ხალხის აღორძინება,
— ოქტომბერს ვუმღერთ,
დროა ნეტარი.
ოქტომბრით ხარობს
დღეს პროლეტარი.
— მთელ მსოფლიოზე ანთავისუფლებს
დაჩაგრულ მონებს—სიხარულს მობერს;
მას. ცხოვრებაში მაგარ საძირკველს,
დიდება მარად წითელ ოქტომბერს.
— ჩვენ შევქმენით სიმდიდრე,
და მას ჩვენვე მოვიხმართ;
გაუმარჯოს ოქტომბერს:
ყველა თანასწორი ხართ.
— აღმოსავლეთ-დასავლეთს
შეუერთებთ ოქტომბერს.
— სხვა დროს ჩვენი ნაშრომი
სულ სხვას მოუხმარია;
დღეს კი საჭე ცხოვრების
ხელთ აქვს პროლეტარიატს.
ვარსკვლავიან დროშებით
მივალთ, მიგვიხარიან:
მთელი ქვეყნის მუშები
ჩვენთან ერთად არიან;
აღმოსავლეთ-დასავლეთს
შეუერთებთ ოქტომბერს.
— საბჭოთა კავშირს ქება მარადი.
მთელს მიწის ზურგზე სახელი ლენინ.
ყველგან მშვიდობა, შრომის უფლება
და გამარჯვება დიდი ოქტომბრის.
— სად მზე ამოდის — აღმოსავლეთში,

სადაც მზე ჩადის — შორს დასავლეთში.
ზღვაზე, ხმელეთზე,
მინდვრად, ქალაქად.
სად ოქრო სჩაგრავს ადამიანსა.
ყველგან ლენინი და ოქტომბერი.
— ვაშა ოქტომბრის რევოლიუციას.
დიდება მებრძოლთ და მის დამცველებს.
დიდება ფხიზელ წითელ არმიას,
მშრომელ გლეხობას და მის მხნეობას
და მთელი ქვეყნის პროლეტარიატს.
— ოქტომბერის დევიზია:
დაღლილს შვება.
მშიერს კვება.
ხსნა ჩაგრულის.
გამტკიცება.
სიყვარულის.
და მშრომელის გამარჯვება.
— ოქტომბერი კიდით-კიდე.
ხალხს მოვიმხრობთ მრავალს კიდევ.
აღზდგეს ყველა დაჩაგრული.
ჰპოვოს შვება დაკარგული.
ოქტომბერი. ოქტომბერი.
ერთობა და სიყვარული.
ქვეყნად შრომის გამარჯვება! —
ეს ლენინის არის მცნება.
— ხალხთა კავშირი.
საბჭოთ კავშირი.
მშრომელთა ხალხს ხელისუფლება.
ერთს დიქტატურა, პროლეტარიატს,
არის სიმართლე.

თანასწორობა.
აზრის სინათლე,
შრომის ზეიმი
ალარსად ჩაგვრა.
ალარსად ომი.
ხალხთა კავშირი
და საბჭოეთი:
მშრომელთა კლასის ხელისუფლება.
ერთს დიქტატურა: პროლეტარიატს!
სოციალიზმი მთელს მსოფლიოზე.
ვაშა ოქტომბრის დიდ მონაპოვარს.

— ერთი. ორი. ერთი ორი.
მოხდა დიდი ოქტომბერი.
ყველა არის თანასწორი.
სულ მცირე და დიდი ერი.
მოხდა დიდი ოქტომბერი.
შრომის შვილი მუდამ მღერის:
გაუმარჯოს უკვდავ ლენინს.
—გაუმარჯოს დიდს ოქტომბერს.
მსოფლიოზე ყველა მშრომელს.
გლეხისა და პროლეტარის
ძლიერ კავშირს ეანუყოფელს.

1927 წ.

ბ ი ნ ა დ ა რ ი

მსუქანი მთვარე ხან ეხვევა ღრუბლის საბანში —
და მოსჩანს სახით გაბადრული ქალი საკანში
თალხის კაბაში —
ხან კი კალოზე გოგობიჭებს დასდევს კაშკაშით,
ცელქის თამაშით.

გლეხის ოჯახში ჩამჩით ხელში მოხუცს სალიას —
აღარ სცალიან.
ქვაბი შეუდგავს. ამზადებს ხარშოს;
თან მიყრუებულ ხმით უძახის კუდრაჭა მაშოს.
ის კი ტოლებთან „ძერაბუას“ ბინდზე თამაშობს....
მასთანვე არის ფეხშიშველი ცელქი მარია.
კარგა ხანია.
მოხრილ დედაბერს ჩამჩით ხელში აღარ სცალიან:
— სუფრა გაშალე, შე პირშაო, გოგო მარია!
პირშო თანდია და აბრიკო მინდვრად არიან!
სად დამეკარგე?..
გამხმარ პურს ამტვრევს, თან ჩიფჩიფებს: იმათ შეარგე!
„სველ ლუკმას სჭამენ... გოგო! გოგო! სად დამეკარგე?!“
რძალი კუთხეში აკვანს არწევს... ძილის პირს უმღერს.
— „ნანა! ა ფისო! შვილო, ნანა! ძუძუ არ გშია!
მამა ბარშია!
პაპასთან ერთად ის სამკალშია!

ქას უწევს ულელს...“
რძალი კუთხეში აკვანს არწევს, ძილის პირს უმღერს!
ხვადი ეზოში გაწოლილა და უცხოს ულრენს...

სხვა ბავშებს სძინავთ...
ძუძუთა კი კვლავ ჭირვეულობს.
ძაღლს ჯავრი მოსდის: „ჩემს სიფხიზლეს ეგ რად ჩემულობს?“
— ა ფისო, ნანა! დაიძინე, კარგო დათუნა!
— სუფრა გაშალე, შე პირშაო, რამ დაგადუნა?
მაგრამ მარინე მოქანცულა...
თვალიც მილულა!

ივახშმებს გლეხი და სოფელი ღამით წყნარია.
დიდი ლამპარი მოწმენდილზე მხოლოდ მთვარეა.
მამლის ყივილზე გაეხვევა ღრუბლის საბანში,
როგორც პირიმზე თალხის კაბაში.
ᲫᲖᲔᲗᲣᲜᲐᲮᲐᲕᲘ ტᲧᲕᲔᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲨᲘ.
ფხიზელს მურიას თვალს აუხელს შუქის თამაში.

1925 წ.

დედისერთა ლენინთან

ბალადა

„შვილო! ეგების გამიგო ჩემი ვაჟიკას ამბავი. შენ ყველა გიცნობს, ხმა მიაწვდინე. ომიდან შინ აღარ დაბრუნებულა. ცხრა წლის წინად კიდევ მივიღე წერილი რაღაც საქალაქო ომში ვიბრძვიო. შემდეგ აღარაფერი ვიცი. მკვდარია თუ ცოცხალი? მე კი სულ შვილის მოლოდინში ვარ. დამწყდა თვალები. გამიგე, აგრემც შერჩები ქვეყანას".

დედის წერილიდან.

გარედ ცივა... ჰქრის ქარი...
მთვარე ვახშმობს მუხებში.
დახშულია ჭიშკარი,
აძევს ურდო უხეში.
დედაბერი მიმჯდარა
ბუხრის ახლო კუთხეში.
თვალში ცრემლი დამშრალა...
მოხუცს ვინ სცეს ნუგეში?

ჩასთვლემს, ისევ იღვიძებს.
ღამეს თეთრად ათენებს;
გულისყური ერთზე აქვს.
მის გულს ერთი ამთელებს!
მუხლი მაინც უჭრიდეს,

ხალხს შესძრავდა ომით ის;
ალარ ძალუძს საბრალოს,
შავს ძაძებში დრო მიდის.
ლოდინი და იმედი!
ბვალეც ღამე ლოდინის!

მას ბურანში მოესმის:
— დედი! გახსენ ჭიშკარი!
მე ვარ! ნუთუ არ გესმის?
გარედ ცივა, ჰქრის ქარი!
შენი შვილი დაბრუნდა, დედისერთა ვაჟიკა;
უვნებელი, მაგარი, როგორც სალი კაჟი ქვა!
გახსენ კარი, დედა უ!
შენს შვილს გარედ რა უნდა?
ეს ხომ მე ვარ! არ გესმის?
შენი შვილი დაბრუნდა!

დედა ენას ვერ აგებს, სწრაფად დგება მძინარი;
სიხარულით ცახცახებს
— შვილო, დედა შინ არი!
ღელვით კარებს გააღებს.
იქ არვინ სჩანს მღიმარი!
ცრემლით წყვდიადს შესცქერის:
— ტკბილი იყო სიზმარი!

როს მოხუცი ბუხრის წინ
შვილს სიზმარში ხედავდა,
იმ დროს მისი ვაჟიკა
ბტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა.
ის იბრძოდა წითლებთან,

წითელ დროშას იცავდა.
ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედა!
პირველ რიგში დაეცა...
ტყვიამ აღარ იცადა!
მისი კვნესა: „ოხ დედა!“
ზარბაზანმა დაჰფარა;
თავი დასდო ხალხისთვის.
სისხლი ნორჩმა დაღვარა.
ნახა საძმო საფლავი,
ველარ — დედის ჭაღარა!

და იმ დღიდან მოელის...
გარედ ცივა... ჰქრის ქარი!
ზის და უცდის გულმკვდარი
დედისერთას მთის ქალი.
მუდამ ფხიზლობს. მზად არის,
შვილს გაუღოს ჭიშკარი!
თავზე დასთენებია.
ამოსულა ცისკარი.
აღარ ძალუძს საბრალოს.
შავს ძაძებში დრო მიდის.
„დედა მას ენაცვალოს“,
ხვალეც ღამე ლოდინის!

მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში

ტყე ჭიაურის ჯიქურ ჯიღად უდგა ალაზანს —
გველეშაპს მზეზე გაზმორებულს და უცხვირპიროს.
კაბალს და აფენს შეიტბორებს მდორე თანამგზავრს.

ბეზარ შვიდებას ჰსურს კარჩხალი გადაიბიროს,
მორევში ჩაფლას, დაღესტანის ცრემლით იტიროს.

ხამი მუხნარი! ხორკლი ბოყვიც გამოერევა:
ჯმუხი დევები დაღარულან ათასი წლებით:
გრიგალი ჰგრაგნის მაგარ ტოტებს და ვერ ერევა!
აქ მაჯლაჯუნაც დაბაჯბაჯებს ყრუ მოწიწებით.
ანოყიერებს მიწის ქონი კუზიან ძირკვებს...
ასუყდა მუხა, გაიბოტა და სიზმრებს ირკვევს!

ულრანში ღველფავს დიდ მუხასთან ციხის ნანგრევი,
ხრიოკი არხი დახეთქილა ქვიტკირნაგები;
დუმილი დადის მოდუნებულ გრძნობის ამრევი,
აქ ერთხელ ჰერეთს რაინდობა ჰქონდა ნაგემი.
ენა აიდგას მუხა ამბავს გადმოაფენდა:
დაჩაჩხულ ქერქზე დაჩეხილი ლანდი ათევდა.

ხავსიან ბარძაყს შესძრომია მსუნაგი ფითრი.
წურბელის ჭანგით ჩარჭობია. სჭამს. ძღება ღალით;
ჩაქინდრულს ველურს შელევია არჯალი ფიქრი,
ღოჯებდაღებით ბუ ღავღავებს შებოლმილ ღამით.
იქნებ დათავდა დრო დიდების — ამხობენ მუხას?
იქნებ შეუნთონ დაშაშრული დამშეულ ბუხარს?

სთქვეს: უნდა მოვჭრათ! აქ რას გვარგებს? ნაჯახი დაჭკრეს,
დაკვალთულ ხელში ბირდაბირი ღერღავდა მაყრულს
გვერდგამოხრული აჯანყებდა ტოტების აფრებს,
სისხლი გადმოსქდა. როგორც ბულას ყელგამოღადრულს.
მუხას წაქცევა არ უნდოდა, თავს იმაგრებდა;
ინძრა. შეირყა. აჭახჭახდა... გავარდა მეხი.
გადაიზნიქა. დაძლეული სხვებსაც ანგრევდა.
დაეცა ლომი. ქონდრის კაცმა დაადგა ფეხი!

ბატონიშვილს გული უწუხს

ბატონიშვილს გული უწუხს, მარტო ვეღარ სძლებს!
უგვირგვინოდ ბაღში დადის. რჩეულს სევდა სძლევს.
სდუმს ხუმარაც. აღარ ამბობს იგავ-არაკებს...
თავს ყორანი დასტრიალებს, შავი შავად ჰყეფს!
ბატონიშვილს გული უწუხს. მარტო ვეღარ სძლებს:
ავად არის დედოფალი, ფერმიხდილი წევს,
ჰგრძნობს, საყვარელს დაშორდება, ჩუმად ცრემლი სჩქეფს
და თან ესმის: შორს ყორანი თვალბედითი ჰყეფს!..
ბატონიშვილს გული უწუხს, მარტო ვეღარ სძლებს!
სეფე ქალნი ქვითინებენ. ტირილი აქვთ რძლებს!
გლოვის ზარი ჩამორეკეს. თალხს აცმევენ ღერბს.
ბატონიშვილს აღარ სძინავს. გულხელს დაიკრეფს...
ყორანი კვლავ დაყიალებს და ყარყუმი ჰყეფს.

1914 წ

რთველი კახეთში

ვენახს ჩაუვლის მეზვრე ჩიბუხით,
ნამი ჰბანს ქალმებს, ძურწა ჰპატიჟებს:
პატივი დასდო ვაზებს გულუხვად.
კუმში მტევანი მარგილს ამძიმებს.
ავსილს ძუძუებს თვალს გადაავლებს,
ეს მოსავალი მის ჯულს აამებს.
იმედით სავსე ფიქრით ერთობა,

დაჰკრეფს, გაივლის ალავერდობა.
  რთველიც გაჩაღდა. მეზვრე სმაურობს.
თადარიგშია. ის მეთაურობს.
თავკვერს, რქაწითელს ერთად არ ურევს.
ავსებენ გოდრებს, გზავნიან ურმებს.
უკვე მზად არის ძველი მარანი,
ზოგს გადაუკრავს, ისმის „ჰარალი“.
  ააჭრეს ჩხები, აკიდოები.
გაავსეს სხვენი, ძირს თაროები.
ციკანი ქვაბში ჩაუხარშიათ.
ჯერ არ სხდებიან. — ალბად არ შიათ.
ნავი სავსეა, როგორც ხომალდი,
და ზედ შემდგარა სამი ჯომარდი.
სწურავენ ფეხით და თან მღერიან.
ქვევრებსაც ყელი მოუღერიათ.

1924 წ.

ნიშნობა სოფლად

სიძემ ნახა დღეობაში,
ქალმაც თვალი გაუშტერა;
სხვამ შენიშნა, დაჰკრა ტაში!
თუ რა მოხდა ბევრს არ სჯერა!
მრე ხინჯელამ ჩაიმღერა
და მით სიძე გადიმტერა.
კოჭლი ციქო ყველას აქებს,
ენას არ ღლის, დალაქლაქებს,
თან ჩურჩულებს: დაინიშნა!
დერეფანში ზურნა უკრავს,
ყრმამ საყელო გადაიხსნა...

თამაშობენ... ზოგიც ბუქნავს.
გოგოებსაც გული მოსდით:
„ის ირჩია! სხვები რისხა!“
ერთი ვაჟი თავს იწონებს,
გამოვიდა წრეში წყნარად:
ჩოხის კალთებს იქ ისწორებს,
შემდეგ სრიკას უსვამს ჩქარად.
მან პატარძალს უყო თვალი,
გააწითლა ოდნავ ქალი:
ცეკვით გვერდზე ჩაუარა.
აგონდება ძველი დარდი:
წინად ერთხელ თვისად სცნობდა,
ეხლა სხვა ჰყავს გულის ფანდი.
წრეში იწვევს საცეკვაოდ,
მძიმე-მძიმედ არხევს ხელებს;
სიძე მაინც მშვიდათ სუნთქავს,
მას ვერავინ გაახელებს.
და სიმამრი. ბრძელ-ულვაშა,
იპატიჟებს უკვე სტუმრებს.
შუა-კაცმა ცხვარი დაჰკლა,
ქვაბში ჰხრაკავს ინდაურებს!

1924 წ.

ს ო ფ ე ლ ს

გულს მიხალისებს სოფელი,
მიწაზე დაკვრა ბარისა;
არ ჩამორჩენა ყანაში,
ვენახში შედგმა სარისა,
დაცვა მშრომელი მარჯვენის —

ვერ სთქვან არაკი მხდალისა!
გუთანს რომ გლეხი გაავლებს,
გადააშავებს ანეულს,
მეხრე რომ ღამეს გაათევს,
და მთვარეს შესცქერს გალეულს,
მურია თეოს დარაჯობს,
ნადირს არ უშვებს ბარეულს,
ველით ტოროლას გალობას,
ხოხბის ყივილთან არეულს,
მაშინ ჩვენც წამოვიშლებით,
ისევ ვხნავთ იმავ ანეულს.

ზაფხულში, მზე რომ დააჭერს,
ომი ჩაღდება ჩართული:
ვენახი, კალო, სამკალი,
ურემი ძნებით დართული,
არ, იცი რომელს მიხედო,
ხარ ყველაფერში გართული.
ამ დროს სოფელში იხილე
მიწასთან ბრძოლა ქართული!

ვიცოცხლებ, მუდამ ვიმღერებ,
შევაქებ ქოხებს, ალიზებს:
სოფლის ფერადი ცხოვრება,
მუდამ გულს წამიხალისებს!
შრომის, მარჯვენა გულუხვი
უბეს სიამით ამივსებს,
მაშინ ავმაღლდე მგოსანი,
გლეხიც თუ ქებას მაღირსებს!

1923 წ.

მჯედელი ზაქარო

ძანგ! რაკა! რუკ! ძანგ!
ცეცხლი. სწვავს ჟანგს...
ქურა გუგუნებს მშრომელთა ჰანგს.
გრდემლზე ჩაქუჩი რაკუნებს: ძანგ!
სანამ ცხელია, ბარსაკვეთს სჭედს.
გუთანს შეუდგამს სახნავად გლეხს.
დააფოლადებს, ხელცულას, ცელს,
და ოფლს მოიწმენდს ხანდახან ცხელს.
არ უფრთხილდება ის თავის ჯანს:
ძანგ! რაკა! რუკ! ძანგ!
რა ზეიმი აქვს სამჭედურ ქოხს!?
— ჩქარა ნახშირი! დავპირავ თოხს!
დალამებამდე ვეშუროთ დროს...
აბა, ჩაქუჩი! ზარმაცი მძაგს!
ძანგ! რაკა! რუკ! ძანგ!
დილით გამოვა ერთ არაყს სვამს,
ვადაიკვალთავს მარჯვენა მკლავს:
ნაწილობისას მაძღრისად სჭამს,
შეგირდს უძახის: შენ დაჰკარ მანდ!
ძანგ!
მუდამ შრომაში აყოლებს გულს!
ხალისიანობს. არ ჩახრის მუხლს!
მაინც ვერ იძენს ის ბლომად ფულს:

პატიოსანი მას შრომა ჰსურს.
ჩვენი ზაქარო იმეტებს თავს:
დღეს ოფლი ღვარა, დაღლილი სჩანს
ადრე ადგება, ზარმაცი სძაგს!
ხვალე ჩაქუჩი იმღერებს: ძანგ!

1923 წ.

ბრძენი — მასხარა

ვერავის ვენდე ცხოვრების გზაზე
და მარტო დავრჩი, საკუთარს კარზე,
ჩემივე სულის უსაზღვრო ბანზე!
ველი შორეულს ჩემს დიდ მომავალს, —
ერთხელ მემკვიდრე ხმას აიმაღლებს!
ჩემს გზას განაგრძობს წამებით ნავალს,
როცა ჩემს ჩონგურს ის ხელს შეახებს,
შეეთვისება ჩემს გარდასავალს
და რავდენს განცდას კვლავ განაახლებს.
ამ ცხოვრებაში ერთი დამცინის,
და აღტაცებით მეორე მაქებს;
თვითეულს ვკითხავ: ყველა ეს რისთვის?
მიმღერენ ამბავს ძველთაგან ნაქელს.
ო, ეს რაოდენ მოსაწყენია:
სიტყვა გულწრფელი ჯერ არ მსმენია!
ძმაო! ჩემს შემდეგ მოხვალ დიდებით
და ეგ სახელი ჩემიც იქნება;
მე სამარეში მტვერი ვიდები,
შენგნით — სოფელი გარდაიქმნება!
და ვიდრე ვცხოვრობ რად ვარ მასხარა?
მეტყველი ენა რად დავამუნჯე?

ვისმა სიმძიმემ გრძნობა დახარა,
რომ სთქვა: ეგ იყოს ყველასთვის ფუძე?
ეხ, გულუხვობამ თვალნი დამთხარა! —
გამოვდექ ერთი ბრძენი-მასხარა!
ჩემი სიმდიდრე უვიცის ხელში
რამ სათამაშო ნივთი გამხდარა!
ვგმობ! მაინც მიყვარს ყოფნა სოფელში,
მინდა ცეცხლს მივსცე, რაც კი წამხდარა!
ვნატრობ მარადის ბრძენი-მასხარა!

1922 წ.

მიყვარს ცხოვრება

მიყვარს ცხოვრება მოუსვენარი,
ვით ზღვა მქუხარი, მარად მღელვარი,
თვისის ქარბუქით და ქარიშხალით
გზას მიბორკავდეს, თან მდევდეს შხამით!
ვე მის მკვეთრს ძალას არ ვუკრთებოდე,
ამხედრებული ვეურჩებოდე!
შფოთარე სულით, უტეხის გულით
ცხარე ბრძოლაში მარად მიწვევდეს;
ქედმოუხრელად, წარბ-შეუხრელად
ან — ვიმარჯვებდე, ან — მამარცხებდეს!
მიყვარს ცხოვრება სავსე ვაებით,
კვნესა-წუხილით, ტანჯვა-წამებით, —
რომ ჩემს ბუნებას მოსწყურდეს შვება,
უშრეტის ცეცხლით აღმენთოს ნება;
თამამად სცემდეს ოცნების ფრთენი,
ცხარე ბრძოლაში დავლიო დღენი!
მიყვარს ცხოვრება ფაფარ-აშლილი,

შფოთის მინდორი მასზე გაშლილი!
რაც გელობება, ლახვრად ეკვეთო!
წეჰქმნა! შექმნილი გარდააკეთო!
რად მინდა მყუდრო ტბა ან ჭაობი?
გულს მოეკიდოს ხავსი და ობი!

1911 წ.

ჩემი ჩონგური

ჩემი ჩონგური ღრმად შეეთვისა
ხალხის სიხარულს და მწუხარებას;
ოდეს ჩამოვკრავ ნაზად მის სიმებს,
ნაღველში ავლებს თვით აღტაცებას!
მაგრამ არ არის სასომიხდილი,
თუ განგმირული სხვის გულსაც გმირავს,
სევდის ფურცელში იმედს აღვიძებს
და ასე ლოცვებს მომავალს სწირავს!

1911 წ.

უანგარო უგულებელი

ქალის წერილი.

როს არ მიყვარდი, ბედნიერი ვიყავ ამ ქვეყნად;
რა იყო სევდა, ან წუხილი? — ეს არ ვიცოდი.
არ გამეცადა სიყვარულის ტკივილი გულში.
გრძნობით აღვსილი გეძახოდი: „ახ, სასურველო!“
ჩემს სიყმაწვილეს უზრუნველად შემოგვედრებდი.
მაგრამ, ვაი, რომ უმალ გაჰქრა ეს დრო ნეტარი.
და თან წარილო ჩემი შვებაც და მყუდროებაც.

ვაი რო ბედად განშორება მექნა საბრალოს,
და დამრჩა ცრემლი და ნაღველი ჩემს სატანჯველად.
ვიცი, ოდესმე სადაც შენ ხარ, ჰპოებ სიამეს —
შენს თავსა ვფიცავ, არ შემშურდეს ეგ ნეტარება —
მხოლოდ არ ვიცი, განა შენს გულს დაავიწყდება,
ვინც შენ გიყვარდა, იგი ეხლა შორს იტანჯება?
მე კი არ ძალმიძს ამოგშალო ჩემის ხსოვნიდან,
არ ძალმიძს, რადგან გული ჩემი კვლავ შენით ცოცხლობს,
ვგონებ, საფლავშიც ჩემი გული ვერ დაგივიწყებს.
განა არ ვიცი, როს მიიღებ ამ შავს სტრიქონებს,
მცირე ხანს, ჩემო, სული სევდით შეგეხუთება,
რადგან ამ ქაღალდს ღრმად ატყვია წვეთი ცრემლების.
ეს ვიცი, მაგრამ ვერ დავფარე მწუხარე გრძნობა.
მსურდა წერილით კიდევ ერთხელ მეძღვნა სალამი,
მწუხარე სალამს თან გადმოჰყვა ჩემი გოდება
და უიმედო სიყვარულის კვნესით ძახილი.
ო, ყურადღებას ნუ მიაქცევ ამ მწარე ცრემლებს,
და არც იფიქრო, საყვედურის თქმა მსურდეს ამით,
შენ არ მიგიძღვის ჩემს წინაშე დანაშაული,
თუ კი გავიგე, შენ მანდ სცხოვრობ სვებედნიერად,
გარწმუნებ ჩემო, სევდა ჩემი შემსუბუქდება.
ოდეს პირველად მეაბბორე ანთებულ ბაგით,
ო, არ ვიცოდი, ვისთვის მეთქვა ჩუმი მადლობა,
რადგან შენ შემხვდი და სამოთხე გადამიშალე
და ჩემი ყოფნა დამისახე ყვავილოვანი.
სულზე უტკბესო! აბა, იმ დროს ვით ვიფიქრებდი,
რომ იმავ ადგილს მწარე ცრემლებს მარტო დავღვრიდი?
ახ, რა გულით მსურს, ერთხელ კიდევ ჩემთან გნახავდე,
ერთხელ — მშვენიერს, მოსაუბრეს, ნათელის სახით,
რომ კვლავ მომეყრდნო სასოებით შენს მკერდზე თავი,

რომ შენს თვალებში ერთხელ კიდევ ღრმად ჩამეხედა
და მეთქვა თრთოლვით: „საუნჯეო! შენი ვარ მარად!"
მაგრამ ვაი რომ ნატვრა უნდა ნატვრადვე დარჩეს.
ბარემ მომესპოს ეს სიცოცხლე! მას რაღას ვაქნევ?
მაგრამ სიცოცხლეს—თვით სიცოცხლევ, თუ ვერ ვიმეტებ,
შენივ ბრალია — მსურს მესმოდეს შენი ამბავი!
შენი სურათი დამრჩა მხოლოდ ძვირფას საუნჯედ,
და ხატის ნაცვლად დავასვენე საწოლ ოთახში.
ბაღში მოკრეფილ ყვავილებით ყოველდღე ვამკობ.
შენი სურათი დამრჩა მხოლოდ და სხვა რა კიდევ: —
ო, მოგონება წარსულისა. — ტკბილი წარსულის.
მაგრამ აწ კმარა... არ მსურს სიტყვა მკაცრი წამო-
მცდეს —
და თუ წამომცდა, მაპატიე იმისთვის მაინც,
რომ ერთ დროს ტურფას წრფელის გულით შემოგხაროდი!
განა თუ არა? შენ ხომ ამას უარს არ ამბობ?
ვიცი, შენშიაც მოგონება ძვირფასი არის —
შენ მანდ ჰხარობდე და ჩემს ბედზე ნურას ინაღვლებ,
და თუ გავიგე, შენს თავსა ჰგრძნობ მანდ ბედნიერად,
გარწმუნებ, გულო, სევდა ჩემი შემსუბუქდება!
მაგრამ ვაი თუ მანდ ვერ ჰპოვო ის ნეტარება,
რომელს მე გულით მოგაგებდი დაუზოგველად?
მაგრამ ვაი თუ შენს მიჯნურთან ვერ გაიხარო
და ჩემს სასურველს სიამენი ადრე მოგესპოს?
მაგრამ ვაი თუ ვერ მიუხვდნენ შენს დიად სულსა
და თვით სიცოცხლე გაატარო მწარე ტანჯვაში?
ო. მაშინ მზეო! ფრთა შეისხი, ისწრაფე ჩემსკენ,
კვლავ მნახავ ერთგულს და უსაზღვროდ მოსიყვარულეს.
ო, მაშინ მზეო! დამიბრუნდი დაგმობილს სატრფოს
და რას არ შევძლებ, ოლონდ შენ კი კვლავ შვებას მიგცე.

მაგრამ რას ვამბობ? განა შენ ვინ არ შეგიყვარებს?
რომელ ქალს შენთვის გული ტრფობით არ აურთოლდეს?
შენი თვალები შენსავ სულის სარკე არ არის?
და ვისაც ეშხით გაუსწორებ, როგორ იქნება,
რომ არ გააბა ნაზ ბადეში შენს უნებურად
და არ გაჰხადო სიყვარულის მონა-მორჩილი?
ეგრე ყველაფრით შემკული ხარ ბუნებისაგან,
რომ იმ ბუნებას თვითონვე შურს შენი სრულყოფა.
და როგორც ასეთს, განა შენ ვინ არ შეგიყვარებს?
და არ გაგიფენს ფიანდაზად ეშხით სავსე გულს?
მხოლოდ მე ერთი უნდა დავრჩე ამ ჯოჯოხეთში,
უნდა ტანჯვაში მარტო ერთმა დავლიო დღენი,
უნდა მომერწყოს ნიადაგი მდუღარე ცრემლით,
მაგრამ ამ ცრემლსა ყურადღებას ო, ნუ მიაქცევ,
მე ძალა შემწევს.....
შენ მანდ ჰხარობდე და ჩემს ბედზე ნურას ინაღვლებ,
და თუ გავიგე შენს თავსა ჰგრძნობ სვებედნიერად,
გარწმუნებ, ჩემო, სევდა უმალ შემსუბუქდება
და ასე ვიტყვი: სამუდამოდ იყავ მშვიდობით.

1912 წ.

ჩემი სიბრძნე

ჟამს თან მიაქ ძველი შფოთი,
ზეცას სერავს სულ სხვა ელვა;
ტალღა მიდის, ტალღა მოდის,
ბრძოლით სუფევს არსთა თელვა.
ეს სოფელი ზღვას ვადარე,
გვათამაშებს მისი ელვა!

ზვირთებს შორის ჩვენი ნავი
დასრიალებს, დანავარდობს;
შიგან მჯდომი მეზღვაური
გატყორცნილი არას დარდობს;
იმედის ხმა შორეული
იტაცებს და ზღაპრით ართობს.
მაგრამ უცბად დაჰკრავს ხოლმე
ბედისწერის მას გრიგალი;
ეხეთქება შავს ნაპრალებს
და სასტიკად ამსხვრევს სალი;
ნათესავნი ცრემლებს ღვრიან,
ისმის გლოვა შესაბრალი!
ეჰა, ცრემლო, რა ტკბილი ხარ,
ოდეს ისმენ გულის ფთხრიალს!
ეჰა, ცრემლო, რა მწარე ხარ,
როს ეცემი მკერდზე ტრფიალს!
მოგშორდება, მეტად იწყებ
ჩაბნელებულ თვალზე კრიალს!
შენში ვპოვებთ სულის შვებას,
შენითვე ვსვამთ შხამის ფიალს!
ოჰ, ნეტა შენ წარეცხავდე
ამ უკულმართ ბედის ტრიალს!
ვტირით, ოდეს ვიბადებით,
ვტირით მეტის სიხარულით;
ვტირით, ოდეს ყრმა-ჭაბუკნი
ვიმჭვალებით სიყვარულით!
ვტირით, ოდეს საფლავს სჭრიან,
ვტირით სევდით დაფარულით;
გულში ვტირით ნათელ სახით,
ცხადად ვტირით დაღარულით.

ვტირით და თავს ვინუგეშებთ
ამაო გზად სიარულით!
ყველა ცვდება, ყველა მიდის,
სამუდამო ვერვინ აგოს;
არვის ძალუძს სიკვდილიდან
თავი თვისი გამოაგოს!
ეს სოფელი გვტანჯავს, მაგრამ
ძნელად ვინმემ შეიძაგოს!

1912 წ. ბერლინ.

შ ა ი რ ი

ტკბილ შაირში ჩაიფერფლა
ბალჩის ვარდი ფერად ჭრელი;
ტკბილ შაირში ჩაიქსოვა
სიტყვა მკვეთრი, სიტყვა-მჭრელი.
მიტომ არის ზოგს რომ ატკბობს
და ზოგს ასე უღვთოდ ჰგმირავს;
მოდით ჰნახეთ, თუ ვინ ჰხარობს,
მოდით ჰნახეთ, თუ ვინ გმინავს!

1907 წ.

შავს ზღვასთან

ზღვა ბობოქრობდა... კლდეს ღმუილით ეხეთქებოდა,
გალმა ნაპირი შავის ღრუბლით იბურებოდა;
მკრთალი ფირფატი სადღაც კლდეში იმალებოდა.
გრგვინვა და ჰექა ტალღის ღრიალს უერთდებოდა.

ხვირთი-მთა-გორა მოგორავდა ზარით მქუხარე,
ნაპირს ებრძოდა... ჩემს ფერხთა წინ ქვებზე ელავდა;
გულხელდაკრეფით ჩათხრობილი ვიდექ მდუმარე,
მაგრამ ნორჩ გულში ჩემს მტანჯველად გრძნობა ჰლე-
ლავდა!
ოჰ, ნეტა იმ დროს შემეწყვიტა ფიქრი და სევდა
და მივცემოდი, ვით სალი კლდე, თავდავიწყებას;
ასული ზღვისა მომხიბვლელი თვისკენ მიწვევდა,
მსუბუქი ქაფი ჩრდილს ჰფენდა ნათელთვალებას.
— მენავევ, ჩქარა!..—ნავში ჩავჯექ, ტალღა ვერ მძლევდა,
მაგრამ ვერ მივწვდი მოციმციმეს, უცხო ზმანებას!..

1909 წ.

ქალის ცრემლები

ყურს არ უგდებდი შენ ჩემს მუდარას,
ფეხქვეშ სთელავდი, აჭკნობდი სურვილს;
შენ ბრძანდებოდი, მე ვიყავ მონა,
ჟინაშლილობის გიკლავდი წყურვილს!
ბავშვების დედა მრავალს გითმენდი,
შენ კი მრუშ ქალებს თავს ევლებოდი;
მე ცრემლს ვაფრქვევდი, შენ სხვას ალხენდი,
ნაყიდ ალერსით აინთებოდი.
ცხოვრება ჩემი — ეს იყო ჯვარცმა,
დამადარებდი ნივთს სათამაშოს;
ასე ამბობდი, რომ მამაკაცმა
ქალის წადილი უნდა დაახშოს;
ვიტანდი შენგან შეურაცხყოფას!
ვგმობდი შავს დღეებს: ყოფნა-არყოფნას;
ჩემში დედაკაცს მხოლოდ ჰხედავდი,

მე შენის შიშით ვერას ვბედავდი,
და ვერც ვამხელდი ჩადენილს ცოდვებს,
რომ შეაცდენდი მეგობრის ცოლებს!
ხრწნილი სხვის ოჯახს თავაზიანი...
პირუტყვი იყავ ადამიანი!
დღეს აგიმხედრდი! წაველ გაგშორდი!
დავგმე ცოლქმრობის მძიმე ბორკილი;
თუნდაც დავმარცხდე, კვლავ ველარ მნახავ,
ჩემგან თვით შენ ხარ უარყოფილი!

1908 წ.

რაღა დამრჩა...

ულმობელმა, შემხუთველმა სევდამ ფრთები გაშალა!
შურის ქარმა, მტრობის ზარმა ჩემი შვება წაშალა!..
სიცოცხლესა ხანმოკლესა უდგა ცუდი დარები.
გულმოკლული, გაისრული დავალ დავიარები;
ძველს მეგობრებს, ვით მეკობრებს, ველარ მივეკარები,
მიზანს ნათელს ცილი დასდეს, ჩემ წინ მართეს ფარები!
ვინც კი მითხრა „მიყვარხარო და არ გამემწარები“,
ნახეთ, მანვე გამითხარა შავი მიწის კარები.
დღეს ჩემს სულში ულმობელმა სევდამ ფრთები გაშალა,
ყრმის გიჟური სიხარული და სიამე წაშალა!..
რაღა დამრჩა სანუგეშო ოდნავ გამხარებელი? —
ცივი გული, ცივი გრძნობა შურის მაძიებელი.

1908 წ.

კ ა ც უ ნ ა

გინდა ჰყოფილხარ, გინდა — არა, ვის აგონდები?
ვის ესმის შენი მწარე მოთქმა, ოდეს ჰლონდები?
არავინ იცის რასა ჰფიქრობ, რა გენატრება;
შენი სიცოცხლე უმნიშვნელოდ მიდის და ჰქრება!
არ გაგაჩნია შენ მოკეთე და არცა მტერი,
არ ჰსურთ გაიგონ, კაცი ხარ, თუ უბრალო მწერი,
ერთი რაღაცა მწირ ცხოვრებას გადაჰგებიხარ,
არვის ახსოვხარ, სოფლად ყველას დავიწყებიხარ,
გინდა ჰყოფილხარ, გინდა — არა, ვის აგონდები?
ვის ესმის შენი მწარე მოთქმა, ოდეს ჰლონდები?
ბევრს არ დაეძებ, მცირედითაც ხარ კმაყოფილი,
იყო ქებული მრავალთაგან, ანუ გმობილი —
შენთვის ერთია, სული არ გაქვს ღელვით პობილი,
შიშვლად მოკვდები, როგორც შიშვლად იყავ შობილი.
სამადლოდ კუბოს და სუდარას გაგიმზადებენ,
მიწად დაგფლავენ, ცივ ლოდსაც კი არ დაგადებენ,
მხოლოდ შენს თავსა, — შენს საკუთარ თავს, — მოჰშორ-
დები,
იყავ, არც იყავ, მთლად აღარ ხარ, — ვის აგონდები?
    შენის მცირედით აღარ ჰხარობ, აღარც ჰლონდები.
უკვალოდ გაჰქრი, სოფლად იყავ ცოცხალი მკვდარი;
რა მოიტანე, რა წაიღე გულგასახარი?
რა დაუტოვე შთამომავალს ძვირსანუკვარი?

არყოფნით სავსე, არყოფნაში გლახ იქმენ მჭკნარი,
რისთვის იხილე მზენათელი, ან მთა და ბარი?
რა აზრი ჰქონდა საწუთროში შენს არსებობას?
რად განიქებდა ზეგანგება სულსა და გრძნობას?
ნუთუ ამითი დასცინოდა კაცობრიობას?
ნუ თუ ამითი გვიმხილებდა აწმყო დროებას
და გვაგონებდა შენის შექმნით ამაოებას,
რომ შენებრ ყველა: რჩეული, თუ გვირგვინოსანი,
სახელგანთქმული მებრძოლი, თუ დიდი მგოსანი,
ქვეყნის ბატონი, განცხრომის ძე, ანუ ძლიერი,
ადამიანი ტანჯული თუ სვებედნიერი,
რაც კი არსებობს, რაც კი ჰფეთქავს: ნორჩი, ხნიერი —
თვისი აზრებით, საქმეებით ვერ დარჩებიან,
შენებრ ოდესმე ჟამთა სვლაში აღიგვებიან,
შენებრ ისინიც დავიწყებას ჩაჰბარდებიან,
შენებრ არარად და არყოფნად გარდიქმნებიან?
მაშ ვის შევნატრო, აწ ვინ მექნას სულის წარმტაცი?
ერთ გარდუვალის ბედქვეშა ხართ შენ და ზეკაცი!
ორივეს გელით ერთი ბოლო — სანახაობა,
ორივეს ერთი სახელი გდევთ: — არარაობა!
მაგრამ ვინ არის დღეს თქვენ ორში დამშვიდებული?
დღეს რომლის სული უფრო არის განსვენებული?
ის, ვინც დაიპყრო ქვეყანა და იქმნა ქებული,
ვინც შორს განჭვრიტა ბრძნულის თვალით ყოფა-ცხოვ-
რება
თვით იქმნა დიდი, მოუსპო კი სულს მყუდროება,
თუ შენ, საბრალო, ყველასაგან დავიწყებული,
რომელს არა გაქვს სულთქმა გულზე მოგუბებული,
არც ვისმე სძულხარ, არც უყვარხარ, არ გწვდება კრულვა,
არას მიელტვი შორეულსა, არც გტანჯავს ზრუნვა!

შენთვის ხარ მარტო და არ გესმის ამ სოფლის ბრუნვა?
თუ ჰკვდები,—მიხვალ, ვის აობლებ? შენ თავს ჰშორდები!
ძენის მცირედით აღარც ჰხარობ, აღარც ჰღონდები,
გინდა ჰყოფილხარ, გინდა — არა, ვის, ვის აგონდები?

1912 წ.

სიმღერა თარზე

რისთვის ვინაღვლო, თუ ის ვარდი ქარმა დახარა,
დაგლიჯა მისი ფოთლები და შორს გადაყარა!?
ურგები იყო, ნიადაგი უცხომ დაბარა!
ისიც მეტია, ვინც კი მისთვის ცრემლი დაღვარა!
ნაცნობ ვარდისკენ მოგიწოდებთ ჩემი ნაღარა.
მოდით ყიჟინით, მოდით მასთან! — ერმა ახარა!
დაქანცულ გულით რასაც ეძებთ, სხვაგან ვერ ნახავთ!
სხვას ყველას თვისი მიჯნური ჰყავს — თქვენსას რად
ცძრახავთ?
უცხომ რაღად სცეს პატივი, თუ თვით გადალახავთ?
მოდით ყიჟინით, მოდით მასთან — იმედათ გსახავთ!
სატრფო მოგელით და ლოდინმა გული დაღალა.
მან ისეც ბევრი იტანჯა და ცრემლიც დაღვარა.
ნაცნობ ვარდისკენ მოგიწოდებთ ჩემი ნაღარა!
ერთი შეხედეთ, რა ტურფაა და მომხიბვლელი!
მარტოა ობლად! არავინ ჰყავს რაინდი მცველი!
ვინც ჰყავდა, უნდოთ დაუხოცეს, ჩვენ ღა ვართ მხსნელი!
ნულარ ვაყოვნებთ, წარიტაცებს მას უცხო ხელი!
შემოკრბით მასთან ეაბუკი თუ ბერი-ჭაღარა!
მედგრად დასძახეთ ის ჩვენია, ერმა ახარა!
ნაცნობ ვარდისკენ მოგიწოდებთ ჩემი ნაღარა!

1910 წ.

სალამური

გულის სიღრმიდან ამოგჭერ,
გრძნობით შეგღებე, გიარე;
მე სულის კვნესა ჩაგბერე.
შენ კი ხალხს გაუზიარე!
სამგლოვიარო სიმღერით
მთაბარი შემოვიარე;
წუხილს მოვთქვამდი მშობლისას,
უცხოც კი დავაიარე!

ეხ, სალამურო, ერთგულო,
ჩემო სულო და ტრფიალო!
ურვა და ცრემლი მომბეზრდა,
ხმა უნდა შეატრიალო!
დღეს მე მწყურიან ზეიმი. ვარამი გავატიალო!
მსურს სამხთო ცეცხლად გარდვიქცე,
შენთან დავიწვა, ვიალო.
სამხიარულო ალამი
ჩემს ერში ავაფრიალო!

დაუკარ შვების სიმღერა!
დაუკარ, უნდა ვიამო,
თორემ დაგამტვრევ, ერთგულო,
ჩემო სულო და ტრფიალო!

1914 წ

გლეხის ქალი

ერთხელ ვნახე გლეხის ქალი,
შორს მინდვრიდან მომავალი;
მას ცალს ხელში ძნა ეჭირა,
მეორეში კი—ნამგალი!
თავზე კოხტად შემოეკრა
მოსახვევი ფერად ჭრელი;
ნაწნავები გადმოეწყო,
მოეღერა ნორჩი ყელი!
მოდიოდა, თან მღეროდა
წკრიალა ხმით შოთას შაირს:
—ვეღონებ ველარ გავიგონებ
ჰანგს მომხიბვლელს მე იმნაირს!
შიგ ურთავდა თვის სიყვარულს,
ავედრებდა მიჯნურს გრძნობას;
აღუთქვამდა ერთგულობას,
ნესტანივით წმინდა ტრფობას!
დამინახა, დაირცხვინა,
მას სიწითლემ დაჰკრა ფერი;
და მით იქნა იგი უფრო
მშვენიერზე მშვენიერი!

1912 წ.

მეწისქვილე

სვამს და ქეიფობს,
ქეიფობს, სვამს.
არაფერს ამბობს,
არც არა სწამს.
გულ-გატეხილი,
ის ყოველს წამს,
როგორც ვექილი,
ერთსა სდებს ბრალს:
კაცის ბუნებას
სხვადასხვაგვარს.
გადაბრუნებას
და სოფლის შხამს,
მუდმივი სევდით
იმედს რომ ჰკლავს.
წისქვილი ზრუნავს,
წყალი სცემს, ბრუნავს,
თეთრს ნაღველს ფქვავს.
ტიკ-ტიკ-ტიკ-რაკ-რაკ,
თეთრ ნაღველს ფქვავს.

1916 წ.

ჩვენი ლურჯა

პაპას ჰყავდა ერთი ცხენი,
ზაფხულობით წყალზე ჰბანდნენ;
შეკაზმავდნენ, შესხდებოდნენ,
საძოვარზეც გაიყვანდნენ.
აზიდვინეს ზურგით ქვიშა,
აზიდვინეს ქვა და კირი,
არა ჰქონდა მოსვენება,
არა ჰქონდა ღამე ძილი,
არ ითქმოდა მასზე ძვირი.

ხან ქირაზე გაჰგზავნიდნენ,
და დაჰკრავდნენ ფეხზე ნალებს;
სალამოთი შინ მოჰგვრიდნენ
დაღლილსა და განაწამებს, —
ხვალეც ვინმე გაამწარებს.
ბეგარაზე ის გაჰყავდათ,
აჰკიდებდნენ მძიმე ცალებს.
ყველა ლურჯას ეტანება,
ლურჯას ყველა ტვირთს აძალებს.
ოფლს როდისღა შეიმშრალებს?

მათრახს სცემენ მსუქან გავას,
თუ შედგა და დაიხვნეშა.

ზამთარშიაც უნდა ზიდოს
წვიმა-ჟყაპში ტყიღან შეშა.
ლურჯა — სახლში, ლურჯა — გარედ.
ჯაფა მას ვერ შეუმცირდა;
მეზობელიც მას თხოულობს,
ნკაში წასვლა თუ დასჭირდა.
ერთხელ ლურჯას ჭირიც სჭირდა.

ოგი გაქირს ვერ ახერხებს,
მორჩილია ბავშვის ხელ'ში;
ლაგამს ნებით მიუშვებენ
და გზას აკვლევს ღამე ბნელში,
განთქმულია მთელს სოფელში.
ერთხელ წიხლი გაიქნია,
როს დაადგეს წელზე კეხი;
სცემეს სახრით, სცემეს ფიწლით,
დაატეხეს რისხვა-მეხი!
დაუშავდა ცალი ფეხი.

ლურჯას წელი გაეყვლიფი,
არც სწამლობენ, არც ურჩენენ;
ერთს საქმეს რომ მორჩებიან,
კიდევ მრავალს გაუჩენენ,
სამუშაოს აუჩენენ.
საწისქვილოდ მძიმე ტომრებს
აჭკიდებენ რის ვაგლახით;
თან პატრონიც ზედ შეჯდება,
კმაყოფილი, გოროზ სახით,
უჯავრდება შინდის სახრით.

ის დალმართზე თავს იმაგრებს,
და ალმართზე კისერს წასწევს;
თუ შედგება, მხოლოდ მცირედს,
ოფლიანი ისევ გასწევს,
ცხენი ხვნეშის, ლამის დაწვეს.
ერთხელ ცრემლი ჩამოვარდა:
წელი სტკივა, ტვირთი აწევს;
პატრონი-კი ზედ ღიღინებს,
არხეინად ადგილს ახწევს.
ცხენი ხვნეშის, ლამის დაწვეს.
დაივიწყებს ტანჯვას ლურჯა,
თუ მაძღრისად ბზე-ქერს აჭმევს.

დაგვიბერდა ჩვენი ლურჯა,
საწყალს კბილი აღარ უჭრის;
ძუას მაღლა ვეღარ იღებს,
დალონებულს ყოფნა უჭირს.
ერთხელ გარედ დარჩენოდათ,
პაპას აღარ მოეკითხა.
და მგლის კერძი გამხდარიყო,
— მეზობელმა ასე მითხრა.
და უკვალოდ დაიკარგა,
გაუთენდა მას დღე შავი;
იმას სწუხდნენ, რომ თან გაჰყვა
საქალამნე, თხელი ტყავი.

მას მე ერთი პატივს ვცემდი,
ქერი ვუძღვენ არა მცირე;
ძენანება ჩვენი ლურჯა,
მკვდარი ვეღარ დავიტირე!

1923 წ.

G E N E S I S

წინაპრად მყავდა შანშე წარმართი,
მზეს ლოცულობდა, მთვარეს ფიცავდა;
მან აიარა მძიმე ალმართი,
თან არსებობას ბრძოლით იცავდა.
ტომით ქართველებს, ჩემს ძველს წინაპრებს,
გულში მახვილი მაინც არ ასცდათ;
წითელის სისხლით ღებავდნენ სანგრებს,
მტრებთან შეტავას სთვლიდნენ დიდ განცდათ.
და ძლიერ ჯარის მძლე მთავარსარდლებს
თავს ძირს უხრიდნენ მეფის დრო'შები;
ვინ მოსთვლის იმათ თავგადასავლებს?!.
უტარებიათ ზოგჯერ დრო შვებით.
ხალხს უშენებდნენ უდაბნო ადგილს
ქვიტკირის სოფლებს, ციხე-ქალაქებს:
შეექცეოდნენ ზეიმით ნადიმს,
იტყოდნენ შაირს, ქსოვდნენ არაკებს.
თან გადაჰკრავდნენ ღვინოს ყანწებით.
მღერდნენ: „მოგროვდით და ლხინს აწ ებით!“
მათებრ აროდეს დავიქანცებით:
ხან ჩართულ ბრძოლით და ხან ფარცხებით!
ჩემში მოგროვდა ზღვად მათი გრძნობა.
მკერდქვეშ რაც ღვივის, არ არის მტრობა:
ამას მეტყველებს სახე გაშლილი,

შუბლზე ნაოჭი ბედით წაშლილი,
არწივის თვალი, მზერის გამძლები! —
ერთგულს სიკვდილში დავენაცვლები.
ვმღერი რაინდულს, ავანთო მხდალი,
ბრძოლის ველზედაც გავალ თუნდ მარტო,
ოღონდ სხვას მივცე მე მომავალი,
და ცხოვრებაში გზა წარუმართო!

1922 წ.

ტუე გაჩეხილი

გაზაფხულობით ტყე სურნელს აფენს,
აჩვენებს წითლად აკოკრილ კვირტებს;
სხივებით სუნთქავს, ბნელ ღამეს ათევს,
ძირკვების ძუძუ რძეს ვეღარ იტევს!
შეიფოთლება, საუბრობს ენით,
ვერხვი დიდ მუხას გადახვევს მკლავებს;
ბუმბერაზები ავსილან ლხენით,
ჭარში მღერიან: ვინ შეგვაკავებს?
ნაძვი ასულა მაღლა ფერდოზე
და ატყორცნილა თავგამეტებით;
უძახის სნეულს: ჩემთან ამოდი!
ჭაობში რისთვის დაეხეტები?
ერთხელ ვიხილე ტყე გაჩეხილი,
გაშხლართულიყვნენ ცივად გვამები;
ცრემლი სდიოდათ დარჩენილ კუნძებს:
შვილს ვიღა გაზრდის, მოკვდენ მამები!

1925 წ.

გლეხის სიმღერა

უმადურო, ბატონო,
მითხარ, რას მედავები?
ჩემი არის მინდორი,
ჩემი არის ყანები!
მახსოვს შენგან შიმშილი,
ამიცრემლე თვალები;
შენ გამცარცვე და მეც დღეს
აღარ შემებრალები!
უმადურო, გამშორდი,
ჩემი არის ყანები!
მე არ მინდა ბატონი,
ვუვლი ჩემსავ დიდებას:
ვერ ვიკისრებ ხელახლად
ზურგზე წამოკიდებას.
უმადურო გამშორდი!
მითხარ, რას მედავები?
ჩემი არის მინდორი,
ჩემი არის ყანები!

1923 წ.

მწყემსის ფარეხში

ხვადი თეოზე ღამეს ათენებს,
ფეხის ხმა მგზავრის მას არ აფეთებს.
თუ ოდნავ შეჰყეფს, თავს მიანებებს,
ძილს არაოდეს გადაამეტებს,
ფარეხს ფარულად თვალყურს ადევნებს,
მტერს სცნობს შორიდან,
რისხვას აგემებს.
მწყემსი ამდგარა დილა ადრიან.
ჭროლად შეჰყურებს ამინდს ავდრიანს.
ცხვარი სძოვს ბალახს, ცივს და ნამიანს,
მეგობრად ხვადი მისდევს ნაბდიანს.
მარტი ხანდახან გამოიდარებს,
მეცხვარე ჯანღის თექას იფარებს.
ბატკნებს ჯერ გარედ ვერ ვამოუშვებს
სანამ ჰჭრის ქარი და წვიმას უშენს!

1923 წ.

სალეწი მანქანა

ჯერ ისევ ბნელა...
მოუხშირეს მამლებმა ყივილს.
ქვაბის შემკეთი წამომდგარა და იზმორება.
ოსტატი, ცისქვეშ მწოლიარე, ზანტად იძახის:

— „ცეცხლი შეუნთე, კაჩეგარო!.. ხედავ, თენდება!“
ვშიშობთ, ავდარმა არ მოგვისწროს,
მთელი წლის სარჩო არ დაგვიღუპოს!
ვმუშაობთ დღეში თოთხმეტ საათს,
და ვეშურებით ძნების გალეწვას!
ყვირის მანქანა და ეძახის ფიწლები გლეხებს.
ზოგნი მოსულან დაკვალთულნი... სწევენ ჩიბუხებს.
ჭრელ ხელცახოცით თავწაკრული ითვლის ტომარებს.
ფიქრობს: პირველად მან გალეწოს, იძენს ქომაგებს.
დიდი თაიას*) პატრონს მოაქვს ბოთლით არაყი.
ქრთამს არ იშურებს,
ჰპირდება მუშებს მსუქან დედლებს და ინდაურებს.
ზეთი ჩაუშვა ოსტატმა ჩარხებს.
ლამბი**) აუბეს, წამოსდეს სალეწს.
— რვაზეა ორთქლი! დაიწყე ჩქარა!
— ჯერ ჩემია! — იძახის ერთი.
მას ეცილება მაღალ-მაღალი:
— ჯერს არ დაგითმობ თავით ცოცხალი!
— ვინ ოხერი ხარ, შენ დაგანებო!?
— დედას გიტირებ! აბა, გაჰბედე!
— შე ჩემოლალავ! გუშინ მოჰსულხარ...
მე კი კვირაზე მეტს ველოდები!
— კოჭლო!
— ჩათლახო!
— ქალაქის კინტო!
— შე სახეძაღლო, შენზე წინ მე ვარ!
გინდა ქვეყანა შენ გადასჭამო?
ჩხუბი და ლანძღვა, სიტყვა უშვერი.
— თუ ეგ ქოფაკი დაიწყებს ლეწვას.

*) თაია — ერთად დადგმული ძნების. **) ლამბი — ოასმა.

მე არ ვუშველი, მე არ ვუშველი!
შემკეთი ყვირის: ძნა, ძნა მიეცით, ამხანაგებო!
მაგრამ ვის ესმის მისი ყვირილი.
ხელთ მოიმარჯვეს სახრე და კეტი!
— რად მეცილები!? ჩემი ჯერია!
— ხომ არ გაგიჟდი! ხომ არ ხარ ცეტი!
საცემად მუშტი მოუღერია!
შიგ ჩაერივნენ და ამშვიდებენ.
მანქანა წივის.... ჩარხი ტრიალებს,
ღმუის სალეწი ძნების მყლაპავი.
ხვითქი გადასდის მუშა-გლეხკაცებს,
მტვერი და ბუქი დაღამებამდე.
და შრომა მაინც ყველას იტაცებს.
— გადასწით ნამჯას! ნუ დააგუბეთ!
— ცოტა შეაყეთ! ამოგვასუნთქეთ!
ეხვეწებიან მანქანის გამგეს.
მზემ დააჭირა. კვლავ მუშაობენ.
ნატრობენ: ნეტა, გაწყდეს თასმაო,
რომ შეისვენოს ერთს წამს კაცმაო!
ერთი ცუღლუტი კაკლის გრილოს შეჰფარებია,
გაფაციცებით დასდევნებიან:
— ამხანაგი ხარ! რათა გვღალატობ?! —
და გამოაგდეს, ზანტი, ფიწლებით.
— ასე ვმუშაობთ, მზეზე ვიწვებით! —
თუ დაინახეს ცაზე ღრუბელი:
შე უპატრონო, დაგვაცალეო!
ხვითქი გადასდით. არ ჩერდებიან.
კარგ ამინდს გლეხნი ეშურებიან,
რომ. ზამთრის სარჩო დააბინაონ,
თვითონ იცხოვრონ და სხვაც აცხოვრონ!

მაშინ სიმღერა

როს ბნელი ღამე მოიცავს არეს
და ღრუბელთ გუნდი დაჩრდილავს მთვარეს, —
მაშინ სიმღერა მესმის მწუხარე
და მდის თვალიდან ცრემლი მდუღარე.
ზოგჯერ ნიავი წყნარსა სიმღერას
ყურში ჩამძახის, ვით ჩანგის ყღერას,
მაგრამ ვერ ატკბობს იგი ჩემს სმენას,
ვერ მაძლევს შვებას, ვერც აღმაფრენას.
ეაგლახ! სიმღერა არის მწუხარე
და თვალთ მიტომ მდის ცრემლი მდუღარე!
როს ბნელი ღამე მოიცავს არეს
და ღრუბელთ გუნდი დაჩრდილავს მთვარეს.
ვილაცა სტანჯავს ჩემს მშობელ მხარეს, —
მაშინ სიმღერა მესმის მწუხარე
და მდის თვალთაგან ცრემლი მდუღარე!

1905 წ.

სული დანაღვლდა

სული დანაღვლდა. ცა იცრემლება,
ხან კი მრისხანედ ზუზუნებს ქარი;
მთის კალთას შავად ნისლი ევლება,
კორდებს-კი მაღლა — ღრუბელთა ჯარი.

შორს კვნესა ისმის უკანასკნელი,
ნაცნობს სიკვდილი ესუდარება,
ხელს იწვდის, მესმის ძახილი ნელი:
მებრძოლი შველას მემუდარება!
თუმც მას ვერ ვხედავ, — მსურს კი ვუშველო,
უძლურ მარჯვენას ის მიახლოვებს;
კვდება... და ქვეყნად ანდერძად სტოვებს,
რომ, მარტო შთენილს, სევდა მაგლოვებს!

1907 წ.

კახეთი

არ აგზნებია მას გული
ზექვეყნიური ალითა,
არც გამჭვალულა წინაპრის
სიამაყით და ძალითა,
ვისაც კახეთი—სამოთხე—
ჯერ არ უნახავს თვალითა!
  აღმოსავლეთით კავკასი,
ზეცამდის ამაღლებული,
მიდის და მისდევს გრეხილი
ერთმანეთს მიჯგუფებული,
ზოგი კეკლუცად მზირალი
და ზოგიც ჩაფიქრებული!
მაღლა—ღრუბელი მოშავო,
ძირს—ნისლი მიმქრალებული.
  ნაპრალთა შორის მდინარე
მოქუხს და მოეჩქარება;
კლდის ძირში ვიწრო ბილიკი
ბეწვის ხიდს დაედარება,

ალვანელ თუშსა ჯომარდოს,
ფშავს, ხევსურს ძალუძს ტარება.
ფეხი დაგისხლტა—მშვიდობით!
ღმერთიც ვერ დაგეხმარება!
უბსკრული არის ისეთი,
ჩახედვა შეგეზარება!

იქვეა მთანი ყვარლისაც,
ილიას სატრფიალონი!
ბარად კახელთა ვენახნი
და გვერდზე — საბძელ-კალონი.
მთების ბადალმა, მთებშუა —
საძოვარ-იალაღონი.
დაცხება, ცხვარი მიუდით,
მწყემსებს არა აქვთ საღონი!

ბარად რომ ჭკნება ყვავილი,
მრავალფრად მთაში იშლება!
იქ ღელე, სერი, ფერდობი
ნაზ სურნელებით ივსება.
ქიზიყელთა და მთიულთა
მწვანეზე ფარა იშლება.
შორს სალამური წკრიალებს,
გული ხარობს და იშვება!

ახლა ცივ-გომბორს შეხედეთ,
კავკასის მოპირდაპირეს;
ადით მაღლა და დახედეთ
ალაზნის ჭალა-ნაპირებს:
სჩანს ალავერდი ვარსკვლავად,

შენდამი სალამს აპირებს.
თვალს წარგიტყუებს მიდამო,
გულს აღტაცებით ატირებს!
    აბა გახედეთ ალაზანს,
ველად რომ მიიკლაკნება!
მოდის და მოდის, თანდათან
მატულობს, კი არ აკლდება!
ალვანის თავში მქუხარებს,
ქიზიყის დასწვრივ ყუჩდება.
მუხნარი გაუტეხავი
იმის ნაპირებს უხდება!
ხან — ნისლი თეთრად დაფარავს,
ხან—ჯანღი შავად ქუჩდება.
შემდეგ კი გამოიდარებს,
არე მიდამო შუქდება!

ძუძუს აწოვებს ალაზანს
გალმა-გამოღმა წვერვალნი.
წყალნი ეგრერიგ მორბიან,
თითქოს თმას შლიდენ მხევალნი.
შუამთას მოწმენდილია,
დაბლა კვესავენ ელვანი.
დღას მყუდროდ თეთრი ყაზბეგი,
თუნდ ბარად იყოს ღელვანი.
    კავკასიონის მთის ძირში
ღრუბლები აირევიან.
და, როგორც სიძე დანიშნულს,
გომბორსა მოეხვევიან,
გადაივლიან ალაზანს,
მზის სხივით დაიხევიან.

ზეცა ჰექს, ბარი ბანს აძელვს,
ზარბაზნებს აგრიალებენ.
ვიდრე იქუხებს, მეზვრენი
სეტყვას არ დაიძალებენ.

გამოიდარებს,—მზის სხივი
სველს მინდორს მოეფინება,
ნამი ციალებს მტევნებზე,
ჰატარძალს მოელხინება.

სჩანს ცისარტყელა ფერადი,
ღრუბლიანს, მაღალს მთაზედა.
ქალნი მოდიან წყაროზე,
სურა უდგიათ მხარზედა.
მოდიან, მოიმღერიან
მომხიბვლელს, ტურფა ხმაზედა.
ღამე ურმული მოისმის,
ორღობის შარა გზაზედა.
ჭირი თუმც ბევრი უნახავს,
გულს არ გაიტეხს კახელი:
ორი მთის შუა აზრდილსა,
იქვე დარჩება სახელი.
ნანინა უთქვამს ალაზანს,
სტუმარი უყვარს მნახველი.
დაჩაგროს ვინმემ? უმზირე,—
როგორ მოჰკიდოს ხმალს ხელი!
წარსულნი თუმცა წარვიდნენ,
აქ მათნი სულნი რჩებიან.
უწინ ნაგრძნობი სურვილნი
ხელახლად აიგზნებიან.

აწმყოა ძველთა სამაგე,
შვილნი ძეგლებად დგებიან.
ძველთა დიდებას არ ვიგდებთ,
არც წყლულნი დააძდებიან.

ჩემი სულის სიამაყე
კახეთია, ჩემი მხარე;
მან მე ნანა მიგალობა,
მან შემიშრო ცრემლი ცხარე!
იქ ყრმა პირველ შევხაროდი
ვარდზამბახებს ნორჩის გრძნობით;
იქვე ბულბულს მოვუსმენდი,
როს მოსთქვამდა ღამე ტრფობით.
ხშირად გომბორს მივმართავდი,
განვიცდიდი შვებას დიადს;
სერზე მდგომი, შევხაროდი
გაზაფხულის მე განთიადს,
კავკასიის მთის წვერლავებს
როს ალისფრად შეღებავდა,
როს თეთრს ნისლსა ალაზნისას
სხივის სვეტი უცხოდ რთავდა
და ტოროლა, ცად ასული,
ქებას ეზნებით შეასხავდა—
ამ დროს ძალა ღვთაებრივი
თვით ჩემს სულში ფრთას ისხავდა,
და, რა გრძნობაც იქ მიელო,
ჰანგზე მძივად აასხავდა!
ჩემი სულის სიამაყე
კათეხია, ჩემი მხარე;
მან მე ნანა მიგალობა,

მან შემაშრო ცრემლი ცხარე.
და, როს მოვკვდე, იქვე იყოს
ჩემი მიწა და სამარე!

მშვენიერს კახეთს გადავყურებ
და მის მუხნარებს,
შორს, ჩემს პირდაპირ, კავკასიონს
მზე აფერადებს;
ხან მთაში ღრუბლებს
სხივი ისრით გულს გაუხარებს.
ხან გადააფენს საღებავით
დაბასმულ ბადეს.
ალაზნის ველს-კი უკვე ფარავს
ღამის ბინდ-ბუნდი,
გრილი ნიავი თავზე დაქრის
ჭალას მძინარეს;
ჩქეფს ალაზანი, მის ფართო მკერდს
არ აძევს ხუნდი,
მას, — დიდიხნიდან იკლიბაკლოდ
ტყესთან მდინარეს.

გაზაფხულობით კახეთი
სამოთხის შესადარია;
ყვავის და ყვავის, სუნს აბნევს
მაღლა—მთა, დაბლა—ბარია!
შემოდგომობით ბუნება,
სხვაგან თუ უკვე მკვდარია,—
აქ ათასფერად ჭრელდება,
თითქოს კვლავ გაუხარია.
ქორწილი, ყივილ-ხივილი

ამა სიტურფეს ერთვება;
მაჭარი დუღს და ეადმოდის,
დღე სიამისაც თენდება.
კეკლუცნი იკაზმებიან,
გამოვლენ, კარზე დგებიან;
გამვლელ მაყრიონს ხელადით
და მწვადით ეგებებიან.

შემკული არის კახეთი
სიტურფით, მრავალფერითა:
მოვედ და დასტკბი, ერთგულო,
შეხმატკბილებულ მღერითა.
ჩაკრულოს, გრძელსა სუფრულსა
ამბობენ ყრმანი ჯერითა.
ქალწულნი ჩამოართმევენ, —
სტკბები და სტკბები სმენითა
არ იამაყოს ამ გულმა
ესდენ საყვარელ ერითა?!
დამემსხვრეს ჩანგი, თუ მუდამ
მისთვის არ იქნეს ყღერითა!

დაჰკრეს საარი!
მისი ხმა წყნარი
ყურში ჩამტირის, გვამცნობს ნათდებაჲ
გამოურკვეველს
ვეძლევი ნაღველს...
— თითოც დავლიოთ, ორი გახდება!
აწ იყოს სმენა!
მოგვეცეს ლხენა!
ვიცი, კახეთი კვლავ ეანახლდება!

იყოს დღეგრძელი!
ერი ქართველი!
— მაშ, აბა, თითოც! ორი გახდება!
ვაშა, ღვინოს!
მოგვალხინოს!
ძალით სუსტნი აღგვადგინოს!
რა დაგვათროს,
მით გაგვართოს!
სიყვარული გულს მოგვფინოს!
ვაშა, ღვინოს!
კახურს ღვინოს!
თუ წუთიერად დარდებს ვივიწყებთ
და ღვინის ღმერთი ჩვენ გვაფრთოვანებს,
ხვალ, როგორც გუშინ, საქმეს დავიწყებთ
ზრუნვა შეიპყრობს ყრმას და მხცოვანებს,
— მაშ, აბა, თითოც ასწი,
ეგ ყანწი!
თუნდ ფეხიც გზაზე აგიბარბაცდეს;
დე, ათამაშდეს ოცნება ანცი,
და ფიქრი ჩვენი საზღვარს გადასცდეს!
მაშ, აბა, თითოც! ასწი,
ეგ ყანწი!
შემდეგ თამამად ბრძოლისკენ გასწი!

1913 წ.

ჰ ი მ ნ ი ბ ლ ე ხ ს

I

მიწას ჩაჰკვრია თავის გულმკერდით.
იმავ მიწიდან მძლავრ ფესვებით ის აღმოზრდილა!
ვინ ამოუდგა სუსტი მას გვერდით? —
ყველა დაჯაბნა, ყველა დაჩრდილა!
უღელს გაუწევს მას მხოლოდ მსგავსი, მისივე ფანდი,
როგორც ფოლადი, ის მაგარია!
რაღა გაუძლებს, თუ კი საქმეს ხელი დარია!
ხალისიანობს მხნე, მუდამ მარდი,
არა აქვს დარდი!
გამოსულია, ვით ლორი, ბოლში.
როს სამუშაოდ მინდვრად ის გადის,
ემზადებოდეს თითქოს დიდ ომში.
სახეს, ცხრაკეცად დანაოჭებულს, ჩამოსდის ოფლი:
— მიწავ! ხარ ჩემი, მაინც არ მყოფნი!!
არა ჩერდება. მზე აჭერს მის ტანს!
სანამ სვეს კიდევ ერთს არ გაიტანს,
ის არ გაუშვებს ხელიდან ბარს...
კიდევ ამოჰგლეჯს ეკალს და ნარს...
ის სამუშაოს არ უშინდება!
და შესჭამს ნაწილს, როს მოშივდება!
აუშფოთებლად სცემს, ჩეხავს კორახს.
კლერტს გადაისვრის, მიწის პარაზიტს.

გულში ღიღინებს: გაფიცებთ ოჯახს,
მიწას არ დავთმობ, მიწას — არას გზით!
მის გასაწმენდათ და გასაჩეხად
ბევრი ვიწვალე...
ვინ შემეცილოს? დავეცე მეხად!
ქალაქს დავურჩი: იმას ჩაქუჩი, მანქანა, ჩარხი!
მე აქ — ფიწალი!
ბარი, ნამგალი... სარწყავად არხი!
მკრელი გუთანი!
ტოლი ყევარი, ხარი მსუქანი,
რომ თავის ტყავში თითო მათგანი
ვერ ეტეოდეს! —
უღელს მიმტვრევდნენ — თელას გატუსულს!
თუ იმ დროს მნახავთ გლახად ატუზულს. —
გითხრა ნამდვილი, —
თავზე დამხურეთ ქალის მანდილი!
ბიჭი არ ვიყო მე ავთანდილი!
შერცხვეს ჯაბანი,
თუ ვერ მხნეობდეს!
ლუკმას სხვას სთხოვდეს, კერას აქრობდეს!
თვით ვერ ნაგრობდეს და ვერც ღრეობდეს!
რქებს დაუკოცნი ნიშას, ნიკორას!
გავაფხვიერებ ბელტოს, იქ კორახს!...
თვალს დავუყენებ მოშურნე ზარმაცს!
ქება სთქვას ჩემი განთიადზე ტოროლას ზარმაც!

II

ჯერ კიდევ სისხამ-დილით ამდგარა,
დაუბანია წყაროზე პირი;

სამს შუბის ტარზე მზე გადმომდგარა,
მოუძებნია მას მუხის ძირი —
ჰშიან მგელივით! აქვს ხმელი პური
და შესატანად — ნიორი მწირი.
სჭამს მადიანად, დაობებულს, დიდი ხნის ხმიადს;
თითქოს მშიერი შეექცევა შემწვარს სუკს ცვრიანს.
— ახ! ერთი კათხა წითელი ღვინო!? —
მაგრამ ღვინო კი არ სჩანს ხელადით!
ვენახს ჰბარავდეს, მისი წვენი კი მას არა ჰქონდეს?!
მერე, რა შვებით, ერთის გადაკვრით,
გამშრალს ყელს იგი გაისველებდა!?
შავი გრილოს ქვეშ დაისვენებდა!
დედის რძესავით მას შეირგებდა!
ნოყიერ საჭმელს არ ინატრებდა!
მკლავი შეახმეს
მსუნაგ მევახშეს!
არ ანებებდა. იცის, იმდენი არც ერგებოდა!
ქვევრი და ჭოკო ამოუწურა!
ის თავანკარა, ლალი და ქარვა
მას დაუფოლა და დაუწუნა!
მის ეშმაკობას განა ვერ მიხვდა?
ძალამ კი არა — ხათრმა გატეხა!
დავიდარაბა აღარ ასტეხა!
— ახ, ცოტა ღვინო რომ ჰქონდეს ეხლა!?
მაშინ გენახათ შავ მიწასთან ომი და შეხლა!
ხმელ პურს და ნიორს აყოლებს წყაროს...
ამბობს: არამი ნუ მომახმაროს!
ნურც მე, ნურც ჩემ მტერს,
— ნურავის! ნურც ერთს!
ოხ, ვინ მოითმენს, ნეტავი, ჩემდენს

და არ ამოფხვრის ბოროტის ჩამდენს!?
ქვეყანას ვაწვდი პურსა და ღვინოს!
ჩემის ნაშრომით ბევრი სხვა ლხინობს,
მაგრამ, ჯანდაბას!..
გავაძღობ სოფელს, ქალაქსა, დაბას!
კიდევ შევიძენ ალალ მარჯვენით! —
სამოთხეს შევქმნით, თუ ყველანი გავისარჯენით!..
ღა მაინც ზრუნავს დაღამებამდე... ბარსა სცემს მიწას!
შუბლი ეჭმუხნის: რას ფიქრობს იმ წამს?
ოფლი ჩამოსდის... ოფლში ღიღინებს...
თვის ნამუშევარს თვალს გადაავლებს და გაიღიმებს!

III

ორ ბარის პირზე ნიადაგი გადააბრუნა.
კარგი ამინდიც ზეცამ არგუნა!
როგორც ვაჟიშვილს, დაჰხარის ვენახს.
იქ სარს ჩასჩეკავს, ხოლო აქ — მერქანს.
ღობეს ამაგრებს და მავთულს აბამს.
შეაყრის გოგირდს და შაბიამანს!
ძურწას ამოჰგლეჯს, კლერტს გადააგდებს,
ზედმეტ რქას აცლის, ვაზს არას ავნებს,
თუ არას არგებს!..
მორჩება ვენახს, სამკალში მიდის და ერჩის გულიც!
ნამგალი ელავს. მარდათ ჰკრავს ულოს;
ძნას ძნაზე აწყობს და ათეულიც
ჰსურს საღამომდე ცხრა შეასრულოს!
შუბლზე წაუკრავს საგრილობელი.
ტრიალებს, წელში არ იმართება:
როს გახურდება ჯანის მფლობელი,

მხოლოდ მაშინ თუ დაიკვალთება.
ძმრიან წყალს დაჭლევს! ძმარში პურს ჩაჭყრის
და, სადმე ჯაგთან, ერთს წუთს მუხლს ჩაჭხრის!

IV

თავის სიცოცხლეს ცისქვეშ ატარებს...
რაც თავათ არის, ისე დაზრდის შვილებს პატარებს.
ხან თუ სწვავს სიცხე, ხან — ყინვა აზრობს;
მის რკინის მკლავებს ვერა-რა აენებს,
სად შეაფარებს?
ყველას იგერებს, ყველაფერს ასწრობს!
ყველაც მას ებრძვის თვით ბუნებაში,
რომელ ერთს მოვთვლი?..
გვალვა, სიცივე, თაგვი, ქალია;
და, თუ გაცივდა სადმე ნაოფლი, —
იმის ოჯახში ცოდო-ბრალია!.
ასში ხუთია გლეხის გარეშე,
ამ სოფლის ფართე არემარეში!
როს მიაბიჯებს, თვითვე გრძნობს ძალას!
აზრობს და ფრთხილობს, ერიდება სხვის ხათაბალას!
იტყვის, — და სიტყვას აღარ გარდასთქვამს!
დასახულ მიზანს ჯერ გულში ჰმარხავს.
იგი მტკიცეა, ოდეს იზრახავს.
ბევრი უნახავს და განუცდია, კიდევ ბევრს ნახავს!
დღეს დააღამებს, ღამეს გაათევს,
არვის წაართმევს, თუ არ წაართვეს.
მიდის და. — მის წინ თავს ჰხრის ბალახი;
უცხო არ არის მისთვის ტალახი,
და ფეხის გულებს უკოცნის მიწა!

მათხოვრად ხელში არვის შეჰყურებს:
თვისი საკვები მარჯვენამ მისცა!
შრომა და ჯაფა მისი ხვედრია!
უსამართლოსთან მუდამ მკვეთრია!
მას არ დაზოგავს და შეაგინებს.
ის შეინძრევა გოლიათივით, ამოიგმინებს.
და თუ გამწარდა, გაანადგურებს
ტაძრებს, სადგურებს,
განცხრომის ბინებს,
დალეწავს სკიპტრას და ციხის რკინებს!
რა შეაშინებს?!
და რასაც ერთ დროს თვით ამაგრებდა
და არ ანგრევდა —
მტვრად გარდააქცევს,
რა შეიმაგრებს,
თუ ასწყვეტს აფრებს?!
მაგრამ მას უყვარს ცხოვრება მშვიდი.
რომ ააშენოს და გასდოს ხიდი!
— გლეხისა გქონდეთ კრძალვა და რიდი!

V

მას, თავისუფალს, სძულს მუქთა-ხორა.
თვით პირუტყვიც კი მან თავისთან ათანასწორა!
თავის მსგავსს რისთვის დაეჩაგვრინოს?
მოკვდეს ვაჟკაცი, იყოს ცვედანი,
თავისი ოფლი თუ სხვას შეარგოს,
ან შეარჩინოს,
თუ არ ცხვირიდან წამოადინოს!
მიწა!! კვლავ მიწა საასპარეზოდ!

ყველას ეყოფა სახნავად, ეზოდ!
აი, ეს ბურთი და მოედანი!
მოკვდეს ვაჟკაცი! იყოს ცვედანი,
ვინც ვის ჩამორჩეს, დაეჩაგვრინოს!!
როგორც ფუტკარი, ნაყოფს აგროვებს;
ირჯება, ითმენს, მტერსაც ადროვებს,
შურსაც იძიებს და მოიგლოვებს.
ის მუდამ არის, როგორც მცენარე:
მას მზე წარმოშობს, რომ აღარც იყოს!
გლეხი, პატრონი შავი მიწისა,
მიწამ მიიღოს და მიწამ რიყოს,
და გაუთხაროს მანვე სამარე.
ერთხელ დაჯდება,
როცა მაჭრდება,
და ლურჯ სუფრაზე გააძღობს მშიერს;
ჯამს წამოავლებს დაკოჟრილს ხელებს,
და ადღეგრძელებს:
ცის ნამს და ველებს,
ხარის ქედს ძლიერს,
მიწის მოსავალს, კაცის მარჯვენას,
გლეხის ქომაგსა და მის დამცველებს!

VI

არ მოისვენებს გარუჟღული, მზეში დამწვარი.
შრომობს — ღიღინებს; დარდი აქვს და—მაინც ღიღინებს.
სარჩო მოზიდა: ბედნიერი სხვა ვინღა არი?
დღეს მხაირულობს, იღიმება, კვლავ გაიღიმებს!
რამდენს ღმერთს ძეგლი აუშენა და დაუმშვენა?!
ყოფილა უღვთო, კვლავ წარმართი და ქრისტიანი.

თავის შექმნილი დაუმხია, — არ ჩივის ზიანს —
დღეს მხიარულობს, იღიმება, კვლავ გაიღიმებს!
ბუნების შვილი ისევ შერჩა ბუნების წიაღს!
სდგას ნიადაგზე! —
ის ხომ ყველას ნიადაგია!
ქალაქში ჰგზავნის თავის შვილებს ქარხნის დაზგაზე.
მათ ასპობინებს, ვინც კი ქვეყნად მეტი ბარგია!
ამღერებს ჩანგზე რჩეულ მგოსნებს გარდუვალ ჰანგზე!
ჰქმნის დიდს ეპოქებს, მთავარსარდლებს, სრა სასახლეებს.
შენიც მისია და თავისიც! ყველას ხელს ახლებს,
სულ თვისკენ მიაქვს, რაც ამ ქვეყნად მოუტანია!
და, თუ ჩასთვლიმა, თავის თავსა კვლავ განაახლებს!
მაგარს ხერხემალს და ზურგს რა არ გარდუტანია?!

1924 წ.

ღ ვ ი ნ ო

ღვინო მოალხენს
ბატონს, მოახლეს.
სუფრას ამშვენებს,
გულს ახალისებს;
ყველას თავისებს
სიზმარს აჩვენებს,
დაღლილს ასვენებს...
ვინც ყანწს აივსებს
ალავერდს მივა. —
სიტყვას აისრებს...
ზამთარიც იყოს, ალარ შესცივა.
ლალისფერია, თუ ქარვის ფერი,
კახურსა ღვინოს მე ვსვამ და ვმღერი...

და ჩემის ეშხით სხვასაც კი ვათრობ,
ლხინსა ვაღვივებ, მწარე დარდს ვაქრობ!

ნადიმზე შენ ხარ!.. ქორწილში შენ ხარ!
ვერ გაიხარებს გულს მეგობარი!
ჭირსა თუ ლხინში — ყოველგან მძლე ხარ!..
მიცვალებულზე შესანდობარი!
ვინც დაგეძალა
და გამოგცალა, —
ზოგი გაგიჟდა, ზოგიც მშვიდია!
ვინც შენ დაგცინა,
სხვა ვერ აცილა,
ის ფეხქვეშ იქვე ამოგიდვია!..

ჩემს მამაპაპას დიდი სალხინო
მოუგონია, — კახური ღვინო!
და რამდენ წვეთსაც გადახუხავდნენ,
იმდენ მოსისხლე მტერსა მუსრავდნენ...
ომის წინ სვამდნენ... ჰკრეს... ავალალეს!
მათი შეწევნით ვმღერით ვარალეს.

ენაწყლიანო და გრძნობიერო,
შენ, ლალისფერო, გულისხმიერო!
სტუმარ-მასპინძლის გამხარებელო,
სწორმეგობრების შემომკრებელო!
გაჰკარ ჭიანურს... სთქვი მესტვირული,
ჩქარა, დუდუკი!.. მოვა სვირული,
ყიფიანისა... ატენის ღვინო!
ვიდრე არ შევსვა, არ დავიძინო!
ვიშ, ბროლის ჭიქებს და შემდეგ ყანწებს!..

ყოჩაღ! ვინც ჯიხვის სავსე რქას ასწევს!
მოდის შემწვარი... ისმის ნაური...
გადმოდგეს ტაფა და ინდაური!
შემდეგ მოჰყვება თხილი და ნუში!
თან სადღეგრძელო... ჰე, აბა, ტუში!
ცხელ-ცხელი მწვადი... ცეკვა, თამაში!
კმარა! საზანდარს მიეც შაბაში!
ლოთი ვარ მაგრამ მათზე ფხიზელი,
ვსვამ დარდისაგან და შორს ვიმზერი.
თუ გსურს, შენც დასთვერ, რომ წუთი-სოფლად
არ იყო მარტო, საბრალო, ობლად!
ღვინო და ნინო!
თარი, თამარი...
სუფრული მადა...
კარგი თამადა,
რომ ტოლუმბაში
შეაბას სმაში. —
იმერ-ამიერ,
მრავალჟამიერ!
ჩვენ გავათენოთ, სხვამ დაიძინოს!
ვაშა და ტუში ყურძნის წვენს ღვინოს! 1915 წ.

კახეთის დედოფალი

ძღვნად ჩემს მაროს.

ყვითელ ბაღში შემოსულა
სახე-მწიფე, კაბა ჭრელი;
მის გულმკერდზე ორს ნაზ მტევანს
უჩინარი ეტრფის ხელი;
ვნებისაგან იქანცება...

დნება... კრთება ეშხით მწველი,
ცხოველ სიტკბოს არ იშურებს,
დაუხლართავს ყველგან ქსელი,
შიგ ებმები, უერთდები,
მასთან ხარ და მასვე ელი,
გელიმება, გელხინება...
სულს გიბრუნებს სუნთქვა ნელი.

ერთხელ, როცა მზე მინელდა,
სხივს გათბობა გაუძნელდა,
ხეს ფურცელი დაუსველდა,
მთას მოედო თეთრი ელდა, —
თვალწარბიანს, ჭრელკაბიანს
ხილის კოშკი აუშენეს,
ყურძნის სვეტი აუკინძეს,
ესრე ტახტი დაუმშვენეს.
აკიდო და კუნწულები
გარეშემო დაუკიდეს,
შარბათის და ნექტრის წყარო
ამჩქეფარეს ყოველ კიდეს.
— დღეს თუ არა, ხვალ უთუოდ
სიძე უნდა აქ მოვიდეს.

დედოფალი იღიმება,
ბროწეულის ბაგეს აპობს,
ვაშლის ლოყებს დაჰკრავს ვნება,
„ახ, ვინ მომწყვეტს“ გულში ამბობს,
საფერავის ბნელ თვალებში
ამხედრებას ჟინი ლამობს.
ლალისფერა, ქარვისფერა

სდუღს და ქვევრებს ეძალება,
ჩვენი გონჯა, თხის-წვერება,
ალარავის ეკრძალება —
გაღეღილი, დაკვალთული,
დედოფლის წინ დაბარბაცებს,
ხან ერთს გოგოს მოუჯდება,
ხან მეორეს ხელსა სტაცებს,
მას ტიკჭორა ხელით დააქვს,
დილიდანვე გადაუკრავს:
— სიძე ბატონს მოელიან,
საზანდარი მწყობრად უკრავს!

მტვრიან თაროს ყანწებს ჰხსნიან,
ძველს მარანში ქვევრებს ჰხდიან,
ხარი დაკლეს, თხა წააკლეს,
სხვა ზვარაკსაც სულსა ხდიან.
ზოგნი ცეცხლსა აჩაღებენ,
ზოგნი ლურჯა სუფრას ჰშლიან.
ზოგმა მწვადებს მოუმარჯვა,
ზოგნი თონეს ამოხდიან.
— შუადღისას საზეიმო
დღესასწაულს გარდიხდიან.

დედოფალი დანიშნულა,
რჩეულს სიძეს მოელიან.
ქალსა გრძნობა-მოჭარბებულს
ჰსურს აშლა და ჰსურს თამაში.
შესამოსი განიძარცვა:
სამკაული და მარმაში.
გონჯა მასთან დავლურს ცეკვავს,

დიპლიპიტომ დაჰკრა ტა'ში.
— სიძეე, მოდი! ნუ აყოვნებ!
ააჩქარე შენი რა'ში!
სურნელება გარს არტყია,
იბანავა ვარდის ნამ'ში!

დედოფალი ოდნავ შეკრთა:
ეს განცხრომა რას უქადის?
გაზაფხულის ყრმა დასტოვა,
ის ალარ სჩანს, მარტო დადის.
ის ხომ მისი სატრფო იყო,
ყვავილებ'ში ა'შიყობდა.
მზიან თვალებს უკოცნიდა,
მასთან ტრფობას ამაყობდა.
დღეს კი... სხვაზედ... უცხო ყრმაზე
დაუპირეს გათხოვება...
მზეჭაბუკის სხივის ბაგეს
ეკონება — ეთხოვება!

მაყრიონი კარზე მოდგა,
ღვინით, მწვადით მიეგებნენ;
დედოფალმა იცნო სიძე
და ამბორით გადაებნენ!
ყვითელ-წითელ ხალიჩაზე
ლხინსა ლხინად შეირგებდნენ!
გრძლად სუფრული შემოსძახეს,
სხვას სიმღერას არ აცლიან.
თვით თამადა ჭირვეულობს —
აირჩიეს, — ვეღარ სცვლიან;
აქეთ მთვრალი, იქით მთვრალი,

ყახჭებს გახზე გადისვრიან,
შემდეგ მაინც წითელ ღვინოს
გაქონილი ჯამით სცლიან.

განთიადი მონარნარდა.
მთები წითლად აიბურა.
ალაზანზე ნისლი გაწვა.
ცივი ცვარი მოაპკურა.
გრილმა სიომ მაღლა მთიდან
ზეიმისკენ მოაშურა.
ზოგს მაყრიონს მიეძინა
და ზოგს თვალი მიელულა.
ზოგნი ისევ ქეიფობენ,
მორიგეობს ღვინით კულა.
ჭიანურზე საარს სწვავენ.
ხმაზე ყველა მინაბულა.
განთიადის ხოტბა ისმის
და ოცნება შორს წასულა.
მხოლოდ გონჯა მხიარული
იქვე ხესთან ატუზულა.
მოწყვეტილა საცოდავად.
მძიმე ტანჯვით დათუთქულა.

გულმოკლული მარტო სტირის.
გამწარებულს კვნესა ჰხდება.
შეუმჩნევლად სწუხს საბრალო,
მის ცრემლთაგან გუბე სდგება.
და რად სტირის? რა ალონებს?
ვის ემდურის? ან ვის სძრახავს?
საიდუმლო ერთმა იცის.

საიდუმლოდ შეინახავს.
მას სიცილი დაეკარგა,
ლხენის კოკობს ვეღარ ჰნახავს.
მისი სტვირი შემოდგომის
უცნობ სევდას გამოსახავს!

1914 წ.

თუშაია

აუტირელი თვალები
ვნახე მე თუშის ქალისა;
მოეკლათ მთაში მიჯნური,
მსხვერპლი ვერაგის ძალისა,
გულში რას გრძნობდა ასული,
უხილავია თვალისა,
მე იმის გრძნობას ვერ მივსწვდი:
ცოდოსია თუ ბრალისა!

როს მკვდარი ნახა სუდარით,
ბაგე მოკუმა მღიმარი;
წარბები ოდნავ შეიკრა,
სახე გაცივდა მცინარი.
დედასაც უთხრა: „ნუ სტირი,
„ვერ გააღვიძო მძინარი;
„ამისი მკვლელი აქ მოვა,
„მეევე გავიგო ვინ არი!

ქალი არ იტყობს წუხილსა,
მშვენობს მნათობის სახითა;
ცხვარს რომ გარეკავს საძოვრად

გზით ივლის დასანახითა:
წყაროსთან ახლო დაჯდება
მაღლით ნადენთან ფახითა;
მას უნდა მკვლელი იპოვოს
სხვა გეზით, სხვა-გვარ მახითა!

იგი, ვით იდუმალება,
მთვარიან ღამეს იარებს;
მიჯნურის საფლავს ჩაუვლის,
გულში კი ჰფარავს იარებს.
ყრმა მის წინაშე წარდგება,
თვალი ცეცხლივით პრიალებს.
ეტყვის: „ქალაი, მიყვარხარ,
ტრფობა მწვავს, გულსაც მიალებს!"
"შენ რომ არ ნაღვლობ მის სიკვდილს,
მე ამან გამახალისა;
უწინ შენ ჩემთვის ყრუ იყავ,
როგორც კლდე მაღალ სალისა.
მე მოძმის სისხლი დავღვარე,
შემინდე ცოდო მთვრალისა;
ხმალმა გადასჭრა მთის ძირში
ან მე ერთგული, ან ისა!"

ქალმა შეხედა და იცნო თუშის ძმად ჯანაფიცარი.
მივიდა ახლოს ალერსით,
უთხრა: „ჩემი ხარ, გიცანი!"
მსწრაფლ ამოაძრო ხანჯალი, გაუპო გულის ფიცარი.
— დედავ! ეხლა კი ვიტირეთ,
მკვლელს მიუტევე: ვინც არი!

ერთი კოცნა და გავშორდეთ!

...და არ ვიცი, ვერც გავიგებ
ის თანახმა თუ არი!
თუმც ბევრს ცელქობს, არ კი უთქვამს
არც ჰო და არც უარი!
მხოლოდ ოდეს გვერდს ჩამივლის
კეკლუცად და რხევითა, —
ამ დროს, ნეტა. რას მანიშნებს
მსუბუქ ხელის ქნევითა?
თვისთან მიწვევს. თუ მიცილებს,
არის გაუგებარი!
— ცელქო ქალო! ამლამ მოდი!
ნიშნას მოგცემ სანათით!
თუ არ დაჰყოფ ჩემთან მარად,
დარჩი ერთის საათით!
ერთი კოცნა და გავშორდეთ!
სხვას რას მოსთხოვ სიხარულს?
მართალი ხარ. ვერსად ვპოვებ
სამუდამო სიყვარულს.
დღეს ვართ, ხვალე არ ვიქნებით
გაგვეთხრება საფლავი!
დღეს ალერსი. ხვალ ქვითინი

მწარე და გულსაკლავი!
მაშ. მო, ამღამ, ცელქო ქალო!
ნიშანს მოგცემ სანათით!
წახვალ, იქნებ ვეღარც გნახო!
მოდი ერთის საათით!

1913 წ.

დ ი ა

გაზაფხულზე ჩემი დია,
ვიდრე სხვა დროს, დიადია.
ყვავილებით მოკაზმულსა
ფერხთით ფლოსტი გაუხდია;
უალერსებს ჩემს ძველს წყლულსა,
სანატრელი კოხტა. დია!
ჩემთან მოდის ბინდის ჟამსა,
მირაკუნებს ჩუმად კარსა!
გალობს უცხო საგალობელს,
რაც ყრმას ჯერ არ განმიცდია.
ნექტარს მასმევს დამათრობელს.
სანატრელი. ჩემი დია!

ჩემკენ დახარა მან ერთხელ თავი,
გაშლილ თმის ტალღამ ორივ დაგვფარა;
წელზე მოვხვიე ძლიერი მკლავი.
ზღვის ქაფი ეგრე არ არის ნაზი;
არც გარს ეხვევა ხეს უსურვაზი,
როგორც ის ვნებით შემომეხვია
ელქი თამამი. ქალწული დია.

ჩემს ოთახში წყნარად სძინავს,
ზედ ლეჩაქი ხურავს მუქი;
მოქნილ ტანის სიშიშვლისგან
იფინება ირგვლივ შუქი;
გადავწიე მის თხელ საბურს,
ძინარს თვალი გავუსწორე;
გაღვიძა. გამიღიმა
და უსიტყვოდ ვეამბორე:
ცხოვრებაა ჩემი დია,
სოფლის ეშხი, სოფლის ვნება;
ზეციური სხვას დაუთმო,
თვით არჩია მიწის შვება.
თუ დაუწყე საუბარი,
რომ არსებობს სხვა ჩვენს გარე,
იგი ცეკვავს უდარდელად,
და იცინის მონარნარე.
მიტომ მიყვარს ჩემი დია,
ვით ოცნება, სხმული ხორცად.
ორ არსებას შევითვისებ,
როცა ვდგები მის წინ ლოცვად!
აღარ ვიცი ამ ორს შორის
აწ ვინ უფრო დიადია?!
უხილავი ჩემი ლტოლვა,
თუ ხილული, ნორჩი დია?!

ერთხელ ეტლით შორს წავედით:
გვიმართავდნენ დღესასწაულს;
რა ვიცოდი, იზრახავდნენ
ბოროტსა და ბნელს სასწაულს?
ღვინის ნაცვლად მისცეს შხამი,

მახე უგეს ჯადობნელი.
შინ დავბრუნდით, დიამ მითხრა:
ეძიეო ჩემი მკვლელი.

აბ, გზაში რარიგ იტანჯებოდა.
„მიშველე რამე“! მეხვეწებოდა!
ვერას ვშველოდი, გული მწყდებოდა;
მკლავზე მწოლარეს სული ხდებოდა.
ნაზის ხელებით მკერდს მეკვრებოდა.
ტურფას არ ჰსურდა გამშორებოდა.
ო, დიავ! გუშინ მისთვის ხარობდი.
რომ ხვალ მზე აღარ გაგთენებოდა?
მან მითხრა: ამას მე წინად ვგრძნობდ ;:
მას ჩემი ბედი შეშურდებოდა.

სთქვა და კიდეც მოსწყდა სოფელს,
დღეს ვატარებ მისთვის შავებს;
მიწად მყოფი თვის მეტოქეს
ველარაფერს დაუშავებს!
მოუსვენრად ვტეხავ ღამეს,
დილით ვდგები გულით მკვდარი;
თვალით ვეძებ ჩემს გოგონას
და ამაოდ, აღარ არი!
მარტოდ მყოფი გულში ვტირი,
არას აჩენს გარედ სახე,
მსურს გავიგო, თუ ვინ უმტრო,
ვინ დაუჭო მიჯნურს მახე!
ერთხელ დილით ბარათს ვიღებ,
მით დამატყდა მე თავზარი:
ვსცან, ყოფილა დიას მკვლელი
ქალი. მისივ მეგობარი!

1912 წ.

ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔ ᲚᲔᲘᲚᲐ

მხარზე სურა შემოიდგი
და გამოჰყე წყალზე დობილს:
იქ თეთრ ქვასთან მინახულებ
სიყვარულით ლახვარ-სობილს.
მზის ჩასვლისას მოცქრიალდი,
დარჩი მთვარის ამოსვლამდე.
გულს ლოდინით ნუ გადმილევ,
თუ გსურს შარბათს შენთან ვსვამდე!
შემოიდგი მხარზე სურა
და გამოჰყე წყალზე დობილს!
თორემ ტანჯვა გადამიტანს
სიყვარულით ლახვარ სობილს!

აგერ, სერზე ვადმომდგარა
და დობილთან მოდის მღერით;
დაპირება აასრულა —
შემომცინა გულმა ჟღერით!
შიშველ ფეხზე ფლოსტი ეცვა
ანასხამი ფერად მძივზე;
ბრილის ყელი მოეღერა
უფრო ტურფა ნათელ სხივზე!
მას დობილი ჩამოშორდა...
ჩემკენ მოდის იგი მღერით;
სურა დადგა — ჩემთან დაჯდა
— გული გვიცემს ორთავ ჟღერით!

შეუმჩნევლად უკვე მთვარე
ტყის წვერიდან ამოცურდა.
ჩვენ თეთრ ქვასთან კვლავ ვისხედით,
განშორება აღარ გვსურდა.
ყვავილებში თავი მიედეთ
და განცხრომით ვნეტარებდით!
მე. მიჯნური და ბულბული
სამნი ერთ დროს ვატარებდით!
შორს დობილი იძახოდა:
უკვე მთვარე ამოცურდა!
ყურადღებას არ ვაქცევდით,
განშორება აღარ გვსურდა.

და მიწყნარდა ყველაფერი.
მხოლოდ წყარო თვის ხმას ადგა.
ერთი ვინმე ყრმა უცნობი
უცბად თავზე წამოგვადგა.
და ხანჯალმა გაიელვა...
წამოიჭრა ქალი მნათი;
შეევუძახე: რად ჰკლავ? ვინ ხარ?
ვინ მოგგზავნა მუხანათი!
„მან ჩემ ფიცსა ულალატა!“
სთქვა და ბუჩქებს მიეფარა.
ქალს სიკვდილი შავს თვალებზე
ლურჯის ფრთებით მიეპარა!
და მის შემდეგ, როცა მთვარე
იცრიცება ბამბის მკლავად,
იმ თეთრ ქვასთან ვილაც სტირის
ხმა-გაბმით და გულსაკლავად.

1914 წ.

მაჯლაჯუნა

კოშმარი.

ჰეი, ვინ ხარ?
ამ ბნელ ღამეს აგრევია გზა და კვალი!
რად სისინებ? მემუქრები?
რა მიმიძღვის შენთან ბრალი?
ვაგლახ! რატომ არ თენდება?
რად არ ყივის ან მამალი?
საათიც კი აღარ რეკავს,
სანთელს უკრთის შუქი მკრთალი!
— კარს ნუ მიმტვრევ!
ვერ მიგიღებ: კაცი იყო, თუნდა ქალი!
მაშ გაბრუნდი ისევ უკან
და პატივი შენს თავს იდე!
...სულო ჩემო! სულო ჩემო!
ალსდექ, სევდას განერიდე!

ბნელში ვზივარ! შიში მიპყრობს!
გულს თრთის და მიკანკალებს.
ვიღაც მიმზერს გაშტერებით,
აბრიალებს ცეცხლის თვალებს.
ჯადოა თუ მავნე სული?
ეურჩება ძალთა-ძალებს?

ძვლების თითებს ჩემკენ იშვერს,
რად ილესავს ეგრე ბრჭყალებს?
ჰეი, ვინ ხარ? რა გსურს ჩემგან?
ცივი მზერა რას მავალებს?
რად მომისპე მყუდროება?
ნუთუ უნდა მსხვერპლად მთვლიდე?
...სულო ჩემო! სულო ჩემო,
აღსდექ! სევდას განერიდე!
    თვალს დავხუჭავ, აღარ ვიმზერ.
პირქვე ლოგინს დავემხობი.
გულით წყევა ამომხდება,
შევიქმნები შენი მგმობი!
და თუ ჩემებრ დეევნილი ხარ,
ვფიცავ სიყრმეს — მოგენდობი.
თუ ამ ჩანგმა მოგიწვია
და დასტოვე მისთვის კიდე,
აჰა, იგი დავამსხვრიე,
ვერ გამოსცეს მან ხმა კიდე!
წადი! ან გზა მე დამითმე!
მსურს მარტოკა ღამე ვლიდე!
ყინვის სუნთქვით რად შემხუთე!
ო, ნუ მარჩობ, ამხსენ რიდე.
...სულო ჩემო! სულო ჩემო!
აღსდექ! სევდას განერიდე!

თან წაიღე ოქრო-ვერცხლი,
ოღონდ დამხსენ მაგ ზღვა ნაღველს.
რაც ოცნებით შემიქმნია,
მასაც გიძღვნი სასტიკ მსახვრელს...
თუ რამ ვითხარ მკვეთრი სიტყვა,

შემინდე მე ამაყ მძრახველს!
არ მიდიხარ? მაშ რა გინდა?
მითხარ, მითხარ რას მთხოვ კიდე?
...სულო ჩემო! სულო ჩემო!
აღსდექ! სევდას განერიდე!

1912 წ.

პაპლაყურა და ელთეროზ

ბანჯგვლიანის ცხენის ფეხით
პაპლაყურა მობაჯბაჯებს;
კისერი აქვს მხრების სისქე,
ქშინავს, ძლივს სდგამს მსუქან ლაჯებს.
სქლად ბალანი ტანს უფარავს.
სადღაც ხილი მოუპარავს.
აბრიალებს კატის თვალებს.
ხელს გადახვევს ვნებით მთვრალებს,
ათამაშებს ტყეში ქალებს.
სალამურსაც თვითონ უკრავს.
ერთს ლეჩაქი დაუხია,
ეხლა წელზე შემოუკრავს.
ორი დღეა დაქეიფობს,
მაგრამ მაინც არ ამთქნარებს.
ნდობით ტუჩებს აცმაცუნებს.
მწვეტი წვერით დაცანცარებს.
ერთხელ ნახულს დაიწუნებს,
სხვა მეორეს შეაცთუნებს.
ვერა ჰნახავ მას კმაყოფილს,
ან მოკაშმულს. ან შემკობილს!
ეხლაც დადის და ვის ეძებს?

ვის შეუკრავს სავალ გეზებს?
განრისხდეს თუ მოეფეროს?
ტირიფის ქვეშ ელოდება:
ტყის მიონას — ქალს ელთეროს!
მდინარესთან მიახლოვდა,
სუნთქვით მკერდი აუჩქროლდა.
იქ მას დაჰხვდნენ სულ სხვა რძლები.
გაუცინეს, დაედევნენ;
„მაგარია შენი ძვლები“...
და თავიანის მხარეს სწევდნენ.

გულ-მკერდი აქვს ჰაპლაყურას
მჭრელი, როგორც ცულის პირი;
ზოგს ეჯახა, შეაშინა,
ზოგიც გასხლტა ანატირი.
ძალით მაინც მას აკოცეს.
ქინის გზნებით გააოცეს.
ტყის ბანჯგვლიანს სულ სხვა უნდა,
მრავალიც რომ გადიმტეროს;
თუ კი ნატვრა აუსრულდა
და შემოხვდა ცელქს ელთეროს,
ხელს შეუკრავს მისივ თმებით;
შეაყვარებს თავსა ვნებით!
და შეასწრო უცბად თვალი:
წყაროს პირად იჯდა ქალი
და მის გვრდით სხვა ტყის კაცი
რქებიანი, როგორც ვაცი.
ფეხაკრეფით მიეპარა
და მეტოქეს უთხრა წყნარათ:
„ანუ დასთმე შენის ნებით,

ანუ ეხლავ გამიმკლავდი!“
დაეტაკნენ ორნი რქებით!
    შენისთანას ტყვედ შევკრავდი!
--- შენისთანას ერთს წუთს ვკლავდი!
პაპლაყურა დაეჯახა,
მკერდი ჰკრა და მოგვერდული;
წუთში მტერი დაბლა დასცა,
რქით ნაწლეებ გაფათრული.
მსხვერპლს დაჰხედა მფეთქავ გულზე
და ელთეროს ხელი სტაცა;
შემოისვა მაგარს ზურგზე,
მუხის ტყისკენ ეაიტაცა!

პაპლაყურა ტლინკავს სტვირზე,
ელთეროსაც ათამაშებს;
მაჯლაჯუნა დოლის ნაცვლად
ხელებს ურტყამს მსუქანს ფაშვებს.
ჯმუხს ბაბაყულს ასლოკინებს
და ჩამოსდგას დორბლი ლაშებს.
ვილაც მკვეთრად წივის, კივის
ეით ამხნევებს ქაჯთა დასებს,
კუდიანი აღარ აცლით,
დადის და თან აწვდის თასებს.
ჩხინკა მეტად ჭირვეულობს,
ყბედობს, ხელებს ასავსავებს.
ბაიყუშმა გაიცინა, —
ნეტა ეგუ რას მოასწავებს?
ის უთუოდ ვისმეს ნავსავს
და ფიალას ბოლმით ავსებს!
ერთი ჭინკა ჭირქვე ბლუნავს,

ილმანჭება, პირს ასაქმებს.
პაპლაყურა ისევ ტლინკავს,
ელთეროსაც ათამაშებს;
მერამდენე ღამეს სტეხავს?
მთვარე ღრეჭით დაჰკაშკაშებს!

ერთი ფხიზლობს და არ ღრეობს.
განგებ დახტის, განგებ ანცობს;
გულში რაღაც განზრახვა აქვს
და განზრახვას არვის აცნობს.
ბაიყუშმა იქნებ იგრძნო,
ნეფიონის ლხენა არ სწამს?
და იმიტომ გაიცინა
და სიცილით ყველას ნავსავს?!
დაიქანცნენ ამდენ როკვით.
ზოგი ძილის ქადებს აცხობს;
მასპინძელიც სადღაც მიწვა...
უცნობი კი გეგმებს აწყობს.
მეორე დღეს ისევ სძინავთ,
პაპლაყურას ხელს ვინ ახლებს?
მას ელთერო გაჰპაროდა,
ლხინი ვეღარ განაახლეს.
და მას აქეთ ისევ ეძებს,
დაბარბაცებს კლდე და ღრეში,
ვეღარ შეხვდა ის ელთეროს
ვერც წყლის პირად და ვერც ტყეში!

1922 წ.

ა გ უ ნ ა

პაოლო იაშვილს.

ზაკაბუკით, მოდის ხტუნვით,
მას ყვავილი რქებს უმშვენებს;
ხელში ტიკით, ცეკვა სრიკით
გზად მიმავალს ლხენის კოშკებს აუშენებს
ლამაზ ტანადს შეაჩერებს
და მსხვილ თვალებს ჩააშტერებს.
სვამს, იცინის, სხვასაც ალხენს.
ჩახლეჩილით შემოსძახებს!
მოაშიყეს ყველას ამხელს.
და გიჟური გატაცება!..
თავბრუს ასხავს, არა სცდება!
სალამურს რომ ტუჩებს ახლებს,
ჟრიამული გულს მოწყენილს განაახლებს.
სიცოცხლე და მისი გემო
მასში არის, მას განაგებს.
ერთს დაანგრევს აშენებულს
და მეორეს თვითვე აგებს.
მეფე არის და ხუმარა! —
ალერსია თვით მუქარა!
ლანდალები — ტყის ქალები
თავს იყრიან... ერთი ცეკვავს...

ხალ ჟიხზე ეჟვხით რეკავს!
დასასრული ვინ სად ნახოს?
ალზღვარიც კი გადალახოს...
ოდის ხონჩა ხილით სავსე,
ღვინის ღმერთი დაბარბაცებს;
ამბობს: ჩემს სულს დაემსგავსე,
ოგოს ხელში აიტაცებს
და ფერხულით, ხელჩართულით
ღამეს გასტეხს. დილას ავნებს;
ციმილს ჩუმად შეაპარებს
ახინჯებს და გულით მავნებს!
ბერ, ტყიდან გამოდიან
მეგოსილნი ლეჩაქებით;
ათ აგუნა სალამს აძლევთ,
ახსენიებს ყველას ქებით.
ომერ ქალიც მათში არის —
აიყვარული დაუშრეტი;
ერუბლებიდან ჩამოსულა
ბრძოლის ღმერთი, როგორც სვეტა!
ბაკი-ბუკით, მოდის ხტუნვით!
ათ აგუნა ღვინით ალხენს,
შეყვარებულს თვალს ჩაუკრავს,
მის ცელქობას გამოამხელს.
სალამური აღარ სწყდება
მღერის. სტირის. დაბარბაცებს.
ნატრულობენ: რომელ ლანდალს
შორს ბურანში ეაიტაცებს!

1922 წ.

თეთრი ალი

მზით ალანძულს წითელ ტბაში
თეთრი ალი კოხტად სცურავს;
როს გამოვა ჭრელს ნაპირზე,
სოსანის ფერს საბურს სწურავს.
მუხის ტყიდან თხა გამოდის
სალამურის კოჭლი დაკვრით;
სხვა ქაჯებიც მას მოსდევენ
თამაშით და ბუქნის ჩაკვრით.
ოხუნჯს რქებზე ეჟვანი აქვს,
იცინის და სხვას აცინებს;
ერთ ტყის გოგოს თვალს ჩაუკრავს
და მეორეს გააცილებს.
მაჯლაჯუნა იჭყიტება,
არ ილებენ სტუმრად ლხინში;
იგი ყველას ეჯავრება,
ელანდებათ ღამე ძილში.
თეთრი ალი ჩუმად არის,
არ ებმება მათ ფერხულში;
ღმერთს კოპალეს შეხვედრია,
ჩარჩენია ტრფობა გულში!

1922 წ.

უძილო ღამე

უძილობის ჭრელი ჭინკა
თვალზე მაზის, ვიტანჯები;
სიბნელიდან მეძახიან
ავსული და ალქაჯები:
— გარედ გამო! გამო გარედ!
მაჯლაჯუნა ჩემს ლოგინში
დაჭყეტილი შემომიძვრა;
ყინვის ოფლში ავკანკალდი,
ჩემი ტახტი მთლად შეინძრა —
ყელში მიჭერს,
მკოცნის მწარედ!
ბაიყუში კუდიანი,
თხიწვერა და ბანჯღვლიანი
ჯადო კბილებს აკაპუნებს.
ერთმა საათს ხელი სტაცა,
შედგა, აღარ აკაკუნებს.
ერთიც ქვაბში ღრეჯით ჩაძვრა,
აგორებს და არახუნებს.
ერთი სხვენზე გადამძვრალა,
კრამიტს ამტვრევს და წრეს ავლებს;
კატას ხელი წამოავლეს.
უკბინეს და შეაჩხავლეს.
ის როკაპი დაღრეჯილი

წამდაუწუმ კარებს აღებს;
თავს შემოჰყოფს, ისევ გაჰყოფს,
თანაც მესვრის ჩემსავ წაღებს.
ამბობს: ადექ! გამო გარედ!
ჭლექიანთან! ბრუციანთან
სხვა საწოლი მოგიგვარეთ!
სხვა საცოლე მოგიყვანეთ!
ნუ იძინებ! გამო გარედ!
ჭინკა ცეკვავს, საზიზღარი,
ჭინკა იშვერს მაღლა ხელებს;
არც ბურანი! არც სიზმარი!
არც მაციებს! არც მაცხელებს!
წივილ-კივილ-ჟრიამულით;
გულზე ხტიან, მკერდზე ხტიან:
საბანს მხდიან, თვალებს მთხრიან,
გაწვდილ ხელებს მომიხრიან,
ლამის სულსაც ამომხდიან!
ბარბაცებენ, თან უსვამენ ბეზარ სრიკაპ!
ნეტა ერთი ხელს ვტაცებდე
ჩემს თვალებში ჩამძვრალ ჭინკას!
რომ აღარ სთქვას: ,ამო გარედ!
ახ! ვინ მკოცნის ასე მწარედ?!

1922 წ.

ჩემში — ჩემს იქით

ვინ არაკუნებს ამ ციხის კარებს?
ან ვინ იძახის ძველ გმირთა გვარებს?
ვინ მიხმობს გარედ? ვინ მაბოროტებს?
ქარი ხომ არ სტეხს ძველ მუხის ტოტებს?
— მსახურო ჩემო! არ გესმის? ადე!
ნუ თუ დაგხურეს გრძნეულის ბადე?

რჩეულმა გმირმა გზა თუ არია,
ან იქნებ უცხო მას გვირგვინს სტაცებს?
მაშ ერთხმად ეს რა გლოვა-ზარია?
ან რა აღელვებთ ჭალარა კაცებს?
იქნებ ანაზდად მტერი დაგვეცა?
ალამი ჩვენი წმინდა დაკეცა?
ჩემთან აფრინეს შიკრიკი თადე!
— მსახურო ჩემო! არ გესმის? ადე!

იქ ვიღაც ამტვრევს გაცრეცილ მინებს!
ვერ გადმოუვა მოაჯრის რკინებს.
უხმე თეთრ დარაჯს! ვიღაც დამცინის,
რომ მე ამ რიგად შემიპყრო შიშმა:
ჩემში იმტყუნა რაინდის ჯიშმა!
ციხის კარებთან ვიღაც სდგას შავად,
სხვას არვის ენდო, ნახე შენ თავად;
— მსახურო ჩემო: არ გესმის? ადე!

უცნობი ხელი ფარდას. აბრუნებს,
ერუანტელს მივლის, გრძნობას აბრუებს.
მსურს დავუყვირო და ხმა მიწყდება.
მსურს რაღაც ვკითხო, მსწრაფლ მავიწყდება!
— მსახურო ჩემო! არ გესმის? ადე!
ხომ არ დაგხურეს გრძნეულის ბადე?

ციხის კარებთან ჯერ არ ნახული,
შავის პირბადით სდგას დათალხული,
ჩემსკენ მოიწვდის ნაცრისფერ მკლავებს
და თან ქვითინებს, ისველებს კავებს!
ვინ არის იგი? ან რაზედ ჰგოდებს?
კიდევ ჩემს გარდა ვის აღაშფოთებს?
ჩემს ობოლ ბაღში ქარი სტეხს ტოტებს,
შავს ამბავს მოსთქვამს და მაბოროტებს!

1919 წ.

სიკვდილი სარკეში

შემომეჩრდილა თამბაქოს ბოლი!
ჩემის სახის წინ გაავლო ზოლი!
ამ დროს ოცნებამ ვერვინ მიჩვენა სხვა ჩემი ტოლი...
ჩემს გონებაში სხვადასხვა ხსოვნა მთლად ამერია.
ბოლი კი თეთრად თავს დამტრიალებს, როგორც ფერია.
მსურდა მეფიქრა ან წარსულზე, ან მომავალზე...
თვალი შეჩერდა უცნაურს რკალზე.
მაღლა არ მიდის: ჩემ წინ გრძელდება...
შეიკუმშება ისევ თხელდება...
შემდეგ სიფრთხილით შემომეხვია, შემომებუნდა:
თითქოს მოველი რაღაც სასწაულს...

გრძნეულსა ვინმეს თუ რამე უნდა —
მე რა შევიტყო ბოლის ნიშნებით?
ეხ! ვიცი! მისებრ ექრებით, ვიშლებით!

ვფიქრობ და ფიქრი მევე მღალატობს!
სჯაჭვავს ერთსა და იმავ კალაპოტს!
ჩემ წინ სარკეში მე უნდა ვჩანდე,
სულით თუნდ არა, მას სახით ვგავდე, —
მაგრამ ჩემს ნაცვლად ბოლის რკალებში,
თეთრი სიკვდილი სდგას წინ სარკეში
და მიცქერს იგი მკვეთრად თვალებში,
ჩემებრ თამბაქოს მძიმედ აბოლებს.
ისიც ოცნებას თვის გულს აყოლებს.
შევკრთი, რა ვნახე ის ჩემი სახე,
წამოვდეგ, გული ზედ მივაჯახე.

ვგრძნობ: ჩვენ ერთმანეთს არას დავუთმობთ,
ჩემს მოფიქრებულს იგი ასრულებს:
მითხრა: შენი ვარ! მე შენს სარკეში
გარდავქმნი მუდამ ყრმებს და ასულებს!

1919 წ.

ყურძნის აკიდო

ყურძნის აკიდო მწიფე, ნარნარი
მოაქვს შავთვალას, ლამაზ პატარძალს...
გზა გასავლელი უძევს შამბნარი.
იქ ვინ დახვდება?
რა გადახდება?
გული ვნებისგან ვისი ივსება?
ქალის აკიდო, ვით სუსამბარი,
ნეტა თუ ვისგან მოისრისება?!

წინანდელს მიჯნურს იმ აკიდოსთვის
ყმაწვილი თავი, სჩანს, განეწირა,
ყურძნის აკიდო ხელთ არ ეჭირა!
ათქვირებული ლალის მტევნები,
განთიადისას ბინდის მთენები,
ლეჩაქის ქვეშე მკერდზე ესვენა;
იმის შერხევას ვერვინ გადმოსცემს:
ვერც სხვა მნახველი და ვერც ეს ენა.
ვით მონადირე კლდის სახუნდარზე
ნადირს მოელის და ნიშანს ხელავს, —
ისე ჭაბუკი შამბიან გზაზე
პატარძალს ელის და გულით ღელავს...
ერთმანეთს შეხვდნენ — ხმას არ იღებენ
უსიტყვო სიტყვას გრძნობით იგებენ.
ჭაბუკმა უთხრა: მომეც აკიდო,
გულთან რომ ლეჩაქს დაუფარია!..
ქალმა ღიმილით უსაყვედურა:
„მისი პატრონი ჩემი ქმარია!
„თუ შენ გიყვარდი, რატომ არ სჩანდი,
„რომ გრძნობა ჩემთვის შემოგებურა?
„ეხლა ხომ იცი, სხვას მივე ფიცი...
„მე ჩემი ბედი არ მსურს წავკიდო!..
„მასთანვე მიმაქვს ყურძნის აკიდო, —
ძალით აკიდო შეიპყრო ხელში
და პატარძალი შერცხვა იმ რთველში!
მან დანიშნული სულ აღარ ნახა.
არც რამე სიტყვა სხვას დააბარა.
ალაზანს ამცნო, ვინც ის შელახა,
და საიდუმლოც მას მიაბარა.

1918 წ.

თეთრი რაინდი

ოქროს ბალში ლურჯ ტბას სძინავს,
ქარი სწეწავს ვერხვის სიმებს,
შავის მოთქმით სულს ამძიმებს,
წარსულ გრძნობას ბოლმით სძირავს!
იქ ღამურა მიმოფრინავს,
უპატრონო ციხეს ნანობს;
ბუ გაჰკივის, კრულვას ამბობს,
მოხუც მეფის სული გმინავს.
იქ, იმ ტბასთან ვარდი ჰყვავის,
მას ყორანი თავს დასჩხავის.
ჰსურს დაჰფლითოს, თუმც მას ჰფიცავს!
მაგრამ ვინმე ჩაჩქანსხმული,
თეთრ რაინდათ სახელთქმული
სდგას უძილო, ხმალით იცავს!

1916 წ.

ოქრი მხედარი

თავადის ასულს უყვარს მსახური;
ნიშნობაც ჰქონდათ, შესვეს კახური!
ქალი ვაჟისას ბეჭედს ატარებს.
ვაჟს აღარ სძინავს, გული ნეტარებს!
სულ სხვა სასიძოს მამა იბარებს,

ქალსა მშვენიერს ის ჩაიბარებს.
ქალმა მოიხმო სატრფო რჩეული;
უთხრა: სხვა მოდის ჩემთვის წყეული!
ან იგი მოჰკალ, ან ჩემი თავი!
ჩემზე მშობლებმა ჩაიცვან შავი!
შუალამისას მტკვართან შეეება
გაფითრებულსა ვაჟკაცს მხედარი,
გათენებისას შინ მოასვენეს
გულგაპობილი ორი ცხედარი!

1916 წ.

ბ უ რ ა ნ ი

იმ ჩემ სიყრმის გაზაფხულზე
უცხო სევდა მაწვა გულზე...
მას ვერ ვცნობდი,
მხოლოდ ვგრძნობდი.
ვერ გამეგო, ჩუმად ცრემლებს ვისთვის ვღვრიდი?..
ვისი მქონდა კრძალვა-რიდი!
ნუთუ ვინმე შემიყვარდა, ვინმე უფრო ჩემზე დიდი?
ბაღში მარტოდ გავივლიდი...
გასართობად ჩამოცვივნულს
ყვითელს, დამჭკნარს ფოთლებს ვთვლიდი.
და იმ ფოთლებს ჩემს დრო-მოჭმულს
ნააზრს, ნაფიქრს ვამსგავსებდი,
რომლით ერთ დროს ჩემს ძველს მიჯნურს
სიხარულით აღვავსებდი!..

მოგონება წარმიღებდა,
სულ სხვა კარებს შემიღებდა.

თვალით ჩემს სულს ჩავსწვდებოდი,
შეეკრთებოდი:
მუდამ ჩემ წინ ვიღაც იჯდა,
ბედისწერის ფურცელს სჭრიდა.
ჩონჩხა-ხელით მწარედ მსჯიდა.
და ვუთმენდი...
და ვუსმენდი:
ცივს განაჩენს მომისჯიდა!
ის უკმეხი, გულის მტეხი, რისხვა შავად დანატეხი,
ჭრელს თვალს თვალში გამიყრიდა.
ვიყავ მარტოდ... წვიმა სცრიდა,
ქარი ტოტებს დაბლა ჰხრიდა;
ყვითელ ფოთლებს მოაცლიდა
და გულმკერდზე მომაყრიდა.
და იმ ფოთლებს ჩემს დრო-მოჭმულს
ნააზრს, ნაფიქრს ვამსგავსებდი,
რომლით ერთ დროს ჩემს ძველს მიჯნურს
სიხარულით აღვავსებდი!

...ბოლოს, ბოლოს იმ თვლემიდან
ერკვეოდა ბლანდი ფიქრი.
— ბედო ჩემო! საყვარელო!
მითხარ, მითხარ საით მიჰქრი?
მტანჯე შენი გადამკიდე,
უჩვენე კი ჩემს ნავს კიდე!
შეცდომილი დავალ სოფლად,
შავს ცხოვრების გზაზე ობლად!
ნუ გამწირავ, შემინახე,
დასასრული თუ ვერ ვნახე.

ის ყვავილი ისევ ისე
ველარას გზით შევითვისე...

მაშინ ავდექ თვით მოვსრისე —
მიტომც სიყრმის გაზაფხულზე
შავი სევდა მაწვა გულზე.
სული ჩემი ძველებურად
გულთან ერთად ცრემლებს ჰღვრიდა
და გულმკერდზე იმავ ბაღში
ქარი ფოთლებს მომაყრიდა!
და იმ ფოთლებს ჩემს დრო-მოჭმულს
ნააზრს, ნაფიქრს ვამსგავსებდი,
რომლით ერთ დროს ჩემს ძველ მიჯნურს
სიხარულით აღვავსებდი!

დღეს კი, ჩემო სულის ტოლო,
ზღაპარს აღარ უჩანს ბოლო!
შენ ხარ ზღაპრის დედოფალი,
გრძნობა წმინდა, ნატვრის თვალი,
მორცხვი, ნორჩი ქართლის ქალი,
რჩეული და პატარძალი,
ვის ზენარი თან სდევს ძალი!
თუმც იმ დღესაც წვიმა სცრიდა,
ქარიც ფოთლებს მომაყრიდა,
მაგრამ შენკენ ბედს მოვყავდი!
დანიშნული შენთვის ვყავდი!
დათალხული, მგლოვიარე
მოველ. გნახე. შეგიყვარე!
და შევფიცეთ ორთავ მტკიცეთ,
საყვარელო, სულის ტოლო!
ზღაპარს აღარ უჩანს ბოლო.
და ჩემ სიყრმის გაზაფხულზე
აღარ მაწევს სევდა გულზე...

ის ფოთლებიც ისევ მსდევენ,
როგორც სულსა შენი ფიქრი...
— ბედო ჩემო, მასთან მიეალ,
ბედო, მომყე, მასთან მიექრი!

1916 წ.

სად მიჰქრის მხედარი?

დაბურულ ტყე-ღრეში გრიგალი ჰქრის!
მთაბარი ზანზარებს, გრიალებს, თრთის!
მერანი მხედრისა ჭიხვინებს, რბის!
ოშხივარს ნესტოდგან ფრუტუნით ყრის!
მძლავრითა ჩლიქითა მიწასა სთხრის.
სად მიჰქრის მხედარი? რა უნდა, ვის?
შეჰხედეთ, კოშკია თხემზედა მთის!
იქ რძალი ზენარი სარკმელთან ზის..
გაჰყურებს მიდამოს, მწარედა სტირს!
რა ნაღველს შეჰყრია, რა სევდა სჭირს?
— მიჯნურსა მოსტაცეს, ტყვე არის ის!

1912 წ.

რანი ოდელი

ტურფა რანი შიშველ ტანით
ტყეში დადის, ტყეს ამშვენებს.
თავის სახეს მხოლოდ ერთხელ
მყუდრო ტბაში მოგვაჩვენებს.
იქ ბანაობს შუადღისას.
მთვარის შუქზე თმას ისველებს,
დილით შივა ყვავილებთან.

დაქანცული მოისვენებს!
გულს უფარავს მას ლეჩაქი
და იმასაც ხშირად იხდის.
ზოგჯერ დალის ესტუმრება,
დაცქრიალებს, ზეიმს იხდის.
მუდამ ამჩნევს: გონჯი რუხა
უკან დასდევს, მისკენ მიხტის.
ის ნახევრად ცხენკაცია,
აბეზრებს და თავბრუს ახვევს.
ხან შეპყრობას დაუპირებს,
ტორებს ასწევს, ძუას არხევს.
კისერს მკერდზე მოიღერებს,
ქაფიანსა ვნებას ამხელს.
როცა ტბასთან დაინახავს,
ჰსურს ქალს ეცეს, გაიტაცოს.
ბოლმა ახრჩობს ემირს ოდელის,
ნუ თუ კიდევ დაიცადოს?
დღე და ღამე ვერ ისვენებს,
რა იზრუნოს? ან რა სცადოს?
ტყეში შეხვდა და ელვასებრ
ლახტი სტყორცნა, მოხვდა რუხას,
შეიბრძოლნენ, დაბლა დასცა
და მიაღრძო ბებერ მუხას.
ეხლაც რუხა იქ აბია
და დღე გადის რაოდენი?
ზეიმობენ ულრან ტყეში
ტურფა რანი და ოდელი!

1922 წ.

ᲛᲘᲝᲜᲐ

ულრან ტყის პირად ჭრელ კონას ვკრავდი.
ცოცხალ ყვავილის გვირგვინებს ვწნავდი.
ბუჩქიდან ბუჩქზე გადავდიოდი
და თან ვმღეროდი, ბედს არ ვჩიოდი.
ხმა შემომესმა: შენში ვცხოვრობ, ვარ განუყრელი,
ჭირში თუ ლხინში სანეტარო და სანუკველი!
— ვინ ხარ?
— მიონა!
კვალდაკვალ მივყე, გავტეხე ნავსი.
და შემიტყუა უტეხ მუხნარში.
ირგვლივ სიჩუმე. ხეებზე ხავსი.
მეხმაურება გამოძახილით სხვა ვილაც არსი!
— მე ვარ მიონა! არ ვჩანვარ ბარში. —
შენი თვისტომი და თანაარსი!

ძილი ფრთას შლის... ირგვლივ ბნელა.
სიო სცრის და არხევს ფოთოლს;
ნაძვს ნიავი ნანას უმღერს,
მარტო შთენილს, სულით ობოლს.
ჩუ! საბრალოდ ვილაც კვნესის...
ვისი ხმაა, ან ვინ ჰგოდებს?
ცოდვებს აქ ვინ ინანიებს?
ვის რა სტანჯავს, რა აშფოთებს?

ახ! მიონა! გიცან! გიცან!
მე შენს ლოცვას მოვკარ ყური;
რად წამგლიჯე? რად მომტაცე
ორძალი და სალამური?

მიონა! მიონა! მიყვარხარ! ჩემი ხარ!
მოფრინდი! შენც ჩემებრ ტანჯვასა სჩვევიხარ!
მიონა ტყის ქალი, ოცნების შვილია!
შიშველი, სპეტაკი, დალალით შლილია!
ვისაც კი უმღერა ნანინა გრძნეული,
მას შემდეგ ტყვედ არის, ვით მონა, ძლეული!
ჩემს გარდა ასული, ვერცა ყრმა იხილავს;
მიონა მაცოცხლებს, სიკვდილით მომხიბლავს.

მუხის ტოტებში... ქარი სისინებს.
მგზავრს არ მასვენებს, მიწყვეტავს სიმებს.
ვილაც მსხვერპლს ითხოვს. გულს შუა უპობს!
და ამზადებენ ალქაჯნი კუბოს.
ვაგლახ, ვიგრძენი და ავკანკალდი!
შავს სამარესთან მარტო მე ვჩანდი!

1910 წ.

ა მ ი რ ა ნ ი

შავს ცხენზე მჯდომი, ვით ელვა მალი,
უცნობი დაჰქრის, ვერ ასწრობს თვალი!
დაჰქრის, თან დააქვს მას ცეცხლის ალი,
ხელში უჭირავს შიშველი ხმალი!
ძილს უფრთხობს ქალაქს! ძილს უფრთხობს სოფელს!
უყივის გმირულ საქმეთა მყოფელს!

უძახის თვისტომს და განუყოფელს!
რატომ საჯაროდ არ გვეჩვენება?
ხორციელია, თუ რამ ჩვენება?
ნუ თუ არ ვიცით მისი სურვილი?
ვინ უნდა იყოს პირმობურვილი?
ჩაჩქანასხმული და შეჭურვილი?!
  თურმე გულს ბოლმა ვეღარ ეტია...
ამირანს ჯაჭვი აუწყვეტია!
ჩვენს შორის დაჭრის, ვით ელვა მალი,
ამოწვდილი აქვს შიშველი ხმალი!
ვის უნდა მოხვდეს? — ვაჰ! მისი ბრალი!

1914 წ.

მე ვუმღერ მხოლოდ...

ჩემში ჩემთვისვე კერპი აღვძარი,
მას ავუშენე ოქროს ტაძარი.
მას სხვა ვერც მოსწვდეს, ვერც მოეკაროს,
ვდგევარ და ვუმზერ ჩემს ვრცელ სამყაროს...
იქ მსოფლიოა: თვითონ **მე** ჩემი.
არავინ მოსჩანს სხვა დანარჩენი.
თვალის შეხედვა სიკვდილსა ჰკვეთავს...
მე ვუმღერ მხოლოდ საკუთარს ჩემს თავს.

სულ ვერ მიცნეს, ოდეს მნახეს!
უცხო ადგილს უნაყოფოდ
დაეძებდნენ ნათელ სახეს.
ახლო ვიყავ, ვძულდი ყველას,
ქვა-ტალახი მომაყარეს;
როს დავშორდი, შემიყვარეს!
დღეს მე შორს ვარ!

ნულარ ჰგონებ, კვლავ მიყვარდეს...
სული ჩემი აღარაფერს არ იდარდებს.
შორეული მატკბობს ზღაპრით!
ეს თვით მე ვარ უქრობ ლამპრით!

რარიგად ვკოცნი ჩემს ჯადო თვალებს,
როცა სარკიდან მომელანდება.
იმ ჟამად ვტოვებ მე ცოცხალ გვამებს... —
ჩემს სულში მზეა, აღარ ღამდება!
წვერვალზე ბროლის კოშკი ავმართე,
ვესაუბრები საკუთარ ლანდებს;
ჩონგური ჩემი ჩემთვის მოვმართე...
თავს მოვისპობდი, რომ ვინმე მგავდეს!..
მუდამ ვარ ერთი და ვუმღერ ჩემს თავს!
ჩემი შეხედვა სიკვდილსაც ჰკვეთავს!

1911 წ.

ოქროს ჭრელი არწივი

ოქროს ჭრელი არწივი, შავი რკინის ფჩხალებით,
დამცხრალ მთვარის წარბებით იგი ნისკარტ-ნამგალა —
ზის კლდენადულ ციცაბზე, იწვის მსხვილი თვალებით..,
ყივის... მღერის: მზისა ვარ! ყიავ! ყიავ! განგალა!
    გული თეთრი ზღვის ქაფზე. ყელი სწორე, აღმართი,
წყალში ეტრფის თვის სახეს და სულშია წარმართი.
თავს გვირგვინი ადგია ძვლებისაგან ნახლართი.
მისთვის მისაწდომია საიდუმლოდ ნამართი!
    უშრიალებს ოქროს ფრთა ძიებისთვის მოსულ ლოთს.
სამსხვერპლო აქვს ღრუბლებში, თავის თავზე ლოცულობს,
განუსვენეს უყივის, ვინც ჭაობში დამპალა!

მზისკენ ჰაერს მიაპობს: ყრუ ხარ! ყრუ ხარ! განგალა!
    რისთვის მღერის არწივი მთებში მარტო განდგომით?
— მას აქ ტოლი არავინ ჰყავს, ჰხარობს ნების აღდგომით!
ამაყი და ზვიადი შეეჭრება მგოსნის სულს
და მონის სისხლს მოუკლავს, მცნებად მისცემს: მინდა!
                                                  მსურს!
    გავაფრინე არწივი შავი რკინის ფრჩხალებით;
ძველი მრწამსი დაღადრა, დასწვა ცეცხლის თვალებით.
მისი მწვეტი ნისკარტი სისხლით ჯერ არ დამბალა.
ყივის... მღერის: გარდიქმენ! ბლუ ხარ! ყრუ ხარ! განგალა!
    მას არ ესმის შეზღუდვა გულის ნება-ზრახვისა;
ერთს განიცდის სიამეს, მძებნელია ახლისა!
უნდა თვითონ შეიტკბოს, არა სჯერა ნახვისა!
იგია და თვისი მე სრულყოფილის სახისა!
    მას დაბლიდან სუსტები აგონებენ ზნეობას.
ჟინაშლილი ნავარდობს, უქმედ იდგენს მზეობას.
    აფრინდება ლაჟვარდში და იქ ხოტბას მიაგებს
თვით უკვდავი უკვდავებს, მნათობებს და ციაგებს.
მკაცრია და ჯანსაღი, ფრჩხალებითაც მანგანა;
ყივის: მძულხარ! მარტო ვარ! მინდა! მინდა! განგალა!
                                                  1916 წ.

ისე არ ვიმღერ....

ისე არ ვიმღერ, ვით უწინ მღერდნენ
წინამორბედნი ჩემის დიდების;
თვალებში რჩეულს შემომაჩერდნენ
ბრძენ მახარობელს დიდ იდეების.
მე ვარ ბოროტი და ვარ კეთილი!
ცხადი მიზანი გამოკვეთილი:

ვმღერი, ჩახლეჩით და ვმღერი ტკბილად,
მძიმე ღელვის დროს და ძილის პირად.
ქალწულის გულში სიყვარულს ვთესავ
და ხან სიძულვილს გრძნობებში ვლესავ.
რომ ავძრა შფოთი, სიწყნარე მსურდეს.
ნება უდროოდ არ დაძაბუნდეს.
არ შევიბრალებ, მახინჯს სულს ავცრი.
თუნდ გადაუხმეს უმალვე ძირიც;
შურის ძიების ღმერთი ვარ მკაცრი!
ლექსებში მგოსნებს ვასწავლი ჯირითს.
სისხლით ვწერ გლოვას! სისხლით ვწერ სიტკბოს.
და ბედიც მუდამ შარა გზას მითმობს!
ძველზე ვაშენებ სხვა კოშკის კედელს!
მისი დიდება თვალს მოსჭრის ჭვრეტელს!

1909 წ.

A L T E R E G O

როს მარტო ვრჩები, ვიღაცასთან ვსაუბრობ მუდამ...
მოვა და ჩემს წინ მაგიდაზე ჯდება თამამად;
ფიქრს გამინათებს, თუ დღიურის სევდით შევსუდრავ
და მდირიჟორობს, როს მირჩევენ სუფრის თამადათ.
არ მსურს ბოროტი და მეგობარს იგი მაძულებს;
ვინც კი მძულს, გულში სიყვარულის სახედ მაჩვენებს.
ჩემთან აცეკვებს გარდაცვლილებს, შავად ჩაცმულებს...
ჩემს თვალებს უმღერს და დასინის სხვა დანარჩენებს.
რა მიზეზია: მას გავურბი, ვარ მაინც მასთან,
როგორც თერთმეტი დარცხვენილი იოსებ ძმასთან?
სხვას ჩემი ზრახვა რომ არ მსურდეს გავუზიარო,
ის შემიჯდება, შუბლზე მიწერს იეროგლიფებს;

და მას არკვევენ... მინდა აზრი დავუზიანო,
მაგრამ ჩამძახის: სთქვი, გამოტყდი! თან კოცონს მინთებს!
ოხ, მეგობრებო! ვინაობა მან ჩემი იცის,
მხოლოდ ის დარჩა ჩემში ჩემთვის შეუპყრობელი.
მუდამ ცხოვრების მაგიდასთან პირქუში მიზის:
მალმერთებელი, დამცინავი და თვითმგმობელი!

1923 წ.

LISIS POETIK

მე ჩემი სახე დავასვენე ვრცელს კაბინეტში,
სადაც აჩრდილნი ირევიან შუბლშეკრულ მგოსნის;
მაინც ვარ ერთი და ვერ ვარჩევ ჩემ თავს თვით ღმერთში,
ჩემს ნაგრძნობს ლანდებს სასოებით რამდენი ჰკოცნის!
მიკვირს ასეთი უდიდესი მე მარტო რად ვარ?
თანამედროვის ოცნებაც კი ვერ მომწვდენია!
იქნებ დაეცა სხვების მოდგმა და დიდი ვჩანვარ?
ჩემი ეპოქა იქნებ ჩემგან აღსადგენია?
ლიკანთროპიულს სნეულებით არავინ გლოვობს
და მე ვხარხარებ მხიარული, როგორც აგუნა;
დაპატარავდნენ. გულმანებთან ვეფხი არ ომობს,
თვით პოეტების ხსნაც კი ბედმა მე ერთს მარგუნა!
დალილა ჩემო! თმებს ვერ შემკვეც, ვერც მატკენ წყლულ-
ლებს!
არც სვეტს შევანგრევ, რომ მით შემდეგ დამრჩეს სახელი;
დემარხიუსი უკან დამდევს და ჩამჩურჩულებს:
ᲛᲐᲗ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ-ᲠᲐ! ᲘᲡᲔᲕ ᲨᲔᲜ ᲮᲐᲠ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲮᲔᲚᲘ!

1923 წ.

ო რ ე უ ლ ი

და როგორც უწინ, დღესაც ისევ სევდა მაწუხებს...
რა დარდი დამაქვს ჩემს საქეჯნად? — ვერ გამიგია!
ჩემს წინ სდგას ვიღაც უჩინარი, მიჭერს მარწუხებს
და მეუბნება: უნდა აქო, რაც შენ გიქია!
ვინ არის იგი? ნეტავ მითხრა, ვინ მიპასუხებს?
დიდიხნის ცხედრებს მუდამ ვმარხავ, ისევ დგებიან.
მან შეაშფოთა სხვის საფლავიც ქვადანადები;
მკვდრებიც კი ისევ გააცოცხლა... გზაში მხვდებიან...
მათ გამოიცნეს ჩემი ფიქრი გულში ნადები!
ო, ის ლანდები, ნეტა მითხრა, რად არ ჰქრებიან?
    რომ მივდიოდე სასეირნოდ, უმიზნო ზრახვით,
უცბად აზრს იღებს ჩემი გრძნობა და ნაღვლიანობს;
წინ მეღობება და მაკრთოლებს ის თავის ნახვით.
ცა მოკიაფე იბურება და ავდრიანობს.
უკან ვბრუნდები გულჩამკვდარი, ფერმიხდილ სახით.
მივალ, სარკეში ჩავიხედავ, იქ მეცხადება!
მე ვიცინი და ის კი თითქოს მისაყვედურებს;
იქნებ დავხიე სალოცავი, მისი ხატება?
ან და გარდავეც მთლად ულირსებს და უკეთურებს?
ნეტა ვიცოდე, თუ სასჯელად რა გადამხდება?
    ჩემთან სუფრაზე ყანწებს სცლიან და აზარფეშებს...
მინდა ჩავება მეგობრებში მეც გიჟურს ნავარდს;
მე მათი სიტყვა, სადღეგრძელო ვერ მანუგეშებს;

ცარიელ სკამზე ჩემ წინ ჯდება, მაგონებს ვარამს...
და ვილაც ჯავრობს ველურის ხმით, ილესავს ეშვებს.
სახლში მარტოკა ჩავიკეტავ ძილის დროს კარებს,
მინდა მივეცე მოსვენებას ქანცმილეული;
მაგრამ ფანჯარას მირაკუნებს: ამოგთხრი თვალებს!
ის საყვარელი, ის მტანჯველი, თუ გინდ წყეული
მაფრთხობს, მიძახის: აღზდექ, აღზდექ! ნუ გაკანკალებს!
ჩემს სულთან ხშირად ის მოსულა, როს მძინებია,
და ატუზულა ჩემს პირდაპირ, თვალებ წინ ახლოს;
ბურანში წასულს შიშისაგან გამღვიძებია,
ვაინც მას ვხედავ: ხელებს იწვდის... ჰსურს მკერდს შე-
მახოს!..
ნეტა ვიცოდე, ასე სხვასაც ასდევნებია?
ჩემ წინ ცხოვრება სცენა არის, იხდება ფარდა,
გონებამ იცის, ვნახავ მრავალს სანახაობას,
მაგრამ, ვაი, რომ სხვას ვერ ვარჩევ იმ ლანდის გარდა!
ყველგან ის არის! ჩემსას ამხელს არარაობას!
თვალის ცხელ ისრებს გულში მასობს, დღე გამიმწარდა!
რა უნდა ჩემგან? რისთვის მტანჯავს ვით ბოროტ ცოდ-
ვილს?
ნუ თუ აჩრდილის რჩეული ვარ, რომ მუდამ მოდის?
სიზმრად თუ ცხადად, შინ და გარედ არ მაძლევს სავალს.
შეუბრალებლად დროს მიწამლავს, დროს გარდამავალს...
ის ორეული ნეტა სხვასაც ასდევნებია?

1917 წ.

G U L M A N N

მათ გადასჭამეს არაბეთის მიდამოები
და, როგორც მძორში ბუზის ხსნილი, ისე მრავლობენ;
დღეს მეც ფეხებში მედებიან მწირი გნომები,
როგორ დაამხონ გოლიათი, — მუდამ წვალობენ!
ჩემს უნებურად ისრისება მათგანი ზოგი.
პარაზიტებმა მოუმატეს გველის სისინიც!
კიდევ სდგებიან! მრავალია უგვანო ჯოგი!
ვინც არა სჩანდნენ, — მოესივნენ ჩემს სულს ისინიც.
ქვეშქვეშა მზერით, მოცრეხილნი, კუზიანები
გასაქურდველად ჩემს საუნჯეს ეტანებიან;
მათის შხამისგან მე ნაწრთობი ვერ ვზიანდები,
ჭრელს თვალს შევხედავ და ცახცახით იპარებიან.
ო, რომ ხანდახან სიბრალული არ შემიპყრობდეს,
ხომ ჩემი სუნთქვა გადასწვავდა იმათ ბუნაგებს?!

ვითომც პოეტებს, მწირ გულმანებს, ლეშის მსუნაგებს!

1920 წ

ჩემს შემდეგ

მე მეძახოდნენ მგოსნების თავადს,
ჩემი თვალები სწვავდნენ ზამბახებს;
როს სული ჩემი იწყებდა ნავარდს,

უცბად სტოვებდა სევდიანს ბაღებს.
ნათელი გრძნობა ესწრაფებოდა
გულის თქმას უცნობს და უზენარესს,
მაგრამ უჟმური ჩემ წინ დგებოდა,
ვით წინ დაუდგან კუბო მოზარეს.
და დავრჩი მარტო ჯვარედინ გზაზე,
იქ მოველოდი ჩემზე მძლეს უფრო;
ჯერ არ მოსულა... მოვა ჩემს ხმაზე,
მინდა შევესწრო და ლხინს ვესუფრო.
ჩემს შემდეგ მოვა ვრცელს მიდამოში
სიცალიერის ამოსავსებად;
ჩემებრ შეამკობს სიბრძნის სამოსი,
მძებნელს გარდაქმნის თავის მსგავსებად!
მაგრამ ის მაინც უკმაყოფილოდ
ჩაუვლის სოფელს მდუმარე განცდით;
თუნდ იავარდით გზა მოუფინოთ,
არ დაბრუნდება, ერთხელ თუ ასცდით!
ჩემს შემდეგ მოვა შავის ფიქრებით.
ტანჯის დემონი ედგება მხარში;
მის სულს ჩაჰხედავთ და გაფითრებით!
ჩემს შემდეგ მოვა სიძე-ბატონი:
თვის პატარძალსაც მოუფრენს რაში.
დიდ სასახლეში შევლენ მარტონი.
კედელზე ნახავს ჩემს ობოლ ჩონგურს,
სიმებ-დაწყვეტილს, მტვერმოკიდებულს;
ის ახალგაზრდა იცნობს იქ წარსულს
და ცრემლს დააფრქვევს გულზე მიდებულს.
სდგას მის პირდაპირ ჩემი ტაძარი.
იქ მივა... პორფირს შენ მოგაბარებს;
მას მუხლს მოუყრის, ვინც მე აღვძარი...

ლოცვას საქეჯნად შემოაპარებს.
მე იმ ლოცვაში მომელანდება
თავდავიწყება, ჩემი ბურანი;
ახ, მას კი რარიგ დაუღამდება,
არც ჰყავს მერანი და არც ქურანი.
ჩემს შემდეგ მოვა! იყავით ფხიზლად!
ძველი კერპები არ აღადგინოს!
მაწინ იქნებით თქვენ ყველა სიზმრად...
ქრისტეს მონებში იღმერთებს ნინო!

1920 წ.

თუ გსურს სიცოცხლე...

თუ გსურს სიცოცხლე, — იტანჯე კიდეც!
შემოუცურდი ცხოვრების ტალღებს;
შენ თვითონ ჰპოვე და — სხვასაც მიეც!
გრძნობას ნუ ასდევ, გონების წამღებს!
ჯვარედინ გზაზე ნუ გაჩერდები,
სხვა შენზე ადრე დაწინაურდა;
ბევრის ფიქრისგან გადაშენდები,
აჰყე, სიმღერა თუ ახმაურდა!
ბევრი გზა არის აღთქმულ ქვეყნისკენ,
უსწორ-მასწორო და ეკლიანი;
და ყოველ მათგანს შავ სიკვდილისკენ
მიჰყავს მებრძოლი ადამიანი!
ვიცით, — შვილებსაც ტანჯვას გადავცემთ,
აღარ ექნებათ სავსე მარანი;
ვიდრე საერთო მტარვალს არ დავცემთ...
ეხ. ვსთქვათ მანამდის ჰარიარალი!
დარდიან გულზე ნუ მღერით მოთქმით,

ძმებო, ჯერ ხიდი არ ჩაგვტეხია!
ბევრი წასულა, რომელ ერთს მოვთვლით?
ბევრსაც კისერი აქ მოგრეხია!
გადარჩენილა ერთი ათასში,
ის აღარ ფასობს, რაც კი გვშორდება;
ვცოცხლობთ ტანჯვაში! ვიბრძვით ტანჯვაში!
რაც იყო, კიდევ განმეორდება!

1908 წ.

ხ ა ლ ხ ს

ბევრჯელ ბძოლაში გული სისხლით გაგიბანია!
რისხვა და შიში, მწუხარება აგიტანია!
სიკვდილს პირისპირ შეხვედრიხარ, შეუპოვარი.
თამამად მდგარხარ, არ ნახულხარ ჭირში მგლოვარი!
ზოგჯერ, დაკოდილს, ცრემლი სულ არ გადმოგდენია,
ზარსა და გრიგალს შენს ყრმა მკერდზე გადურბენია.
ოჰ, ნეტა იმ დროს: მოუსვენრად იმყოფებოდი,
ნაწრთობ სიცოცხლით სხვის სიცოცხლეს ეკვეთებოდი!
ძოვსულვარ შენთან! ვეწაფები შენს დარდს, სიხარულს!
არ გიქადაგებ არც მშვიდობას და არც სიყვარულს!
ცეცხლსა და მახვილს ხელში გაძლევ, სისხლში დაფერილს
იყავ სასტიკი! გზას შეუდექ ეკლით დაფენილს!
თავის განწირვის გრძნობა ერთგულთ გაგვიზიარე,
გასრისე შენი მოძულე და — გადაიარე!
ისე არ მოვკვდე არ აღვმართო დროშა ძლევისა!
ისე არ მოვკვდე, არ დასძახო ჰიმნი ზღვევისა!
განა შეჰფერის, მთის არწივი შიშით კრთებოდეს?
განა შეჰფერის, ვეფხი თვისით იმარხებოდეს?
არა! არ მინდა, მყუდროება ზეწრად გეხუროს,

შენი ცოცხალი პირისახე სევდით გებუროს!
მიყვარხარ, ოდეს გხედავ თამამს, ჩვენს ტურფა ზენარს,
გრძნობით, სიცოცხლით დაუცხრომელს და მოუსვენარს!
შენ შემოგხარი, როს ხარ მტკიცე და სულით ურჩი!
მუდამ შენ გიმღერ, შენთვის ბრძოლას თუ გადავურჩი!

1908 წ.

ვინც მისთვის სტირის...

ვინც მისთვის სტირის, სატირელი თვითვე გამხდარა!
ჰეი, მამაცნო! ჰხედავთ, ჟამი ჩვენი დამდგარა!
რით ვერ გაიგეთ? მოგვაჩვენეს... — ის არ მომკვდარა!
აბა, შეხედეთ, ცხოვრების ეტლს ვინ მოაქროლებს?
ცოცხალის სახით, თვისი ნახვით ყველას ათრთოლებს!
მარად გვაფხიზლებს! რას გვიბრძანებს? სად შეგვაბრძოლებს?
წინ ვინ გადუდგეს?! თავი რომელს მოსძულებია?!
ლამაზ დედოფალს ქორწილის დღე გასთენებია!
გზა — მის მაყრიონს! გუგუნის ხმა ველს მოსდებია!
ხვალ ბრძოლის ველზე ვაგვირგვინებთ, ვერ გაგიგია?
დასძახეთ მედგრად: თავდადება ჩვენი რიგია!
და ვადღეგრძელებთ! სიხარული მარად იგია!
მაშ, ვიღა ჰგოდებს? სატირელი თვით რად გამხდარა?
ემანდ ჯაბანი დააჩუმეთ, — გლოვით წამხდარა!
რით ვერ გაიგეთ? მოგვაჩვენეს! — ის არ მომკვდარა!
ყრმანო, მამაცნო! ზეიმის დღე ჩვენი დამდგარა!

1909 წ.

ნახვამდის

როს მამულს ვუთხრა: „გტოვებ, მშვიდობით“!
გულმა საბრალოდ ცრემლი დაღვაროს;
სხვამ მის გარეშე, შორს გარდახვეწილს,
ვერ მცეს ნუგეში, ვერც გამახაროს!
მახსოვს, ყრმობისას დავნავარდობდი,
თავს მეფედ ვგრძნობდი გადაშლილ ველად;
ვიმეგობრდები მინდვრის ყვავილებს,
და მათ ვუმღერდი ხმასანატრელად.
დილის სხივს ნათელს და მაცოცხლებელს,
ჩემს ვერხვს რომ ადრე აძლევდა სალამს,
ნისლს გადაპენტილს მაღალ ქედისას,
ვინ აღმართავდა მთებზე თეთრს ალამს
და იმ ალაზანს, სად ჩემი სახე
დანაღვლებული იხატებოდა,
იმ ტაძარს წმინდას, სად კრძალვით მსხვერპლი
წინაპართაგან იწირებოდა,
იმ არეს ფურჩვნილს და ყვავილოვანს,
სად გულის სატრფო მეღიმებოდა, —
ვერ დავივიწყებ. ვიდრე ძგერს გული,
ვერც ვუთხრას ენამ: გტოვებ, მშვიდობით!
მხოლოდ: ნახვამდის, ტკბილო ქვეყანავ!
კვლავ გიგონებდე შორიდან ტრფობით!

1910 წ.

არავის ველი!

სდუმს ღამე ბნელი. არავის ველი!
მიყუჩებულა ტყე, მთა და ველი.
ვზივარ მარტოკა, ცა დამცქერს ვრცელი!
არავის ველი!.. არავის ველი!..
ვისთვის მიფეთქავს გული მგზნებარე?
ფიქრი რად სდგება საფლავს მდებარე?
თითქოს ჩემს დუმილს ბოლო ეღება,
წმინდა სამოთხის კარი მეღება.
ვინა სთქვას, იყოს იგი სიზმარი?
ჩუ!.. ვიღაც მოსჩანს ნაზად მღიმარი....
ნაცნობი სახე!... სხივთა მფრქვეველი...
მოფრინდა ჩემთან ელვა-მრხეველი...
— შენც სტირი, მზეო? თვალი გაქვს სველი?! —
გაჰქრა ოცნება... არავის ველი!
    სულ სხვა აღთქმანი ჩემს გრძნობას ჰფერავს,
სხვა გვარი ჰანგი ჰაერსა ჰსერავს.
მხოლოდ, არ ვიცი, ვინ მსჯის საზარი,
ვინ ჩამორეკა მწუხარე ზარი?
მუდამ მარტო ვარ... სევდა მკლავს მწველი.
არავის ველი... არავის ველი!
    ვით გაზაფხულის ნორჩი სოსანი
მზისკენ ისწრაფის მსუბუქ-ფრთოსანი,
მაგრამ ვერ ახწევს — ცრემლად იფრქვევა,

ჭკნება ობოლი, ტანჯვით ილევა, —
ისე ეს სული, ზრახვით ელვარე,
მოუსვენარი, მუდამ მღელვარე,
ილტვის სოფლიდან, მიეჩქარება,
ხან ზღვას, ხან გრიგალს დაედარება.
ჰსურს იდუმალსა ფარდა აჰხადოს,
ჰსურს წმინდა ლოცვით მზეს შეჰღაღადოს, —
ამ დროს დაღლილი უკუ ვარდება,
იმედი ტკბილი მსწრაფად ქარდება.
კვნესა მომესმის უკანასკნელი:
არავის ველი... არავის ველი!
განა თუ ცრემლს ვღვრი? იგი დამშრალა!
ვიცი, ჰნეტარებს სატრფო შავთვალა!
მხედავს განდევნილს, ის არ მწუხარებს:
მას ჩემი ტანჯვა ცივ გულს უხარებს.
დღეს ღრუბელია მოზარე-მთქმელი:
არავის ველი... არავის ველი!
ეჰ, ვის ვუყივლო? ვინ არის მხსნელი?
გაწყდა ნაქარგი, ფერადი ქსელი,
აღარც შიკრიკობს ნიავი ნელი.
ჩემს სულს ეხატვის. ვაჰ. ცოდო მცველი:
სადღაც სრიალებს სიკვდილის ცელი;
არავის ველი... არავის ველი!..

1911 წ.

ციურიხი.

გამოთხოვების უსტარი

უკვე დავმარხე სალოცავი ჩემი ღვთაება,
„აწ განუსვენე“ უგალობეთ, ერთად შემოკრბით!
სულ არა ვნაღვლობ. არც თუ ცრემლი გადმოიღვრება,

დაე სხვა მგოსანს მიესალმოს, მე კი... მშვიდობით!
ვისთვის აჟღერდი, ჩანგო ჩემო, ესრედ ტრფიალით?
რად ამჟღავნებდი დაფარულსა სულის სიმღერას?
რად დასწვი სიმნი მთრთოლვარენი ციურის ალით?
აბა, მიხედე, ვის უტკბობდი საამოდ სმენას!
ვაი ჩემს გრძნობას ადრე. დანთქმულს, ვაი ჩემს ღაღადს!
ვაი ჩემს ტაძარს ჩამონგრეულს, გაცამტვერებულს!
ტიალს მინდორზე ვუმზერ გათხრილს უდროოდ საფლავს,
და ჩემს მომავალს გლოვის ძაძით ჩამობნელებულს.
უკან გაგატანთ თუ ოდესმე რამ მომიზღვენით,
გეტყვით: გამშორდით და ზიზღს მომგვრის თქვენივ ჩი-
ვილი;
კვალად შემამკობთ და შემაქებთ ცბიერის ენით...
სასაცილოა, თავსა მედგას თქვენგნით გვირგვინი.
აშენდა ზღუდე! ჩემი ხსოვნაც განიავდება
და დავივიწყებ, რომ ოდესღაც თქვენ გეკუთვნოდით;
უკვე დავმარხე სალოცავი ძველი ღვთაება,
„აწ განუსვენე“ უგალობეთ, ერთად შემოკრბით!

1909 წ.

ისმინე ვისაც...

არა ერთი მზე ჩაესვენა ჩემის სულისთვის,
არა ერთს იმედს გავუთხარე შავი მიწა მე;
შემომქედ ხელით დავამსხვრიე ადამთა კერპი,
როს მან მრისხანედ შემომძახა: ღმერთად მიწამე!
ჭაობის გროვა რა შეშფოთდა, იწყო სისინი,
ერთმანეთს ბოღმით სამდურავი გაუზიარეს;
მსურდა გასრესა, მაგრამ იხსნა ღრმა სიძულვილმა:
ძველი ბილიკი გესლის ნთხევით გადაიარეს.

მათ უკან მიჰყვნენ მეგობარნი, ხოტბის მძებნელნი,
დღეს პირფერობის ჩანგს აეღერენ, იცრემლებიან;
დამპალს ფუტუროს მიჰმართავენ, თავს აფარებენ,
მხოლოდ ღა მისგან ღამით მკრთალ შუქს ელოდებიან.
ჩემი გრიგალი არყევს მათსა ხეს ცნობადისას;
ცოცხლად დამარხულთ ძეგლებს უნგრევს და ანიავებს;
ჰშიშობენ:—სულში ჩამომხედონ—ნათელ უბსკრულში,—
რადგან იქ მარად გარდამქნელი ცეცხლი პრიალებს.
ისმინე, ვისაც ყური სმენად თან დაჰყოლია:
მძულხარ, ვიდრემდის თვით სიძულვილს არ შეიყვარებ!
ვიდრე მონის სულს არ ჩაჰკლავ და არ მოინანებ,
ვიდრე თვით შენში სრულ სამოთხეს არ დაიმყარებ!
მანამდის კიდევ თქვენთვის მხოლოდ სიკვდილს ვქადაგებ-
დე, გაიმარგლოს ბალი, ესრედ აწ გულსაკლავი;
ახლო მომავლის სხივით შემკულ განთიადამდე,
განწმენდის ნიშანს ჰღაღადებდეს ცივი საფლავი!..

1908 წ.

რისთვის დამიხსენ

ცხარე ბრძოლაში დაკოდილი ვეგდე მარტოკა!..
თავს დამჩხაოდა ხმა — ავყია, შავი ყორანი;
გამვლელ-გამოვლელს ჩემი კვნესა სულს არ უკრთობდა,
არც ხელს მიწვდიდა გულზვიადი ადამიანი!
ვიღუპებოდი... და სიკვდილი ნანას მიმღერდა...
ვგრძნობდი ამ ჟამად ჩემს სისუსტეს, არარაობას;
თითქოს სიკვდილში განვიცდიდი სრულს ნეტარებას;
მაგრამ ვნაღვლობდი, რომ ვსტოვებდი მტანჯველ ცხოვ-
რებას!..
ამ დროს მხოლოდ შენ შემიბრალე, მსწრაფლ გაჩნდი ჩემ-
თან...

თვალთაგან ცრემლი დაეპკურა მკერდზე ჭრილობას;
სიცოცხლის ძალა კვლავ შთამბერე ნაზი ალერსით,
ფრთები შეასხი ღრმა ტანჯვისგან დაქანცულ გრძნობას!..
წამოვდექ ზეზე... კვლავ გავცოცხლდი... სული ამაღლდა!..
მაგრამ შენ ტურფავ, ვეღარ გნახე, დაჰშორდი სოფელს!
ჰაეროვანო! სიკვდილიდან რისთვის დამიხსენ,
თუ შენი ცრემლი მოსწამლავდა მთელს ჩემს სიცოცხლეს!?

1907 წ.

ნ ე ტ ა მ ც . . .

ნეტამც ვარდი არ ჭკნებოდეს,
ნარნარი და ფერად თეთრი!
ნეტამც გრძნობას არ იდნობდეს
სატრფოს სიტყვა, სიტყვა მკვეთრი!
არ შესწყვეტდა ჩემი ჩანგი
ტკბილად მღერას, ტკბილად ჟღერას,
აღაფრენდა სიმთა ჰანგი
უიმედო გულის ძგერას!

1905 წ.

ნ ა ვ ი

შემოჯარულა ღრუბელთა გუნდი,
ზღვას დასწოლია, ვით ხელებს — ხუნდი!
ხან გაჰკრავს ელვა, მიაპობს მეხი,
ტალღას ერთვება კლდე მონატეხი.
მიწა ინძრევა... ზეცა ირყევა!..
თითქოს სამყარო რისხვით იმსხვრევა.
ხან კი გრიგალი წამოუქროლებს,

წყალს ლახტს გადაჰკრავს და შეასრბოლებს.
გაბმით ზუზუნებს და ყრუდ გუგუნებს...
ეხ, სად, რომელ ნავს გადააბრუნებს?
ამ დროს მეც უნდა აუშვა ნავი,
აბობოქრებულ ზღვას მივცე თავი!
    აფრა ფრიალებს! ქარი გრიალებს.
ტალღა წინ მისწრობს და მაგვიანებს!
მესმის: ტირიან, იხოკვენ თავპირს:
— ვერ გადავალთო გადალმა ნაპირს!
— ნიჩაბს მოუსვით! გაშალეთ მკლავი! —
თამამად მიჰქრის ობოლი ნავი.
ბევრჯელ ღელვაში მოტანებულა,
ბევრჯელ ტალღიდან იგი ვნებულა,
გარდუტანია მას ბედი მწარე...
მაინც უნახავს აღთქმული მხარე!

1910 წ.

მუუდრუეების შავს ტალღებზე

—

მყუდროების შავს ტალღებზე
შავი ნავით მივცურავდი;
თალხი მერტყა შავად მხრებზე,
შავი ცრემლით მოვნამავდი!
ნიჩბის მოსმით ტალღა თრთოდა,
როგორც თრთოდა გულში დარდი,
ნელი ჩქეფა მე მამცნობდა
ერთხმოვანად: ოჰ, აჩქარდი!
მივილტოდი, ვით მქროლავი,
არნახულის ნახვა მსურდა!
ახ, არ ვიცი, ჩემი ნავი
ზღვაზე რით ვერ გადაცურდა?!

1908 წ.

ჩემს სამსხვერპლოსთან

ჩემს სამსხვერპლოსთან თავშიშველი მიველ ადრიან.
ცეცხლის სიტყვები, ჯერ უთქმელი, გულმკერდს ღადრიან.
ახალს რას ვიტყვი? ან ახალი რაში მდგომარებს?
ძველს სახეს ვუცვლი და ვატყუებ ბნელში მჯდომარეს.
თვალს რად ვუხვევდი ჩემს მლოცველებს, იმ უგუნურებს?
მგოსანი ცრუობს და სიცრუის კერპს ასადგურებს!
ყველაზე დიდი მაიმუნი ის ზეკაცია,
რომელს ადიდებს და აღმერთებს ერთხმად ნაცია!

1910 წ.

დ ა ლ ი

ღმერთების პანთეონი.

ულრან ტყის მეფეს ბობღიას,
სახე მოღუშულს, ავდრიანს,
გადმოუწყვია თათები,
ჭრელად ოქროსფერ ფაფრიანს;
გაბმით ხარხარებს, შესძახის
მუხნარ-ნაძვნარებს აფრიანს,
ქორწილს აპირებს ქალისას!
ფურ-კამეჩს დაჰკლავს ზაქიანს.
    სახელად ჰქვიან პატარძალს
დალი ლამაზი სახისას;
გულს სიყვარული უდაგავს

ძე-ხორციელსა ნახვისას.
მაჭანკალია აგუნა,
ლოთი თხის — წვერებ-ნაცარა.
ჰყავს დამჭაშები დამკვრელად:
ჩხიტა, ბუცო და ცანცარა.
სხვა თუ ბევრს დაალევინებს,
იცოდეთ, საქმე დაცარა!
  რაკი გაიგეს ამბავი
ქორწილიაო დალისა,
ე'მურებიან მოვიდნენ
ღვინო დალიონ ლალისა.
ტყეში რომ მგლებმა გამოხრეს,
ის რაშიც გაცოცხლებულა...
კუდიანები შემსხდარან,
ბერიკაც მათთან ხლებულა,
რქიანი დევი ბუტბუტებს.
იქ, სადღაც დიდი ხევია.
როკაპს ჯაგებზე ხტომისგან
კაბა მთლად შეჭოხევია.
საფლავებიდან მგელკაცი
ღამით მკვდრებს აღარ ალაგებს.
ბუ გაბერილი ფრჩხალებსა
აძრობს ვულ-მკერდში ჩანაგებს.
წყლით გამომსხდარან გველ-კუვნი,
ჯოჯოს თან ახლავს ამქარი:
ძაღლების ღმერთიც მობრძანდა
ფრთიანი ალაშკანტარი.
  მარტო ვობია ცის ღრუბლებს
თავის ნებაზე განაგებს.
გულში სწყინს — დალი თხოვდება,

სხვა როგორ უამხანაგებს?
ბოლოს იმედობს: მას დარჩეს,
საქმეს მოიგებს წანაგებს.
არ მივა იმათ ქორწილში,
დაჰშლის კი ლხინის ბანაკებს.
ბობღია ზის და იცინის,
ნეფიონს მოელოდება,
რა იცის, ნეფეს მოჰკლავენ
და გული აუგლოვდება?!
იმისი ქალი სხვასა ჰსურს,
სხვაზედვე გაუთხოვდება.
მაშ რისთვის დარბის როკაპი,
კაბა რად შემოხევია,
ლამაზ ქალისთვის ჯერ სისხლი
ხომ არვის დაუნთხევია?
დალი, ლეჩაქის სამოსით,
ნაწნავებ შემოხვეული,
გამოსულიყო ტყის პირად,
სად მუდამ იყო ჩვეული.
წყალს ჩასტიროდა, მოსთქვამდა,
ეძახდა თავის დობილებს;
მდინარის ასულს ლივლიას,
კიდევ სხვა ქალებს ცნობილებს.
შეიტყვეს მისი წუხილი.
მოცურდენ ლამაზ-ლამაზნი;
წყლის ლანდალები, ცელქები,
როგორც ქურციკნი, გავაზნი.
ჰკითხეს: „რა ეაგჭირებია?
გვიამბე გარდასავალი!
აქ ვერაფერი გიშველით,

იქ, ჩვენთან მოგცეთ სავანი!"
— დებო! არ იცით, მნიშნავენ!
ცოლი ვიქნები მეფისა!
ვიღაცა ქაჯთა უფროსზე.
თვალიმც კი გამოეფისა!
წადით, უთხარით ვობიას,
მოვიდეს, ჩემთან იაროს!
ან წამიყვანოს თავისთან,
ან მომკლას, დამაიაროს!
ინყუზას როგორ გავყვები,
სული ვერ მიეთვისება.
ის არის ჩემი რაინდი,
გრძნობა სიამით ივსება!
  წავიდნენ ნახეს ვობია.
წამოსადეგი ვაჟია.
ღრუბლის სარეკი ეჭირა,
სახე-ნათელი კაჟია,
უთხრეს: „შენ რომ ხარ ღრუბლებში
ღმერთობით განახარები,
ტყის დედოფალი დალაი
იქ ნახე განამწარები!
ნიშანი მოგვცა მოგნახოთ:
„მოვიდეს, ჩემთან იაროს,
ან წამიყვანოს თავისთან,
ან მომკლას, დამაიაროს!"
  ვობიას დიდად ეამა
ჯერედ ამბავი დალისა,
მერე სტუმრობა რძლებისა
და ზღვათა დედოფალისა!
დასხა და გაუმასპინძლდა,

სუფრა მიართვა მრავლისა.
უთხრა: ჩემს გულში განა თუ
ბოლმა არ იდგა ალისა?
უყურადღებოთ დავსტოვე
ჩემი ღრუბლების გუნდები.
სოფლის ტაროსი იცვალა,
ვხედავ და ამას ვრწმუნდები.
წვიმა ვერავის მივარგე,
მიჯნურის სევდა მერია;
მის ოცნებაში გართულსა
სხვები მზრახავდნენ: შტერია!
რაკი დასტური მივიღე,
მე ვიცი მოსაგვარები;
ჯერ ერთმა შევძლო, ინყუზას
დავლეწო მკვიდრი ფარები.
არა და — სხვასაც მოვიმხრობ,
შეიბნენ ჩვენი ჯარები.
  გამოეთხოვნენ სტუმრები
ქანდაკებრ გამოსახულნი.
თვით გამობრუნდა, მოიხმო
თვისი ერთგული მსახურნი.
ერთს უთხრა, ნისლას სახელად,
თეთრპერანგ შესამოსიანს:
— წადი. მომგვარე კურატი,
მწყემსს რომ დაუდის ქოსიას.
ჯანღოს კი უთხარ შავშუბლას,
ლაშებდაშვებულს მებორგეს:
— ფრთები შეისხი, ისწრაფე,
შეატყობინე მეგობრებს:
ანთარსა, — მინდვრის მეველეს.

საქონლის მფარველს, ჯოგისას.
ამრას და აბზას — მეომრებს,
თვით შენც იაზრებ ზოგისას.
ხახმატ, ლომისას, კოპალეს
მრავალ ომშიგან ნაცადებს.
სტიქიონთ მეფეს აფიას,
შენ იცი, კოშკში სადაც ძევს,
ღვინის ღვთაებას აგუნას
თავის დასტით და სწორებით.
უმისოდ ლხინი არ ვარგა,
გუდა სავსე აქვს ჭორებით:
ყველას უთხარი, მოვიდნენ,
განამზადა-თქო ზვარაკი.
ომის ღმერთს — გუდანს — მაველრონ,
ეს არ ეგონოთ არაკი.
ვერ დაეჭირათ ზვარაკი
მწყემსებს თავგამოდებულებს,
ზოგს ხელი ეღრძო, ზოგს ფეხი
იმის დევნაში ქებულებს;
ხარია ლაღად ნამყოფი,
ტყავშიაც ველარ ტეულა.
საცრის ოდენა თვალები
რისხვად და ცეცხლად ფრქვეულა.
წინა ფეხს მიწას დაარტყავს,
დამფრთხალი კისერს იღერებს.
თითქოს იგრძნოო სიკვდილი,
ღმუის და ყველას იგერებს.
მოაგდეს, სადაც სამსხვერპლო
მზად იყო შეშებ-წყობილი.
შორს ხეივანი ვაზისა

ფეოად მტევნებით მკობილი.
იქვე ხავსიან ლოდებზე
ისხდნენ სტუმრები, ხარობდნენ,
ზოგი ვობიას საქმისთვის
გულით ხმამაღლა ცხარობდნენ:
„რა გახდა ქაჯი ინყუზა!“
ამრა და აბზა კმარობდნენ.
  წამოდგა თვითონ ვობია
ზვარაკის შესაპყრობელად.
ფანდი აიღო სასროლი
სიცოცხლის ჩასაქრობელად.
ერთხელ ესროლა, გაუცდა,
შერცხვა და გაბრაზიანდა.
მეორედ გაჰკრა, წამოსდო,
რქები ხარს დაუზიანდა.
შებღავლა: „რა გსურს, პატრონო“,
გასწია, გაძალიანდა.
ვობია ჩასვა კოჭამდის,
ყველა მნახველი ჰკვირობდა.
„ფანდსა გაგვიწყვეტს, წაგვივა!“
ვიღაც ხმამაღლა ყვიროდა.
მსახურმა შუბი ატაკა,
სისხლი დაიქცა, იღვარა.
იქ მარტო მწყემსი სტიროდა,
სახე ცრემლებით იღარა.
შვიდს გაუჭირდა აწევა
და მისი ცეცხლზე დადება!
კოჭლმა უშველათ ბოლო დროს,
სხვას როგორ დაუვარდება!
კიდევ მოვიდნენ სტუმრები

დაღლილნი სიარულითა.
დასხდნენ და სუფრას შეექცნენ
ლხინით წრე-გადასულითა.
„მასპინძელ კარგად მასპინძლობს
გულითა მხიარულითა!“
    აიღო ყანწი ვობიამ,
ყველანი მოიხსენია;
ომის ღვთაება ადიდა,
სთქვა თუ: ჩემს გულში სენია!
გუდანსა მსხვერპლი შევწირე,
მისდა მაქვს საველრებელი.
სად ჯამიჭირდეს, მიშველოს,
მყოს შურის მაძიებელი.
ყველანი ერთად წამოდგნენ,
ერთხმად წარმოსთქვეს გალობით:
— გუდან! ვობია ამარჯვე,
მას გადმოხედე წყალობით!“
კვლავ დასხდნენ, ქეიფს შეექცნენ,
ღვინომ შიგდაშიგ ადუნა.
მოვიდა თავის ამალით,
სიმთვრალის ღმერთი აგუნა.
ყურძნის მტევნები ეკიდა,
ხონჩა მოჰქონდათ ხილითა.
უკან მოსდევდნენ ქალები.
შვენოდენ თმითა შლილითა.
მიონა. ვინკა და ირონ
ვნებითა ღელვიანები.
ცეკვავდნენ ჟინის აღმძვრელად,
მღეროდნენ: მოგეზმანები!
ჩხიტომ. ბუცომ და ცანცარამ

აგუნას კილო უმართეს,
როს შუაღამე შეიქმნა,
ჟინაშლილობას უმატეს!
  ცეცხლი თანდათან ჩანელდა,
მთვარემ ივახშმა გვიანა!
ქალთა სიცილმა ბუჩქებში
მიდამო დაახმიანა.
ვინ ვის კალთაში ხარობდა,
აბის გარჩევა არ იყო.
ღმერთი ქალწულის დეევნაში
ღრმა ხევში ეადამხტარიყო.
  ზეცა აინთო ალისფრად,
სხივით დაიჭრა ქედები;
ყვავილის ეტლი გამოჩნდა,
შიგ ებნენ თეთრი გედები,
ხელში ეჭირა ლამაზ ქალს
ოქროს სიმისა ღვედები.
ვობიამ იცნო ასული,
სთქვა: იგი ომერ ქალია.
გუდანის ტურფა მიჯნური,
მაღალ ღმერთების რძალია!
მფარველი სიყვარულისა,
თვით სიყვარულის ძალია.
სალამი მისცა მდაბალი,
თუმცა ნახევრად მთვრალია!
ომერმა უთხრა: ჭაბუკო!
ვარ მოგზავნილი მთხრობელი;
ომის ღვთაებამ გისმინა. შენი მტრისაა მგმობელი.
აჰა, ეს ხმალი გადმოგცა
სიცოცხლის ჩამაქრობელი!

უნდა შეება ინყუზას
ხვალე სიმამრთან მიმავალს.
სხვა დროს ვერ ავნებ, ცხენ'ში
თუ იგი თავსა მიმალავს.
  მეორე დილა გათენდა,
საომრად ემზადებიან;
ამრა და აბზა აჩქარდნენ,
ერთ ადგილს ველარ დგებიან:
კოპალეს კეტი უჭირავს,
განა თუ მცირე ჩალიკი?
აგუნა მთვრალი იძახის:
მოდით, მე ვიცი ბილიკი!
თან ტიკჭორასაც დაათრევს,
ბუცოს გადასცა ჩირი-კი.
აფიას მხარსა უმშვენებს
მინდვრის მეველე ანთარი;
ლომისამ რაზმი დააწყო,
ქაჯეთს შეებას მზათ არის!
ჩასაფრდნენ ულრან ადგილას,
ინყუზას ელოდებიან;
შორს მაყრიონის ხმა ისმის,
მახარობლებიც ჩნდებიან.
უკან მოსდევენ ქაჯები,
ტანად სხვადასხვა გვარები:
ვობია ნეფეს გადუდგა:
„საქმე მაქვს მოსაგვარები.
დალის შენ როგორ გაგატან,
თუ ცოცხლად დავიარები?
გინდა შემები მკლავდამკლავ,
გინდ მოვიხმაროთ ფარები“.

ინყუზა ბრაზით აივსო,
ლახტი ესროლა გრეხილი;
— გიჩვენებ ჩემსა ურჩობას,
გარბოდე კისერ-ტეხილი.
ზათქით ეკვეთნენ ერთმანეთს,
იძროდა ქვა და ხეხილი!
კოპალე მისდგა მაყრიონს,
ეშველებოდა ანთარი.
აგუნა იჭაჭებოდა:
ღვინოს არ სვამენ, დაჰკარი!
ინყუზამ ხმალი გადმოჰკრა
და მიაშველა მას ფარი,
ვობიამ შემოუქნია,
მიახტა როგორც აფთარი!
თავმოკვეთილი ინყუზა
შეხტა და ისევ დაეცა.
დაიხრიალა საბრალოდ,
რაღა პასუხი გაეცა.
თავი გრძელ შუბზე ააგეს,
გუდანს მადლობა უხადეს,
დალს და ვობიას ქორწილი
ზეიმით ეადაუხადეს.

1919 წ.

ᲒᲔᲓᲘᲡ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ

ჩაკვდა სივრცეში ᲒᲔᲓᲘᲡ ძახილი!
ნეტა ვინ ჩასცა გულში მახვილი?
აწ დაკოდილი, მარტო ეული
ტიალს მინდორზე გდია ძლეული!

არავის ესმის მისი კივილი,
კვდება. ყუჩდება მძიმე ტკივილი!
ჩაკვდა სივრცეში გედის ძახილი?
ნეტა ვინ ჩასცა გულში მახვილი?
ჩაკვდა შენს გულში ჩემი ძახილი,
ალერსის ნაცვლად ჩამეც მახვილი!
ახ, ვყოფილიყავ ნეტამც მე გედი!
ტიალ მინდორზე დამთქმოდა ბედი!
შევმჭვალულიყავ უსაზღვროებას,
არასდროს მაგ შენს ამაოებას!

1909 წ.

3. გაფრინდაშვილს

მოჩვენების კუნძულზე
გიყვარს შენ ოფელია;
და ლანდები უფსკრულზე
მუდამ-დღე მოგელიან.
ხმა სწყურიათ პოეტის,
ელერა შენი გაისმის;
მომღერალო სონეტის
და ალისფერ დაისის!
ორეულმა აგანთო,
დაგწვა იმავ დღესავე;
მინდა ეხლა გაგართო. —
ჩემს სულს ენათესავე!
მაჩაბელი გაწუხებს.
ფიქრი გარდასულებზე;
და მოგიჭერს მარწუხებს
ახლად აშლილ წყლულებზე.

ამაყი ხარ! თავაზი!
ბასრი ხმალი ორპირი!
შენ ხარ სულით ლამაზი.
აშორდიას პორფირით!

1923 წ.

ტიციან ტაბიძეს

შენ ხარ თამადა პოეტებში მარცხნით — გადალმა!
სადაც კი შენი სუნთქვა მოხვდა, ძველი გადახმა!
გძულს დაახველოს ავლაბრული ლექსი დაბახმა.
ღრმად დაიმჩნიოს ქალდეიას სულმა შელახვად.
გულში ესობი და არ გიყვარს არსად გადახრა.
ყარაჩოღული შენმა ჭრელმა თვალმა გადახრა.

მოარღვევს „ცხენი ანგელოზით", წითელ ავშარით.
წმინდა ტაძრიდან გამოსდევნე კინტო — აშარი!

გიყვარს ტფილისი, როგორც ერთ დროს უყვარდა ბესიკს,
როცა მეფის ქალს ის უმღერდა გაბაანთ კილოს;
შენც ხომ ხანდახან მოწყენით ხარ, — არავის ესმის!

მაშინ ვსვამთ დარდზე ორთაჭალის ბაღებში ღვინოს;
ორბელიანი მოქეიფე რჩება გადალმა;
ლხინში რომ მაინც ტოლი გვყავდეს, ნეტა, მანახვა!
თვით მალარია შენი სუნთქვით სისხლში გადახმა.
კახეთის სიძევ! არგონავტი ოქროს ვერძებით —
ეს თვითონ შენ ხარ! ამაოდ კი სხვაგან ვეძებდით!

1923 წ.

გიორგი ლეონიძეს

შენ გაჟღენთილხარ პოეზიით, ვით ლოთი ღვინით.
მგოსნურს სიმთვრალეს უდარდელი შეიქცევ ლხინით.
ფურცლისფერ სახით მიაბიჯებ დამწვარს კალოზე,
ეძებ ძველს რაინდს შენსავ მოდგმის სასაფლაოზე.
სცნობენ შენს ძახილს, ვით სცნობს ხოლმე მიმინო სავათს.
სალამს გაძლევენ ცხადს სიზმარში ძველთაგან თავადს!
დამსხვრეულ გვირგვინს მოგართმევენ დაჩონჩხილ ხელით.
ვიღაც აჩრდილი თუჯისფერი გამოდის ხვრელით: —
ოქროს თასს გაწვდის ცრემლით სავსეს, სცლი — გადასდიხარ.
დღეს ხარ სოლომონ! მსაჯულებას ვეღარ ასდიხარ!
ხან უერთდები გულგახსნილი წარმართ დიონისს,
ჩან სისხლი გიმღერს თეიმურაზ ბაგრატიონის!

1919 წ.

დღეს ჩვენ

დღეს ჩვენ ბევრნი ვართ, ჩამოვშორდით ძველსა დროებას,
ვდღესასწაულობთ სულით შობას და განახლებას;
რაღა ხელი აქვს ჩვენთან ნაღველს ან მყუდროებას!
ის უკვე მოდის! ვინ შეხვდება, ვინ ეტყვის ქებას?
ვერა ვსცემ პატივს. ვისი ყოფნაც დაკნინებულა!
იქვე ქედს იხრის, სადაც ერთხელ შეგინებულა!
როს ანგრევს. ჰგონებს მისგან ხალხი აშენებულა!
აზროვნებითაც მონურია ძველი სოფელი!
განწმინდის ცეცხლი! ცეცხლის ალი დაუნდობელი!
დაე, შიგ მოჰყვეს უსასო და ჩვენი მგმობელი!

გალადა

არსენ ჯორჯიაშვილზე

ბაღის პირდაპირ გასკდა ყუმბარა...
ხალხს მოაშორა რისხვა, მუქარა!
ეტლი ავარდა მაღლა ჰაერში.
თან აიყოლა ზეცის ჰაერში.
ხალხს მოაშორა რისხვა, მუქარა!
ბაღის პირდაპირ გასკდა ყუმბარა!
არავის ესმის იმ დროს მუდარა!
სახეზე გამვლელს აძევს სუდარა.
ბაღის პირდაპირ გასქდი ყუმბარა!

ორნი შეიპყრეს რკინის კარებში.
მაშინღა შესწყდა რბევა, თარეში!

ერთი კი იცნეს — არსენა არის!
ჯორჯიაშვილი, მამაცი გვარის!
მეორე — უცხო, მზისაგან შავი,
ჩოხის ამარა, მოსული ფშავით!

გადაუწყვიტეს არსენას დასჯა....
ხოლო მეორე უვნებლად დარჩა!
მას სახლში აღარ მიუხარია!
არსენას ბედი მისთვის მწარეა!

დღეს გაუშვებენ ფშაველ მათიას...
და სოფელს ამცნობს მომხდარს აქიას!

არსენა ეტყვის ჩათხრობით, მწარედ:
— მე საიდუმლო საქმე მაქვს გარეთ!
დაგიძახებენ და შენს მაგიერ,
მათია ჩემო, მე გამატარე!
გწამდეს ეს ფიცი მეტად ყველაზე:
რა დროსაც გაჰყავთ სახრჩობელაზე, —
აქვე გავჩნდები, რომ არ გამსაჯონ,
არც ჩემ მაგიერ შენ აქ დაგსაჯონ!

ალარ დასჭირდა დარაჯს ლოდინი...
ფშავის სახელი კიდეც ახსენა;
ჩოხაში კოხტად გამოწყობილი
მას უკან გაჰყვა წყნარად არსენა!

რა საქმე ჰოქნდა გარეთ არსენას?
მან მიაშურა გალმა არსენალს.
იქ ნახა მიტრო, უთხრა სათქმელი...
მოხუცს ჩაუქრა ხელში სანთელი!
ძველს მუშას ცრემლი არ უნახია,
არსენამ გული მისი დახია.
ანიშნა, სადაც იარაღია:
— თედოს სარდაფში, მარჯვნით მარხია!

და გამობრუნდა. მოეჩქარება.
არსენამ იცის სწრაფი ტარება.
ქალაქის ნაპირს, ღარიბ უბანში,

ყველა ძილშია, ყველა ბურანში;
შეაღო კარი. შეჰკივლა დედამ.
ლამის მოიდნოს მოხუცი ელდამ.
გულში ჩაიკრა შვილი არსენა.
სიხარულისგან ცოლი ქვითინებს.
თვის პაწიაზე ქალი უთითებს,
ბავშიც ეკვრება, ნორჩი არსება.
— „უკანასკნელად! უკანასკნელად!“
ამ დროს არსენაც ცრემლს ვერ ასცდება!

გული უღელავს ფშაველ მათიას.
სწუხს და წუხილით ღამე ათია.
როგორ მიენდო უცნობ ქალაქელს?
თან ეჭვობს, მაგრამ ეჭვს კი არ ამხელს.
მხოლოდ წარბები შეუჭმუხია.
ოჯახზე გული შეუწუხია.
— რომ იყოს ვაჟი გაზრდილი მთაში,
ან აქ მენახოს ქალაქად, ბარში, —
თავი გასწიროს განაფიცისთვის...
მშრომელ ხალხისთვის, მშობელ მიწისთვის, —
მესმის, მიენდო დ ღირსიც იყოს!..
ბარელმა კაცმა მე გამაბრიყვოს?..
დედასა მტრისას!..
თან გულში ჯავრობს!
საკანის ახლოს ღეხი ხმაურობს.
იქ ნამთვრალევი რუსი აბველებს,
და მით ტუსაღებს თითქოს ახელებს.
— მაგრამ ის ფიცი? ძმად შემრგებია!...
ჩუ! რა ჩხარუნებს? — ბორკილებია!..
ნუთუ ვაჟაცი შეიპყრო შიშმა?

მაშ რალად არის იგი ფშაველი?
დააბრიალა მთვრალივით გიჟმა,
მიდის ამაყად, როგორც შამილი...
ჰკვირობს ჯალათი!... ჰკვირობს მნახველი...
თუმც ის არ არის ჯორჯიაშვილი,
მაინც შერჩება გმირის სახელი!
როგორც ლომს, გული არ გასტეხია.
წარბებშეკრული, ის უკმეხია!

სახრჩობელაზე აჰყავთ მათია.
არ სჯერა, ნუთუ ეს მართალია?
ერთხელ გაფითრდა... რა დამართია?
ვერ გარკვეულა... რას მაცდურობენ?
ვაჟკაცთან ასე რისთვის ხუმრობენ?

—

ცაზე რიჟრაჟის სხივი ანთია.
და ხმა მოესმის: „აქ ვარ, მათია!
ფიცი არადროს გამიტეხია!
ძმაო, გაფასებ მეტად ყველაზე!“
არსენა ფშაველს გადაეხვია,
თვითონ ავიდა სახრჩობელაზე!

1927 წ.

ცოლი რუსთაველის

გაცილების ნადიმი.

(თავი მოუყრიათ შოთას მეგობარარიფებს და ნათესავ-მახლობლებს. ზოგნი სუფრას შემოსხდომიან. ზოგნი აშლილან, ზოგსაც მუსიკაზე ფერხული ჩაუბამს *).

სიმღერა. შოთა მიდის, შოთა გვტოვებს,
გადაივლის უცხო მდელოს;
უვნებელი დაგვიბრუნდეს —
მისთვის შევსვამთ სადღეგრძელოს!
მეგობრების სიყვარულმა
იქაც გული გაუმთელოს;
ძმებო, ასწით აზარფეშა!..
შოთა ჩვენი ადღეგრძელოს;
სიბრძნის შუქით შემოსილი
დაუბრუნდეს საქართველოს;
ძმებო, ასწით აზარფეშა!..
შოთა ჩვენი ადღეგრძელოს;

(სამეფო კარის წარმომადგენლები შოთას „დასტურს" უკითხავენ და პარკით ოქროს გადასცემენ).

უხუცესი. თამარი დასტურს გიბოძებს,
განლიო უცხო მხარენი;

---

*) ამ ტექსტზე პროფესორმა დ. არაყიშვილმა ხელახლად დაა ძღაშავა თავისი ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე".

სალაროც ოქროს მოგიძღვნის,
შემდეგაც დაგეხმარებით.
სამეფო კარის დარბაზმა
საქმე საქვეყნო არჩია;
ახალგაზრდებში პირველი
შენ ერთი ამოგარჩია!

ხოროზ. შოთას სიცოცხლე! მრავალჟამიერ!

უხუცესი. შენზე ამყარებს დიდს იმედს
მცირე, მოყმე და მცხოვანი;
გზა წაგემართოს, დაბრუნდი;
ქვეყნისთვის სახელოვანი!

დედა. (აცრემლებული ავგაროზს გადასცემს, ჰკოცნის).
შვილო, ატარე დედის სახსოვრად...
ეს დაგიფარავს ზღვათა ღელვისგან!
გზის ხიფათისგან, ცეცხლის ალისგან!
ბოროტი კაცის ავი თვალისგან!
მოშურნე მტრისგან.... დამილოცნიხარ!

მამა. შვილო შოთა! მშობლებს სტოვებ,
ემგზავრები უცხო მხარეს;
ეს ქვეყანა მოგენატროს.
შეევედრე მზეს და მთვარეს!
ისევ იმათ გაგინათონ,
შუქი გფინონ გულმწუხარეს;
თან გაგატან მშობლის ლოცვას,
გრძნობით გამთბარს და მხურვალეს!
მოერიდე ცრუ მეგობარს,
სიბრძნე იყოს შენი ფარი;
ნუ იქნები გულზვიადი,
თავდაბლობის აღე კარი!
ჩასწვდი სულის ვითარებას:

ეს ცხოვრება რაგვარ არი?
და თუ ხალხსაც ასახელებ,
გავცოცხლდები ერთხელ მკვდარი!

ხოარო. მრავალჟამიერ! შოთას სიცოცხლე!

შოთა. დღეს, მეგობრებო, ვილხინოთ,
გულით და სულით ვიამოთ;
ხვალ ველარ მნახავთ თქვენს ახლოს,
საზღვარი გადავიარო!

(საერთო სიმხიარულე და აღტაცება. კვკლუცი ქალები სხვადასხვა სახსოვარს სთავაზობენ და უმღერიან).

ქალები. შენზე ამყარებს დიდს იმედს:
მცირე, მოყმე და .ცხოვანი;
გზა წაგემართოს, დაბრუნდი
ქვეყნისთვის სახელოვანი:

(ერთი მშვენიერი ქალი — ნინო, გულდაწყვეტილი უმზერს და ბოლოს ისიც მიუახლოვდება, მოიხსნის ძვირფას რიდეს და შოთას ყელზე შემოახვევს).

ნინო. თან ატარებდე სახსოვრად,
მიჯნურის მოსაგონებლად;
ამოიღებდე, ნახავდე,
გულისა გასაყოლებლად.
სიხარულს, სევდას, ჩემს გრძნობას
თან ვატან, არა მრჩება-რა;
ნიშანი არის სინაზის,
მკოცნიდა, სახეს მეფარა!
ფიცით მოგითხრობ, ძვირფასო,
შევირთო თუ კი სხვა ქმარი;
სიცოცხლეს მოვწყდე უდროოდ,

გამეჭრას მიწა სამარი;
თვალს დამიბნელდეს სინათლე,
ბედიც აღთქმული დამევსოს;
ბაგე ვარდისა დამიჭკნეს,
ფიალა შხამით ამევსოს!
    როდესაც ბაღში გავიდე,
შენ იქ არ ჩამოიარო;
ამბავი ვკითხო ჩემს ლერწამს,
სევდაც მას გავუზიარო!
ზოთა. უცხო მხარეში ვარსკვლავებს
შევხედავ — მომაგონდები;
ბინდისას მთვარე ამოვა;
შენს სახეს დაველოდები;
ლრუბელს დავაწერ მოკითხვას,
ჩემო, ნუ დამიღონდები!
ვერ დაგვაშორებს მანძილი,
შენს ამბავს მამცნობს ნიავი;
დაგიბრუნდები შენს მიჯნურს
გულით უცვლელი, მზიანი!
ნინო. შენი სიცოცხლე მეყოფის
ჩემად იმედად გულისად;
მომიგონებდე, გახსოვდე
სხვა ქვეყნად გარდასული სად?
შენმან მზემან, თავი ჩემი არვის ჰმართებს უშენოსა.
ზოთა და ნინო. უშენოდ ჩემი სიცოცხლე
ვაი, რა დიდათ ძნელია!
(ზოთა თითზე ბეჭედს უკეთებს).
ზოთა. შენ ხარ მიჯნური, ხარ დანიშნული
მე შენი სახე გულს მისვენია;
ვფიცავ ზენაარს, არ დაგივიწყო.

ოცნების საზრდო ერთი იქნები!

ნინო. შენ არ გატეხა კარგი გეჭირს
ზენაარისა ფიცისა;
ჩემი სთქვი, რა ვქნა ბედქმნილმა,
მზე მიმეფაროს მე ცისა!
და მიკვირს ჩემი სიცოცხლე,
ესრე დარჩენა მრთელისა!

შოთა. მშვიდობით ნინო! იყავ მშვიდობით!

ნინო. მშვიდობით შოთა!

ხორო. მშვიდობით ჩვენო შოთა,
მისდიხარ უცხო მხარეს;
გისურვებთ გამარჯვებას,
კეთილად დაბრუნებას!
დელია რანინა!
არ დავიწყება მოყვრისა
ოროდეს გვიზამს ზიანსა!...

(აცილებენ. მღერიან. დედა კვლავ ლოცავს. ნინო ტირილს იმაგრებს, მაგრამ, როდესაც შოთა მოფარდება, სახეს ჩამალავს და ქვითინებს. დობილები ანუგეშებენ).

ათინიდან დაბრუნების შემდეგ.

და ამის შემდეგ განვლო რამდენიმე წელმა. შოთა უკვე დავაჟკაცებულია. „ვეფხის ტყაოსანზე“ მუშაობს. შუშაბანდიდან მოსჩანს ბაღი.

შოთა. გული ბრძოლას მოუქანცავს,
ბედი სასჯელს აგვარიდებს;
სიცოცხლესაც მოგვიშხამავს,

გვამხობს კიდეც და გვამდიდრებს.
ერთხელ გრძნობით აგვამღერებს,
მოგვიწოდებს დრო ნეტარი;
დაეშურე ამ საწუთროს,
შესვი სიტკბო და ნექტარი!
— რაცა ვის რა ბედმან მისცეს.
დასჯერდეს და მას უბნობდეს;
კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა
უყვარდეს და გამოსცნობდეს;
ყოველს მისთვის ხელოვნობდეს,
მას აქებდეს, მას ამკობდეს;
მისგან კიდე ნურა უნდა,
მისთვის ენა მუსიკობდეს;
მსწრაფლ გაირბენენ ნეტარნი დრონი
და მყუდროებას შესძრავს ქუხილი;
მგოსნის ნაზ სულსაც ბრძოლა მოჰქანცავს,
დევნა მოიდნობს, სევდა-წუხილი;
ბედი თვის ბრჭყალებს არ დაგვარიდებს,
იგი თუ გვამხობს, იგივ გვადიდებს!
ტკბილად მოვმართე ებანი,
შევუწყე ჩემი ვნებანი!
ჩემმა სიმღერამ ბედითმა
ვერ მომცა სულის შვებანი!
ვინ იცის, რა სთქვან შემდგომად.
ვინ დაიმონა ნებანი!?
— აწ ჩემი სცანით ყოველმან
მას ვაქებ, ვინცა მიქია;
იგია ჩემი სიცოცხლე,
უწყალო, ვითა ჯიქია!
ცხოვრება დაუნდობელი

წამია კაცთა თვალისა;
სამარადისო შენ მომეც,
ამგზნებო, ციურ ალისა;
მიყვარხარ და ვერ გაიგებ,
წმინდაა გრძნობა, ცხოველი;
შვენება მხოლოდ შენშია,
ძმაკაცდავთ მიუწვდომელი;

(„ვეფხის ტყაოსნით" გატაცებულია. ჰხედავს თავის გმირებს, თითქოს უახლოვდებიან და აგვირგვინებენ).

ლანდები: დიდება მაღალს ზეშთამგონებელს!
დიდება სულის განმანათლებელს!
დიდება უკვდავს და მარადიულს!
შოთას დიდება!
ნებით ძლიერით,
ხმით მშვენიერით
იმედს აუგზნებს გულით დაცემულს!
შოთას დიდება!

შოთა. ჩემი გმირები, ჩემი ოცნება
ნესტან! ტარიელ! ესოდენ ცხადათ!

(„ვეფხის ტყაოსნის" გმირების წინ გამოჩნდება ვინმე ასული დათალხული. იჩოქებს. ხელიდან ნიშნობის ბეჭედს იძრობს და შოთას გადმოუგდებს. ჩვენება ჰქრება).

შოთა. ვიცან აჩრდილი, იცრემლებოდა;
მისთვის მე გული აღმენთებოდა.
ის გრნძობას მიმხელს და არ მივიწყებს,
თითქოს იდუმალს შურსაც იძიებს!

(შემოდის რუსუდან — ცოლი რუსთაველის, ტანადი და წარმტაცი მშვენიერების. ხმა, მოძრაობა, ღიმილი, თვალთა ელვარება — ვნების ამშლელი).

რუსუდან. შენ ეტრფი მხოლოდ „ვეფხის ტყაოსანს“,
მე კი რა ტანჯვით გელოდებოდი;
აბა, მიმზირე, შენი მეუღლე
გარე მოაფენს სიტურფის სხივებს!
შენი მოპყრობა ასე უგულო
გრძნობას ჩამიქრობს და გამიციებს;

ზოთა. რუსუდან ჩემო!

რუსუდან. მე შემოგვედრებ მხურვალე ალერსს!

ზოთა. მეუღლე ჩემო!

რუსუდან. მეუღლე? ხა, ხა!

ზოთა. შენი სიცილი?

რუსუდან. მწყურიან სიტკბო ჯერ არ ნახული!
ჰხედავ, ცეცხლს ვაფრქვევ...
და თვალნი ვნებით აღმენთებიან;
შენის წყურვილით იბნიდებიან...
შენ კი?..
ახ ზოთა! —
მე მოგითხრობ უცხო ზღაპარს,
დაგაძინებ ტკბილის ნანით;
დაგავიწყებ, თუ გაქვს სევდა,
და სულს გავბან ციურ ნამით!
სიხარულის სხივს დაგაფრქვევ,
დაგატკბობს და მიგაყუჩებს;
სიამეში გაეხვევი,
დაგიკოცნი გრძნობით ტუჩებს!

ზოთა. ზღაპარი ხარ იდუმალი,
ვნებით სავსე დედოფალი;
დამპირდები — მომატყუებ,
ისევ მოხვალ ეშხით მთვრალი!
სიკეკლუცე მომწონს შენი

და მაგიტომ შეგიყვარე;
მიწიერი შენში ღელავს,
ზეციური უკუ ჰყარე!

რუსუდან. დღეს უცნაურს მიმღერ ჰანგებს,
კიდეც მალხენს და მალონებს;
ჩათხრობილი შენი სიტყვა
თითქოს ცოდვებს მომაგონებს...
და არ კი ვიცი....
ჩემი ალერსი მკვდარს გააღვიძებს...

ზოთა. (რუსუდანს თითქოს იცილებდეს).

ნუ გამიწყრები...

რუსუდან. რაზედ?

ზოთა მივდიეარ!
მიწვეული ვარ მეფის ნადიმზე....

რუსუდან. შენ თამარს ეტრფი, მიტომ ისწრაფი...
მე მარტო მტოვებ?
ახ! გულო ჩემო!

ზოთა. მე ვეტრფი მაღალს მშვენიერებას,
რაც არ მოგიძღვნის სამაგიეროს;
საკუთარს გულში ცეცხლად ენთება,
რომ ჩაუმქრალმა გაბედნიეროს!
მე ვეტრფი მაღალს, რომელს ვერ ჰხედავს
გრძნობა და ჟინი ყოველდღიური;
ვეტრფი. რაც ცოცხლობს სამარადისოდ,
იგია სუნთქვა ჩემი მზიური!

(რუსუდან ღელვას იკავებს).

რუსუდან. აქ უნდა დარჩე! მე მსურს...

ზოთა. რა ეჰვი გიპყრობს?

რუსუდან. „იგია სუნთქვა შენი მზიური“...

და ეგე წიგნიც შენ იმას უძღვენ!...
დავხევ!
(„ვეფხის ტყაოსანს“ მივარდება და ისვრის).
შენს ჩანგს აჟღერებ მის სადიდებლად...
შენი ცოლი კი?...
ეალერსები თინათინს, ნესტანს...
ჩემთვის კი ლესავ შხამიან ნესტარს!

(შემოდის მსახური აბდულ არაბი).

აბდულ არაბი. კიდევ მთხრობელი!

(შემოდის მთხრობელი).

მთხრობელი. შემოკრბა ყველა დარბაისელი
და თამარ მეფე შენ ერთს მოგელის!
რუსუდან. (თავისთვის).
რატომაც არა!
ო, გულო ჩემო, დამცირებულო!...
ზოთა. მოხსენდეს — მოვალ!
რუსუდან ჩემო! შენ ვერ გაიგებ...
ტყუილად ჰგონებ.
მიწვეული ვარ, რომ მომისმინონ...
„ვეფხის ტყაოსანს“ დაუგდონ ყური...

(ზოთა „ვეფხის ტყაოსანს“ აიღებს და გადის. მთხრობელი უკან მისდევს. აბდულ არაბი სდგას გარინდებული).

რუსუდან. რატომ შენს ბატონს უკან არ გაჰყე?
ნუ თუ თამარი შენ კი არ გიწვევს?
ხა! ხა! ხა!

(აბდულ არაბი წასვლას აპირებს).

შესდექ!
მომიახლოვდი!
დაემხე ჩემ წინ!
იმ დღეს რა გითქვამს?
აბდულ. ბე, ქალბატონო?
რუსუდან. შენ! მონავ! ვითომც მახინჯი ვიყო....
ჩემი სიტურფე არვის ხიბლავდეს....
ქალური ვნება დამშრალი მქონდეს....
აბდულ. ვფიცავს, არ მითქვამს...
რუსუდან. მაშ, აბა, რა სთქვი!
აბდულ. მე? არაფერი! ვფიცავ ზენაარს...
რუსუდან. ცუდი არ გითქვამს? მაშ კარგი რა სთქვი?
აბდულ. სულ არაფერი!
ვფიცავ, ზენაარს! ცილს მწამებს ვილაც...
რუსუდან. არც კარგი გითქვამს, არც ცუდი, მონავ?
მაშ არც იტყოდი, შემთხვევა გქონდეს?
აბდულ. ბევრს! ბევრს, ბატონო!
ვიტყოდი, ჩემი ქალბატონი ნათელი მზეა...
ვიტყოდი, ცოლი.... მე რომ...
აბა, რა ვიცი, რას ვიტყოდი?... სად შემიძლიან?
მე... მე? მიბრძანე... მოგემსახურო!
რუსუდან. მომიახლოვდი!
შენს შუბლს თუჯის ფერს თვალყურს ვადევნებ!
შენს თვალებს მუდამ ვაკვირდებოდი,
უცბად მნახავდი; უცბად კრთებოდი!
ვგრძნობდი, შენს ბატონს ვერ მიბედავდი,
მაგრამ ტრფობისთვის მუდამ ღელავდი!...
მართალი არის?
აბდულ. (**რყევაშია**).
გთხოვ მაპატიო! და ნუ შემრისხავ!

ჩემს უნებურად თუ გამომჟღავნდა.
გულში დაფარულს ტანჯვა-სიხარულს
ისევ ფარულად ვმარხავ სიყვარულს!
მონა ვარ თქვენი მე უსახური,
მუდამ ერთგული შავი მსახური!

რუსუდან: მაშ მე გიყვარვარ?

აბდულ. გთხოვ მაპატიო! თქვენთვის არ მითქვამს,
და ნურც ჩამითვლით დანაშაულად!

რუსუდან. მეც რომ მიყვარდე?

აბდულ. ახ! ქალბატონო!

რუსუდან. იყავ დღეს მონა ჩემი სურვილის,
მონა ერთგული უშრეტ წყურვილის!
შენ მძლე ხარ მკლავით!
შეგიტკბობ მალვით!
მინახულებდე მარტო მყოფს ღამით!
გადასწი ფარდას!...

(აბდულ სარეცელის ფარდას გადასწევს. რუსუდან კიბეზე შეჩერდება. აბდულს უმზერს. ანიშნებს. თავდავიწყება).

დაე სტკბებოდეს იქ ჩემი ქმარი!
აქ ვიყო შენთან მე ეშხით მთვრალი!

(შემოდის ნინო).

ნინო. მეგონა თუ ჩემი იყავ,
შენ გიცადე, მოგელოდე;
ძოხველ, მაგრამ ჩემთვის უცხო,
მოთქმით უნდა თავს ვიგლოვდე!
ეს ბეჭედი მსურს გადმოგცე, მე აღარ ვარ დანიშნული;
სანუგეშოდ ცრემლი დამრჩეს, სევდით გული გაისრული!

(თვალს შეასწრობს რუსუდანს და არაბს).

ამას რას ვხედავ?
შოთას ღალატობს?
აი, სასჯელი! შურის ძიება!
ბედმა მიუზღო სამაგიერო!
ვინ ეტყვის შოთას? თვალს ვინ აუხელს?
საზიზღარ ამბავს მას ვინ გაუმხელს?
მე უნდა შევძლო... ჩამოვხევ ნიღაბს! (გადის).

რუსუდან-აბდულ. ო, ტრფიალების მყუდრო სავანევ!
ო, სიყვარულის ტკბილო ნექტარო!
ერთად სიკვდილი, ერთად სიცოცხლე!
ერთად ვატაროთ დრო სანეტარო!

შოთას დიდება.

(დიდუბე. ხალხის მოძრაობა. ბერთაობა, ჯირითი. გაიელის ჯარი სიმღერით: „თამარ მეფე და ხონთქარი"... საზეიმო სუფრას შლიან. შუაში ტახტი).

ქარის-ქაცი. დღეს დიდებით ვაგვირგვინებთ
სიამაყეს და ჩვენს მგოსანს;
გადაუხდით დღესასწაულს,
ვინ სიამით მარად გვმოსავს!

ხოტრო. აქ ყოველ მხრიდან მოსულან
შვილნი ერისა რჩეულნი;
განთქმულნი გმირნი ბრძოლაში,
ხმალში ვერვისგან ძლეულნი;
აქვე არიან სარდალნი.
მუდამ ზარხდომას ჩვეულნი.

ᲙᲐᲠᲘᲡ-ᲙᲐᲪᲘ. უამბე იმ დღეს რაც მოხდა,
სანამ აქ მობრაძნდებიან;
ᲛᲔᲤᲐᲜᲓᲣᲠᲘ. იმ დღეს შოთამ წაგვიკითხა
თვისი „ვეფხის ტყაოსანი“!
არც გვინახავს, არც გვსმენია,
არც გვყოლია სხვა მგოსანი!
ვის ვეძახდით სახელოვანს,
დღეს შოთასთან აღარ მოსჩანს;
ყველას ჩრდილი მოაფინა,
მას ბუნება მაღლით ჰმოსავს.
ჩვენს ხალხს გულში ჩასწვდომია,
ენა-ტკბილად მოუბარობს;
ხელთუქმნელი დიდი განძით
ვამაყობთ და სულიც ჰხარობს!
ბრძანა თამარ დედოფალმა:
„ზეიმს გიხდით სასახელოს!“
მიტომ არის, მოუყარა
თავი სრულად საქართველოს!
ᲒᲣᲜᲓᲘ. დიდება შოთას, დიდება!

(საყვირის ხმა. თამარ ტრახტევანით. მოსდევენ: დავით სოსლანი, უცხო ელჩები, შოთა და სხვ. ცერემონია).

ᲮᲝᲠᲝ. სხივით მაღალო მნათობო,
შენ, ოქროს მზეო, ზენაო;
სიტყვა მქევრო და ძლიერო,
დამწველო, ლამაზ ენაო!
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲝᲠᲝ. მზე მოგვეახლა, უკუნი
ჩვენთვის აღარა ბნელია;
ბოროტსა სძლია კეთილმა,
არსება მისი გრძელია!

თამარ. კიდით-კიდემდე ჩამოვარდა ერის სიმშვიდე.
დღეს ხალხს სწყურია საზრდო სულის, გონიერების;
პატივსაცემად გავუმართე შოთას ზეიმი! (შოთას).
შენი ლექსები ოდეს ხალხშიც დაიმღერების,
იმ დროს დიდებით ამაღლდება ერი ქართველი!
ჯილდოთ მოგიძღვნი დაფნის გვირგვინს, თილისმა ბეჭედს;
სულის მეფეხარ და მომცემი უსაზღვრო შვების!
ვაქებთ შენს სახელს! იყავ სიბრძნის მარად მართველი!

(შოთას დაფნის გვირგვინს ადგამენ. საპატიოდ ჰმოსავენ. დავით ხმალს შემოარტყამს. თამარი ბეჭედს გადასცემს).

ერის დიდებას, თილისმას გრძნეულს
დღეს შენ გადმოგცემ მგოსნებში რჩეულს!
იგი ძვირფასი ამანათია,
წინაპრებს ჩანგი მოუმართიათ!

ქალების ხმა. ვაქებდეთ მგოსანს!
სიამით გვმოსავს!
მის ჩანგს დიდება!
სული ბრწყინდება!
მარად ინთება!
შოთას დიდება!

მრავე ხმა. რა გვესმოდის მღერა შენი
სმენად ყველა მოვიდიან;
სანეტარო ციურს ჰანგებს
ისმენდიან, გაჰკვირდიან!
შენი ტკბილი ნაუბარით
თვალსა ცრემლი აღარ სდიან;
ვაშა! ვაშა მაღალ მგოსანს!

თამარ. გთხოვთ დაბრძანდეთ! გმართებ შება,
სიამე და აღტაცება!

ხოტრო. სმა-ჭამა დიდად შესარგი,
დება რა სავარგულია;
მეფეთა დიდი სიუხვე
ედემში ალვად რგულია!
უხვსა მორჩილობს ყოველი
იგიც-კი. ვინ ორგულია!
რასაცა გასცემ შენია,
რაც არა — დაკარგულია!

დავით. ვიღებ ფიალას და მოგილოცავთ,
პირველ მგოსნისას ვსვამს სადღეგრძელოს;
შემდეგ ადგილის, სად აღიზარდა,
დიდება ხალხსა და საქართველოს!

ხოტრო. დიდება ჩვენს ხალხს, დიდება!
— თამარს ვაქებდეთ, ვაქებდეთ!
იგია მაღლით რჩეული;
ვინცა ისმინოს, დაესვას
ლახვარი გულსა რხეული;
აქვს საქონელი ურიცხვი,
არვისგან ანაწონები;
მისცა გლახაკთა სიმდიდრე,
ანთავისუფლა მონები!

თამარ. შენთვის ზეიმი გავმართე,
სტუმრებიც დამირჩევია;
შენ სდუმხარ, რუისთაველო,
სევდა რად დაგიმჩნევია?
შენ ტარიელი არა ხარ,
ცრემლი მას დაუფრქვევია!
გაჭრილსა მიჯნურისათვის
ტანჯვა ვერ დაუძლევია!
— მიჯნურსა თვალად სიტურფე

მართებს მართ ვითა მზეობა;
სიბრძნე. სიმდიდრე, სიუხვე,
სიყრმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა,
მძლეთა მებრძოლთა მძლეობა;
ვისაც ეს სრულად არ ახლავს,
აკლია მიჯნურთ ზნეობა!

ზოთა. თითქოს ჩემს გულში ჰკითხულობ:
მჭირს საქმე სავაგლახია;
შენი მზერა და სიახლე
ლხინადვე დამისახია.
გამქარვებელი სევდისა,
მართ, ვითა მუფარახია;
ვეჭვობ, სცნა შენცა ამართლო,
ჩემი სულთქმა და ახია! —
ბოლოს დავრწმუნდი, სიცოცხლე
ბიუნდობელი, მწარია;
სასურველს მიზანს ვერ მისწვდე,
ბუნებაც მრავალგვარია!
— რაცა ვის რა ბედმან მისცეს
დასჯერდეს და მას უბნობდეს;
ერთი უჩნდეს სამიჯნუროდ,
მხოლოდ მისთვის მუსიკობდეს! —

თამარ. მისი სახელი თინათინ,
მართ ოდენ მარტო ასული;
სოფლისა მნათი მნათობი,
მზისაცა დასთა დასული.
მან მისთა მჭვრეტთა წაულის
გული გონება და სული;
ბრძენი ჰხამს მისად საქებრად

და ენა ბევრად ასული!
თუმცა ქალია ხელმწიფედ,
მართ ღვთისა დანაბადია;
ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყო, თუნდა ხვადია!
ვარდთა და ნეხვთა ვინადგან
მზე სწორად მოეფინების;
დიდთა და წვრილთა წყალობა
ნურცა ჩვენ მოგვეწყინების! —

ზოთა. თანამედროვეს სიამეს ჰგვრის ჩემი ხსენება,
რადგან შევიტკბე და ვიმღერე შენი მშვენება!
ჩემში ერს უყვარს შენი სახე, თამარ დიელო,
თამარ სპეტაკო და ნარნარო ივერიელო,
ჩემის დიდების საუნჯეო, სოფლად ძლიერო!
— ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ეს ნიჩანს დიდად სახელად,
ჩემი სიცოცხლეც იგია!
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა
და კალმად მინა რჩეული;
შვენების სარკედ გარდვიქეც,
იმავ შვენებით ძლეული!
ზაფხულის პირო, წმინდა ნებით მარად ციერო!
შენ! თამარ! თამარ! საუნჯეო, სოფლად მზიერო!

ხოროზ. რა გვესმოდის ტკბილი მღერა,
სმენად შენთან მოვიდიან;
სანეტარო ციურ ჰანგებს
ისმენდიან, გაჰკვირდიან!
შენი ტკბილი ნაუბარით
თვალსა ცრემლნი აღარ სდიან;

ვაშა! ვაშა სულით მნათობს,
ბადლი შენდა მოგვიხდია!

(ბალეტი. ცეკვის დროს შემოდის ნინო, ვაჟურად გადაცმული. ზოთას ყურში).

ყმაწვილი. მგოსანო! სტკბები დიდებით,
შენს სახელს შეეფერება;
სახლში კი ცოლი გლალატობს,
ირღვევა ბედნიერება;
ზოთა. რას ამბობ, ყმაწვილო!?
ჩემს სახლში ღალატს რა უნდა?
ყმაწვილი. მომყე, გიჩვენებ, გაიგებ... (გაყავს).

ვნების ტალღები.

რუსუდან. დღეს წადილი აგვისრულდა!..
აბდულ. ჩვენს სიყვარულს მალვა უნდა...
რუსუდან. მაგრამ უფრო სიტკბოს შეგვძენს,
თუ იმატა სულის ღელვამ;
დავეწაფო მაგ შავს ბაგეს
და ამანთოს თვალის ელვამ!
აბდულ. მზეო, დამწვა შენმა ეშხმა
და ალერსი ცნობას მპარავს;
მე შენს მონას გამიმზადებს
სალაღობოდ მორთულ კარავს!
რუსუდან. ვეღარ დავთმობ მაგ ბნელს თვალებს,
შენ წარიღე გრძნობა სრულად!
აბდულ. ჩვენი გაყრა მოინდომოს,
მტერი დაგრჩეს გაბასრულად!

რუსუდან. უშრეტი ვნებით,
ცეცხლის გზნებით
    აინთე გრძნობა!
თავდავიწყებით,
გატაცებით
    ვიგემე ტრფობა!
ქსელში გავები
და თვალები
    ჟინით ელვარებს;
შენთან დავები
მძლე მკლავებით
    გული ნეტარებს!
შენი სიცოცხლე მეყოფის
იმედათ სიყვარულისა;
ვპოვე წამალი გულისა
აქამდე დაკარგულისა!
მოვკრიფე ტკბილი ნაყოფი
ედემში ალვა რგულისა;
გადამავიწყე ნაღველი
დროება გარდასულისა!
აბდულ. ობოლი ვიყავ არაბეთს,
სოვდაგარს მოვემსახურე;
პატარა ჩამსვა ხომალდში
ცრემლი თვალთაგან ვასხურე!
შემოიარა ქვეყნები,
მრავალჯერ ტვირთი ამკიდა;
კოლხეთის ნაპირს მოადგა
და ერთ ვაჭარზე გამყიდა!
აქ გავიზარდე ვაჟკაცი,
აქ ვარ მრავალის მნახველი;

თქვენ რო მიყიდეთ, იმ დღიდან
აღარ მტანჯავდა ნაღველი!
შენი შვენება ვიხილე,
მონა რას გაგიბედავდა?
მაგრამ ეს გული სურვილით
და სიყვარულით ღელავდა.
მიყვარხარ, ვფიცავ ზენაარს,
მონა ვარ უერთგულესი;
მიბრძანე, როცა მოგძულდე,
ან დანა დამკარ ულესი!

(ყმაწვილს შემოპყავს შოთა და აცქერინებს).

უმანვილი. მგოსანო! დასტკბი! ხომ ჰხედავ?
შენს სახელს შეეფერება!
ეგ არის შენი გვირგვინი,
ოჯახის ბედნიერება!
ცოლმა გაგცვალა მსახურში,
მეტი-ღა გამოშტერება?
ხა! ხა! ხა!
ესეც ხომ არის საზეო
მომცემი აღმაფრენათა:
ძნელად სათქმელი, საპირო,
გამოსაგები ენათა!
პირველს მიჯნურს შენ უმტყუნე
და შეირთე, ბილწი, მრუში;
ამჯობინე მისი ხვევნა
და უგულო ტლაშა-ტლუში!
შოთა. ო, გრძნეულო! რა მიჩვენე?
გადაუხსენ პირი წყლულსა:
ავსა კაცსა ავი სიტყვა

ურჩევნია სულსა, გულსა!
რაღაა ჩემი სიცოცხლე,
თუ კი თან ახლავს ბნელია?
ყმაწვილი. მე ბრალი სულ არ მიმიძღვის,
ცოლი აუგის მქნელია!
შოთა. რომ არ მცოდნოდა ამბავი
გულსა ვერ მომიწამლავდი;
ყმაწვილი. მეც უნებურად ვიხილე
და ვეღარ დაგიმალავდი!
შოთა. მოგიღებ ბოლოს მთხრობელო!
შე ავის მახარობელო!
რისთვის მომწამლე?
ყმაწვილი. ნუ თუ არ გსურდა შენ თვით გენახა
ესრეთ ოჯახის ბედნიერება?
შოთა. რად მჭირდებოდა შენი მხილება!
(ხანჯალს იძრობს. ყმაწვილი შეჰკივლებს. უკან დაიხევს. ამ ბრძოლაში ქუდი მოვარდება, თმა ჩამოეშლება. შოთა სახტად რჩება).
ვინ ხარ? ვის ვხედავ?
ნუთუ შენ — ნინო?

(შოთას ხანჯალი გავარდება).

ნინო. გახსოვს, გარდმომეც ბეჭედი ქალწულს?
რად არ იხსენებ იმ ნეტარ წარსულს?
თითქოს ერთმანეთს შევფიცეთ კიდეც!
მოწმეს უხილავს, განგებას მტკიცედ!
რომ დაბრკოლება ჩვენ ვეღარ გვძლევდა,
გაყრას სიკვდილიც ვერ შეიძლებდა!
ათინას წახველ, გასცილდი საზღვარს,
რომ დამიბრუნდი, გულში მცემ ხანჯალს?
აღარ გიყვარვარ, ვარ მე გმობილი

შენგან უდროოდ ლახვარ სობილი!
რა დამრჩენია სიკვდილის გარდა,
ჩამომეფაროს სიცოცხლეს ფარდა.
აი, მე თვითონ!
მშვიდობით შოთა!

(ხანჯალს სტაცებს და გულში ჩაიცემს).

—მე სიკვდილი აღარ მიმძიმს,
შემოგვედრებ რადგან სულსა;
მაგრამ შენი სიყვარული
ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა!
მოგშორდები სამუდამოდ,
მიწა შესჭამს მძიმე წყლულსა;
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ,
ჩემო, შენთვის განწირულსა!

შოთა. სულზედ უტკბესო! ო, რა ვიღონო,
რომ გამოგტაცო სიკვდილის ბრჭყალებს?
რისთვის დამსაჯე ესდენ სასტიკად?
რაღა აღმადგენს? რა გამახარებს?
აღარ ძგერს გული, მე რო ვუყვარდი,
უმიზნოდ დავსცქერ მის ღია თვალებს!
ოუნდაც ვიცოცხლო უნდა ვსვა შხამი!
გლახ სინანულის დამიდგა ჟამი!
გული საბრალოდ უნდა იწოდეს,
ტანჯვის მიზეზი არვინ იცოდეს.

(შემოდის დარბაისელი).

დარბაისელი. ეუცნაურათ შენი წამოსვლა!
გთხოვენ....

შოთა. ამუნელ! ძმა ხარ ჩემი მეუღლის...

აღარ არსებობს ჩემთვის ლხინი... ჩემთვის დიდება!
სულიც დამძიმდა...

ამუნელ. ამას რას ვხედავ?.. სისხლი?..

ზოთა. იქ რაღას ჰხედავ?

ო, უმიზეზოდ დაისაჯა ავი მთხრობელი!

ამუნელ. ააახ! ჰეი, გვიშველეთ!

ზოთა. ვის ძალუძს შველა!? ო, აღარავის!
იქნებ თვით მე ვარ დამნაშავე!? ვარ!.. ვარ!..
ცხოვრების ვნებაზე მე ბრმა ვიქენ და შეცდომილი.
რათ დაისაჯა ყრმობის ერთგული?
და სიყვარულის ფიცით შეკრული?

(გადის. შემორბის სასახლის ამალა. რუსუდანი სდგას გაფითრებული. გვამი გააქვთ).

ამუნელ. რუსუდან, რა ჰქენ?
ო, რატომ რისხვა არ დაგვატყდება
და შენთან ერთად მეც მტვრად არ მაქცევს?
ნუთუ შენ მართლა?...

რუსუდან. მეც მომისმინე!

ამუნელ. მრუშო დიაცო!

მე თუნდ შეგინდო, არ შეგინდობს შთამომავლობა!

რუსუდან. დანაშაული არ მიმიძღვის!

ამუნელ როსკიპო ქალო!

შენ დაამდაბლე ჩვენი სახელი,
გვარი და ჯიში! ო, სულმდაბალო!

ქარის-ქაცი. (შემოდის. არაბს).

სასჯელს გადარჩი!
მაგრამ... რიჟრაჟი არ უნდა იყოს,
უნდა განშორდე ამ ქვეყნის საზღვარს!

რუსუდან. მეც მომისმინეთ!

ამუნელ. აჰათ ხანჯალი, გული გამიპეთ!
ო ჩემი გვარი შერცხვა საქვეყნოდ!
რუსუდან. მეც მქონდა გრძნობა!
სიყვარულით მეც ვინთებოდი!
ის ჩემს მუდარას... ალერსს ვნებიანს...
რად გაურბოდა!?
ის შექმნილ ლანდებს რად შეეტრფოდა?
სურვილს იკლავდა ვისდამი გრძნობით? —
თამარისადმი მიძღვნილი გრძნობით!
მას უყვარს იგი! მე ეს ვიცოდი!
ხოლო ჩემდამი ცივი იყო.... ცივი... უგულო!
თუ მას სხვისადმი ტრფიალება ეპატიება....
მე, მისმა ცოლმა, არ ვაპატიე...
თავი იმართლოს თქვენს წინაშე... და ჩემს წინაშე...
შური ვიძიე...
ვის შეუძლიან გამასამართლოს!
იდუმალ გრძნობებს შეახოს ხელი...
მეც მაქვს უფლება ისეთივე...
ამუნელ (ხანჯალ მოღერებული)
მოკვდი, რად სცოცხლობ!
ზოთა. (უცბად შემოდის)
შეჩერდი!
ჩემის მიზეზით კმარა ის სისხლიც!
კმარა რაც მოხდა!
ძველად ელადის განთქმულს რაინდს აგვირგვინებდნენ.
ამ დროს აცნობეს ცოლის ღალატი!
მოჰკლა მთხრობელი.
რაინდს მოესპო სულის სიმშვიდე...
დადის, თან დააქვს გული მწუხარე!
დადის, სიცოცხლე გამწარებული.

იცით, ვინ იყო ამბის მთხრობელი?
იცით, ვინ ადრე დაესამარა? —
რაინდის სატრფო, ყრმობის ერთგული,
და სიყვარულის ფიცით შეკრული!
რაინდმა იგრძნო დანაშაული.
გადაიკარგა გულით მწუხარე;
ის დღესაც დადის მიუსაფარი.

თუ მეც საწუთრომ დამამხო,
ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად,
ვერ დამიტიროს მშობელმან,
ჩემი ამბავიც დასრულდეს,
ვითა სიზმარი ღამისა!
უკვალოდ გადავიკარგო
სტუმარი ერთის წამისა.
გარდამხდეს გარდასავალი,
ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!

შოთას ბეჭედი

(მონასტრის ზღუდე. ჯგუფად ბერები საიდუმლოდ ლაპარაკობენ).

— ჩემი წამალი ვერ შველის...
— მოხუცს თვალი-ღა უნთია!
— უკურნებელი ნაღველი სტანჯავს...
— სიცოცხლის დღენიც დათვლილი არის...
— შენი კურთხევა გადმოუვლინე, ჰოი ზენაო!
— იმ დღეს მიმიხმო, ვგონებ ჭაბუკი თადე ვეგონე...
უბიდან რაღაც შეხვეული მან ამოიღო...
მეუბნებოდა რაღაც ანდერძს... მე არ მესმოდა.
მთლად ყურადღებად გარდავიქეცი...
რომ შემომხედა — უმალ დაჩუმდა...
მთხოვა: ჩემს მხლებელს დამიძახეო...
მეც გამოვბრუნდი....
— დიდებულ კაცის ტანჯვაც მუდამ დიდებულია!
— მიზეზი ვკითხე...
— მერე. რა გითხრა? რა გიპასუხა?
— მისი პასუხი დუმილი იყო.
— მე შევამჩნიე...
— რა შაემჩნიე?
— ღამეს ათენებს, დღეს აღამებს იდუმალ ფიქრში.
ჩათხრობით იტყვის: „ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარო!“
— ეგ ჩვენც ვიცოდით!

— არა!... მისმინეთ!
— მას ბეჭედი აქვს საუცხოო თვალმარგალიტით...
ვზვერავდი ერთხელ... და...
— გვითხარ, გვითხარ!
— შეკრული არის აბრეშუმებში...
ხან ამოიღებს და ჰკოცნის... თითზე იკეთებს...
ისე ისროდა სხივებს, თითქოს ვარსკვლავი იყოს...
თვალი რომ მოვკარ, მომაჯადოვა...
ამანთო რაღაც იდუმალებით...
— ალბად მაგიტომ მომაკვდავს არ ჰგავს,
ღვთიდან განწირულს...
როცა ახლო ხარ, ჰგრძნობ მოწიწებას!
ღვთაებრივს ახდენს შთაბეჭდილებას!
როცა საუბრობს, ასე გგონია,
ნათელს აფრქვევდეს, გიტაცებს ფიქრით.
ოცნება გიპყრობს, გულს ახალისებს!
უთუოდ დიდი გვარისა არის,
და დიდი განძის მატარებელი!
წარსულიც უნდა მას რთული ჰქონდეს!
— თვის ვინაობას მაინც რატომ არ გაგვიმჟღავნებს?
სადაურია? სიდან მოსულა?
— საქართველოდან! თამარის ქვეყნით!
შემოუვლია მთელი ქვეყანა...
— რისთვის დასტოვა სოფლის სიამე?
-— არაფერს ამბობს!
— ჩუმად! ძმებს მოჰყავთ!..

ᲨᲝᲗᲐ. (შემოჰყავთ. მოხუცი. მოტეხილი. თვალებანთებული თითქოს ამ ქვეყნიდან გადაფრენა სურდეს. ეტყობა, უკანასკნელ დღეშია.)

დღეს თავს კარგად ვგრძნობ... არაფერია...

ლიბანიის ნიავი მოჰქრის... არა? ასე ვგრძნობ!
სულს მწარე სევდაც განეშორა მაღლის ბრძანებით!
სად არის თადე, ჩემი მხლებელი?
გთხოვთ, დამიძახოთ!

(ერთი ბერი გადის)

ბერი. სჯობია, ისევ შინ შევიყვანოთ!
ზოთა. რაო? არ არის?
ბერი. ეხლავ აქ მოვა!
ზოთა. მოვა!.. ვინ მოვა?
განა გაიგეს ჩემი აქ ყოფნა?
უკანასკნელად კიდევ ვნახავდე...
ჟამი ნეტარი, ყრმობის ჟამი კვლავ მაგონდება!..
ჩემს თვალს ეხატვის სანუკველი, ტკბილი წარსული!

(ლაპარაკს ჰრევს. თითქოს ჰბოდავდეს.)

აგერ, სასახლე! სადაც ბრწყინავს დედოფლის სკიპტრა!
ხალხი ეხვევა მას გარშემო... ისიც იქ არის!
ის...
და რად მინდოდა მე იმ ჟამად დაფნის გვირგვინი,
თუ იმავ დღიდან დაჰკარგავდა სული სიმშვიდეს?
მე საწუთრომან დამამხო
ყოვლისა დამამხობელმან...
ბერი. ჰბოდავს!
მეორე. შენი კურთხევა გადმოუვლინე, ჰოი ძლიერო!
უფელანი. შეუნდე მონას!
ბერი. ნებით, თუ უნებლიეთ შეცოდებანი!...
ზოთა. შეცოდებანი! შეცოდებანი!
ის, რაც არ ვიცით, არც გვაშფოთებს...
და თუ გავიგეთ...

ნურც გადავყვებით მღელვარე გრძნობას...
ბრალი მიუძღვის განა იმას, ვინც ავს გახარებს?
რად დაისაჯა უმანკო მსხვერპლი!

(შემოდის თადე. მიუახლოვდება შოთას. მის წინ სდგას დაღვრემილი.)

თადე. შენ მომიხმობდი!

შოთა. ჭაბუკო, თადე! მადლობას გწირავ...
შენ იყავ ჩემი უერთგულესი თანამავალი!
დე, საიდუმლო აწ კი გამჟღავნდეს...
უნდა დაბრუნდე...
ცხოვრების გზაზე შეცღომილ ვარ მწირი გონებით ..
შიში და ძრწოლა მომიხდა მე, დამფარა ბნელმან...

(უბიდან ამოიღებს ბეჭედს და გადასცემს.)

არ მსურს თან ჩამყვეს კუბოში...
შენ იცი... შენ ერთს მოგანდობ,
ტრფიალის ამანათია;
თადე! ეს არის თილისმა,
ჩანგი მით მომიმართია.
კვლავ დაუბრუნე თამარ-ქალს,
მისდამი დავრჩე მოსავი,
თან ვერ წავიღებ ხალხის განძს,
სხვაც უნდა მღერდეს მგოსანი!
ანდერძად ბეჭედს დავტოვებ,
რაც მე აქამდე მებარა;
და ვის ხელშიაც აღმოჩნდეს
მოიხსენიონ ნეტარად!
საქართველოსკენ ისწრაფე
წვერვალი გარდუვალია:
სხვას არვის ანდო, მიმღები

მარტოდენ დედოფალია!
დავითის გადმონაცემი
საუნჯე იდუმალია!
მშვიდობით, თადე!

(თადე ეთხოვება. შოთა ტახტზე მიესვენება. ბერები გალობენ: „ცხოვრების გზაზე შეცდომილ ვარ მწირის გონებით!" შოთა ჰხედავს ჩვენებას: მკერდ გადახსნილ ნინოს სისხლი ჩამოსდის. შოთას საყვედურით უმზერს.)

ვინ არის? ჰნახე?
სიზმარი იყო?
ცხადი სად არის? ან სინამდვილე?
და ან სიზმარი როდის იწყება?
მე რასაც ვხედავ, რატომ ვერ ჰხედავთ?
ნუთუ ეს მხოლოდ ჩვენება არის?
არა! მე იგი მესაუბრება!
ვხედავ ჩემს სახეს გადალმა მხარეს...
იქ, როცა ხალხი ზეიმს გამართავს.
მეც იქ ვიქნები...
თითქოს მათ ეხლაც ვესაუბრები...
ო, მძიმე ტვირთო... მარადიულო!
საუკუნეთა იდუმალებავ,
რად გხედავ ცხადად? ამბობენ კი სიზმარიო!
ეს არის ხილვა!
აგერ, ის ჩემი ყრმობის არიფი!
ო, მეგობარო! ტრფიალო ჩემო!
საბრალო მტანჯავს!
ჩემი ბუნება ორად გაიყო.
ერთი შეეტრფო უკვდავ შვენებას,
მეორე მიწას ალარ ჰშორდება!

ჰხედავთ? ის არა! თადეს ხომ ხედავთ?
მიდის!... მიიტანს? აგერ რიონთან...
რატომ შეჩერდა? გზას ვეღარ აკვლევს?
რა დაემართა? გარს ეხვევიან....
უმუხთლა ვინმემ?
ეს ცხადია, თუ მხოლოდ ჩვენება?
იმ გლეხის ქოხში...
გარს ეხვევიან...
თადე! ისწრაფე!
მიმღები მხოლოდ დედოფალია!
ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი!
არა!.. თადე! თადე!
მე თუ გშორდებით, თქვენთან ვტოვებ სულის სიმღერას!
ვიცი, ოდესმე განახლდება გამოძახილით!
ნათელ მომავალს ჩემი სიმღერა ტრფობით შეხვდება!
ჩემი სიმღერა უნდა შეხვდეს დიდ საქართველოს...
იქ შორეულში...
ოღონდ ბეჭედი არ დაიკარგოს...
თადე მიახწევს... თადე! ბეჭედი! ნუთუ დაკარგა?
მიმღები დედოფალია!
ვის დარჩეს ჩემი ბეჭედი?
ვინ უნდა იყოს რჩეული...
მივდივარ სადღაც...

1909 — 1923 წ.

გავლილი შარა

ცრემლებს ვერ ვამხელ, სიცილიც მზარავს!
ვუმზერ გადაღმა ჩემს გავლილ შარას.
მეც, როგორც ვაჟას, ჭალარა მფარავს!

მწამდა, ეპოქის ვძრავდი კუბოებს,
ძეგლებს ვუდგამდი საუკუნოებს.
თვალს ვუსწორებდი თითქოს დიდ შოთას
და მარადიულს ვწირავდი ლოცვას;
რაც შევქმენ, თურმე, მეტი ბარგია,
ვის რაღად უნდა, ვის რად არგია?

წმინდა გრძნობებით ავმღერდი ბავში,
მერანის ნაცვლად მეპყრა ხელთ რაში.
რძალი შევმოსე მშვენიერებით,
კოშკი ავუგე ყურძნის მტევნებით.
შვების თავადი ჯერ კიდევ მოსავს
სულის გარდამქნელს სისხლის ფერ დროშას.
მიესწრაფება კარგა ხანია
უსაზღვრო მიზანს ბერდო ზმანია.
ქართლის გლეხს მამაცს და უგვირგვინოს
ვუმღერე ჰიმნი მძლე მაყრიონთან;
კოლხეთის ასულს მე შევახვედრე
რენოს მიჯნური ახლოს რიონთან!

არ გადავტეხე ლატავრას ხმალი;
ხელისუფლება — მშრომელთა ძალი!
ხან თუ ვგოდებდი, სხვას ვამხნევებდი,
ავშალე ხალხი, როგორც დევები!
ყოველდღიური ვფერე ოცნებით,
(ხომ უიმისოდ ვერ გაოცდებით!)
თურმე, რაც შევქმენ, მეტი ბარგია!
ვის რაღად უნდა, ვის რად არგია!

ძმებს ვემხრობოდი, რისხვით აშლილებს —
არსენ და არჩილ ჯორჯიაშვილებს.
ვერ დავიტირე, ეს არ მამშვიდებს!
(ო, რად ვიგონებ ამბავს მაშინდელს!)
ვიჯექ ციხეში — საპყრობილეში,
სიკვდილიც ვნახე იმ ცივს დილეგში!
მე გლეხი, დავრჩი ჯანსაღი სისხლის,
ვსთქვი: ნესტანს ციხით, აბა, ვინ იხსნის?
მიწას მივმართე, გლეხის ვისმინე,
გავხდი მე თვითონ იქ მეწისქვილე.
თურმე, რაც შევქმენ, მეტი ბარგია!
ვილას რად უნდა? ვილას არგია?

ჩემს თანატოლებს ვიცნობდი მგოსნებს!
გოლვამ დააშრო, სიმები მოხსნეს.
ზოგჯერ შევსვამდით სიმღერით კახურს,
და შევხაროდით დღევანდელს ზღაპრულს!
ერთმანეთს გულში ვუგზნებდით ზრახულს.
მე მათ ვეძახი, ვმარხავ ჩემს წარსულს!!.
აღარ დასცალდათ დღეს ჩემზე გლოვა
ღა ზოგმა ადრე სამარე ჰპოვა!

ეს მოგონებაც მეტი ბარგია!
ვის რაღად უნდა? ვილას არგია?

არვის ვუთმობდი პოეტის პორფირს,
მედიდურობა მქონდა მე ორბის.
და რარიგ ვნანობ... ამდენ ღელვაში
რად დავწვი გრძნობა? სულს რად ვქანცავდი?
რად ვაღამებდი დღეს ოცნებაში:
მგოსნებს ხომ ჰქონდათ ბედი ნაცადი?
მეც ხომ შემეძლო დამეკრა თოხი,
ან ვგდებულიყავ სადმე მეღორედ,
(იტყოდნენ ჩემზე ხალხს ეგ აცხოვრებს,
არ დამსახავდნენ მტრად, ან მეკობრედ!)
რაც შევქმენ, რისთვის? — მეტი ბარგია!
ვის რაღად უნდა, ვის რად არგია?

ცრემლს ვეღარ ვამხელ, სიცილიც მზარავს!
ვუმზერ გადაღმა ჩემს გავლილ შარას —
მეც, როგორც ვაჟას, ჭაღარა მფარავს.
მოვკვდები, მისებრ მითხოვენ ფარას!
ჩემს შვილს მოშივა... ეხ, კმარა! კმარა!
ჩემი ჩონგურიც, თურმე. ბარგია!
ვის რაღად უნდა, ვილას არგია?

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
მიძღვნა	5
შოთას ბეჭედი	7
წარამართი დავრჩი .	10
მეც ასე ვარ	12
ცაგო მღერის	13
Homo homini	14
გზავრი . .	15
ბატონი ცილინდროსანი .	16
ორი სიზმარი .	21
პოემა უცნობ ხელებზე	22
რძალი ზენარი .	24
თანამედროვე ცხოვრების	29
ელექტროს არმაზი	31
ლენინი ჯავშანოზე	32
შოთამ მამხილა	33
ოქტომბრის ჰიმნი	34
ბინადარი	39
დედის-ერთა	41
მუხის დაცემა . .	43
ბატონიშვილს გული უწუხს	45
რთველი კახეთში .	45
ნიშნობა სოფლად	46
სოფელს .	47
მეჭედელი ზაქარო	49
ბრძენი მასხარა	50
მიყვარს ცხოვრება	51
ჩემი ჩონგური	52
ულანგარო უგულებელი .	52

	გვ.
ჩემი სიბრძნე.	55
შაირი .	57
შავს ზღვასთან .	57
ქალის ცრემლები .	58
რალა დამრჩა	59
კაცუნა .	60
სიმღერა თარზე	62
სალამური .	63
გლეხი ქალი	64
მეწისქვილე	65
ჩვენი ლურჯა	66
Genesis .	69
ტყე გაჩეხილი	70
გლეხის სიმღერა	71
მწყემსის ფარეხში .	72
სალეწი მანქანა	72
მაშინ სიმღერა	75
სული დანაღვლდა	75
კახეთი .	76
ჰიმნი გელხს .	84
ღვინო	91
კახეთის დედოფალი	93
თუშაია .	98
ერთი კოცნა .	100
დია	101
მოღალატე ლეილა	104
მაჯლაჯუნა	106
პაპლაყურა და ელთერო .	108
აგუნა .	112
თეთრი ალი	114
უძილო ღამე .	115
ჩემში—ჩემს იქით	117
სიკვდილი სარკეში	118
ყურძნის აკიდო	119
თეთრი რაინდი	121

83
ორი მხედარი 121
ბურანი . 122
სად მიქრის მხედარი 125
რანი ოდელი . 125
მიონა . 127
ამირანი . 128
მე ვუმღერ მხოლოდ 129
ოქროს ბრელი არწივი 130
ისე არ ვიმღერ 131
Alter Ego . 132
LISIS POETIK . 133
ორეული 134
Gulmann . 136
ჩემს შემდეგ . 136
თუ გსურს სიცოცხლე . 138
ხალხს . . 139
ვინც მისთვის სტირის . 140
ნახვამდის 141
არავის ველი . . . 142
გამოთხოვების უსტარი 143
ისმინე ვისაც . . 144
რისთვის დამიხსენ . 145
ნეტამც 146
ნავი . . . 144
მყუდროების შავს ტალღებზე 147
ჩემს სამსხვერპლოსთან . 148
დალი . 148
გედის ძახილი 158
ვ. გაფრინდაშვილს 159
ტიციან ტაბიძეს 160
გიორგი ლეონიძეს . 161
დღეს ჩვენ . . 161
არსენ ჯორჯიაშვილი . 162
ცოლი რუსთაველის 167
გაელილი შარა . 199